# საერთო გაზეთი

№25 (706)
ოთხშაბათი
26 ივლისი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.




## ფარა, ბაბაია, ფარა...

### მსოფლიომ ლობიზმი თავის ნებაზე მიუშვა

ნურავის ეგონება, რომ უკრაინას ვინმე უანგაროდ ეხმარება

ისე როგორ უნდა გძულდეს სამშობლო, რომ ისევ სააკაშვილს დაუჭირო მხარი

გიგანტებთან შერკინების დროს ჭკუა-გონება და ხერხია საჭირო

### კინოცენტრი დამნაშავეების ბუდე იყო



### განათლებული არამზადები – სამხედრო გაერთიანება „ნატო“

## ზაზა შათირიშვილი:

# ღია წერილი ქართველ „ლიბერალებს“



ოლიგარქიული ოჯახების გათვლების შესახებ არაერთი წერილი გამოვაქვეყნე. შეგახსენებთ, რომ მათი უმთავრესი მიზანი სამყაროს ერთი ცენტრიდან მართვა, საზოგადოების ბიომასად გადაქცევა და მსოფლიო მოსახლეობის ათჯერ შემცირებაა. ამ მიზნის მიღწევის შიშველ იარაღად ისინი იყენებენ ე.წ. ლიბერალებს, რომლებსაც მათივე შექმნილი ფსევდოლიბერალური იდეოლოგიით აქვთ ტვინი გამორეცხილი.

საკუთარი მიზნების მისაღწევად ოლიგარქიულმა ოჯახებმა შეიმუშავეს დემოკრატიის ახალი, დეგრადირებული მოდელი. ისინი მაქსიმალურად შლიან და ასუსტებენ ხელისუფლებას, განსაკუთრებით სამართალდამცავ სტრუქტურებს, რათა ის საკუთარ გავლენას იოლად დაუქვემდებარონ. როგორც ქართველი ლიბერალი იტყოდა - სისტემა უნდა დაინგრეს.

თუ დააკვირდებით, საქართველოსთვის წაყენებული ყველა მოთხოვნაც აქეთკენ არის მიმართული: მაგალითად, ითხოვენ, მაქსიმალურად დაიშალოს სამართალდამცავი სტრუქტურები; პოლიციას შეეზღუდოს მომიტინგეების აგრესიაზე რეაგირების ბერკეტები; სასამართლო ხელისუფლება და საარჩევნო კომისია დაკომპლექტდეს ე.წ. ფართო პოლიტიკური კონსენსუსით, ანუ მათი აგენტურის თანამონაწილეობით; დაწესდეს დაბალი საარჩევნო ბარიერი, რომელიც პოლიტიკურ სისტემას აამღვრევს და ერთიან ნაციონალურ აგენტურას ხელისუფლებაში დაბრუნების შანსს მისცემს და ა.შ. დემოკრატიის დეგრადირებული მოდელის აუცილებელი ელემენტია მედიის თავისუფლების ახალი მოდელიც, რომლის ყველაზე ღირებული ელემენტია სიცრუის თავისუფლება. სიცრუით გაჯერებული მედიის უმთავრესი ამოცანაც ხელისუფლების დაშლა და დასუსტებაა.

ეს მოდელი მოქმედებს ქვეყნებში, სადაც ოლიგარქიულ ოჯახებს აგენტოკრატია არ აქვთ დამყარებული. მაგრამ თუკი რომელიმე ქვეყანაში ძალაუფლებას მათი აგენტურა იღებს ხელში, მას სრული კარტბლანში ეძლევა, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებს და მედიას სრულად დაეპატრონოს. ასე დაიქვემდებარა თავის დროზე სააკაშვილის რეჟიმმა სასამართლო, შსს და მედია, რომლებიც მთლიანად ერთი ხელიდან იმართებოდა. ზუსტად ასევე დაუქვემდებარეს ალბანეთის მთავრობას რამდენიმე წლის წინათ, სასამართლო, უკრაინის ხელისუფლებას ცოტა ხნის წინ ტელევიზიები და ა.შ. დღეს დასავლეთში ერთი ხელიდან იმართება პრაქტიკულად მთელი მედია, რომლის მთავარი დავალება დემოკრატიული სისტემების მოშლა, აგენტოკრატიების გამაგრება და ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის ტირაჟირებაა.

ოლიგარქიული ოჯახების ხელწერის თვალსაჩინო მაგალითია დღევანდელი უკრაინული და მოლდოვური აგენტოკრატიები. უკრაინაში სახელმწიფოზე გადაფორმდა მედიასაშუალებები და ბიზნესები; ბიზნესის რეკეტი ისეთივე ჩვეულებრივ პრაქტიკად არის ქცეული, როგორც ეს 2004-12 წლების საქართველოში იყო; ე.წ. ვეტინგით, მზადდება სასამართლოს სრული დაქვემდებარება პოლიტიკური ხელისუფლებისადმი; აღარ არსებობს ოპოზიცია და დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანოები. ანალოგიურად, მოლდოვაში, ვიდრე მაია სანდუ სააკაშვილის პატიმრობაზე დარდობს, ერთმანეთის მიყოლებით ბრალს უყენებენ და იჭერენ წამყვან ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს, ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური პარტია კი ცოტა ხნის წინ საერთოდაც აკრძალეს.

ასეთია ოლიგარქიული ოჯახების მოდელი: სადაც დემოკრატიაა, სისტემა უნდა დაიშალოს, ხოლო, სადაც აგენტოკრატიაა, მთელი სისტემა ერთი ხელიდან უნდა იმართებოდეს.

დემოკრატიის ანალოგიურად, ოლიგარქიულმა ოჯახებმა შექმნეს ადამიანის უფლებების საკუთარი მოდელიც, რომელიც მთლიანად ლგბტ პროპაგანდამდეა დაყვანილი. ამ პროპაგანდას სინამდვილეში არაფერი აქვს საერთო ადამიანის უფლებების დაცვასთან და მთლიანად ოლიგარქიული ოჯახების პოლიტიკურ მიზანს - საზოგადოების ბიომასად გადაქცევას და მოსახლეობის ათჯერ შემცირებას ემსახურება. ევროპაში არაერთ ლგბტ პირს ვიცნობ, რომლებსაც თავადაც არ მოსწონთ ის პროპაგანდა, რომლის მიზანი თითქოსდა მათი უფლებების დაცვაა. თუ პროცესები ასე გაგრძელდა, რეპროდუქციული ასაკის ამერიკელებისა და ევროპელების უმრავლესობა მაქსიმუმ 15-20 წელიწადში ლგბტ პირი იქნება, რაც ოლიგარქიულ ოჯახებს დემოგრაფიული პროცესების ტოტალური მართვის შესაძლებლობას მისცემს. ამ პროცესების საბოლოო შედეგი იქნება ოლდოს ჰაქსლის მიერ აღწერილი „საოცარი ახალი სამყარო“, სადაც ყველა ბავშვი ინკუბატორში იბადება, ბავშვების რაოდენობა კი ამა ქვეყნის ძლიერთა საჭიროების მიხედვით განისაზღვრება.

ოლიგარქიული ოჯახების პოლიტიკის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი იარაღი მიგრაციაა, რომელიც ევროპული ქვეყნების ეროვნული და რელიგიური იდენტობის წასაშლელად წარმატებით გამოიყენება. საფრანგეთის, გერმანიის, შვედეთის, ნორვეგიის და სხვა დასავლეთევროპული ქვეყნების დიდ ქალაქებში მიგრანტები ადგილობრივ მოსახლეობას უკვე აჭარბებენ, ან მალე გადააჭარბებენ. საფრანგეთში არსებული ვითარება, რომელზეც ჩემი ფრანგი ნაცნობები ხშირად მესაუბრებიან, უკიდურესად შემაშფოთებელია. მიგრანტები, რომლებიც უკვე საკმაოდ დიდი რაოდენობით იარაღს ფლობენ, ქვეყანას სამოქალაქო ომის საფრთხეს უქმნიან. მიგრანტების მორიგი აჯანყების ჩასახშობად ოლიგარქიული ოჯახები მაკრონს თავდაცვის ძალების გამოყენების უფლებას, სავარაუდოდ, მხოლოდ მას შემდეგ მისცემენ, რაც ისინი ბოლომდე შეიარაღდებიან. ეს ყველაფერი კი მორიგი ფრანგული, უფრო სწორად - ანტიფრანგული რევოლუციით დაგვირგვინდება, რომელიც ხელისუფლების სათავეში მიგრანტებს მოიყვანს, რაც ევროპისთვის სამაგალითო პრეცედენტი იქნება. მსგავსი მიმართულებით ვითარდება პროცესები დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც, რაც ევროპას საბოლოოდ იდენტობის სრულ წაშლამდე მიიყვანს. ასეთი ბედი ელის ამერიკასაც, რომლის ქალაქები ცეცხლის ალში არანაკლებ ხშირად ეხვევა და სადაც პოლარიზაცია პოლიტიკური სისტემიდან უკვე ლამის მთელ საზოგადოებას გადაედო. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული სახელმწიფო ოლიგარქიული ოჯახების მთავარი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინსტრუმენტია, ამერიკას ისინი არანაკლებ პრობლემებს უქმნიან, ვიდრე ევროპის სახელმწიფოებს.

თანამედროვე სამყაროში ერთი ხელიდან მართული მედია გამუდმებით აღვივებს შუღლს და დაპირისპირებას, დემოკრატიებში ითხოვენ სისტემის ნგრევას, აგენტოკრატიებში ამყარებენ ავტორიტარიზმს, მიგრანტებს უპირისპირებენ ადგილობრივ მოსახლეობას, ხოლო ლგბტ პირებს უპირისპირებენ ტრადიციულ საზოგადოებას. ყველა ეს პროცესი ოლიგარქიული ოჯახების მიერ ხელოვნურად არის დაგეგმილ-მართული და საზოგადოებების პოლარიზებას ისახავს მიზნად, რათა მღვრიე წყალში თევზი უკეთ დაიჭირონ.

ამ ყველაფერს ერთ დროს ცივილიზებული დასავლეთის, არც მეტი არც ნაკლები, ჩრდილოკორეიზაციისკენ მივყავართ. ბუნებრივია, ჩრდილოეთ კორეაში ისეთივე ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს, როგორც სამხრეთში, თუმცა, დიქტატურამ, ტოტალურმა იდეოლოგიამ და ერთი ხელიდან მართულმა მედიამ ისინი მონობისა და სიღარიბისთვის გაწირა. უამრავი შემთხვევაა, როდესაც ჩრდილოეთში და სამხრეთში ერთი ოჯახის ორი დანაყოფი ცხოვრობს, მაგრამ სისტემის გამო, მათ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ პირობებში უწევთ არსებობა. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ჩრდილოეთ კორეაც ზუსტად ისევე იმართება ოლიგარქიული ოჯახების მიერ, როგორც სამხრეთ კორეა. სწორედ ისინი ზრუნავდნენ ჩრდილოკორეელი დიქტატორებისა და მათი შვილების აღზრდაზე და შესაბამისად, მათზე სრულ გავლენას ფლობენ. სამხრეთკორეელი მეგობრებიც მყავს, რომლებსაც ხშირად უთქვამთ, რომ ამერიკელები თუ მოინდომებენ, კორეა ერთ დღეში გაერთიანდება. თუმცა, კორეა დღემდე შუაზეა გახლეჩილი, სამხრეთ კორეელებს კი ამერიკელები შთააგონებენ, რომ მათი მთავარი მტერი ჩინეთია, ჩინელები კი ყველაზე საშინელი ნაციაა.

ჩრდილოეთ კორეა ოლიგარქიული ოჯახებისთვის არის საცდელი ქვეყანა, სადაც ისეთი საზოგადოება იტესტება, როგორიც მთელ სამყაროში სამომავლოდ უნდათ მიიღონ. რაც შეეხება, ევროპის ქვეყნებს, მათ უდიდეს უმრავლესობას დღეს ოლიგარქიული ოჯახების მიერ ხელდასმული აგენტურა მართავს. ერთი ხელიდან იმართება მთელი დასავლური მედიაც. ფსევდოლიბერალიზმი და ლგბტ პროპაგანდა დასავლეთში ზუსტად ისეთივე ტოტალურ იდეოლოგიად აქციეს, როგორც კომუნიზმი ჩრდილოეთ კორეაში. უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, ევროპა ეკონომიკური კატასტროფისკენ მიექანება. უკვე წელიწადზე მეტია, ევროპა აიძულეს, ეკონომიკური თვითდაზიანების რეჟიმზე გადასულიყო, რამაც ევროკავშირის ქვეყნებს ბუნებრივი რესურსები რამდენჯერმე გაუძვირა და ეკონომიკურ რეცესიაში შეიყვანა.

ამ ყველაფრის ფონზე მინდა მივმართო ქართველ ლიბერალებს, რომლებსაც ფსევდოლიბერალური იდეოლოგიით აქვთ ტვინი გამორეცხილი: ნუთუ საქართველო ისეთივე ჩრდილოკორეიზაციისთვის გემეტებათ, როგორისთვისაც ჯერ კიდევ ცივილიზებულ სამყაროს ოლიგარქიული ოჯახები იმეტებენ? ჩვენ გვჭირდება ტრადიციული დემოკრატია, ტრადიციული ადამიანის უფლებები, ტრადიციული მედიის თავისუფლება და ტრადიციული საზოგადოება საქართველოს ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად და ცივილიზებული მომავლის უზრუნველსაყოფად!



# მსოფლიომ ლობიზმი თავის ნებაზე მიუშვა



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა ვებგვერდზე სააკაშვილის ოჯახის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიების აქტივობები გამოაქვეყნა...**

— დიახ, რითაც ირკვევა, რომ სააკაშვილის ოჯახი თანხას უხდიდა ევროპარლამენტარებს მისთვის სასარგებლო რეზოლუციების დაწერაში; ასევე, ევროპის წამების კომიტეტთან კომუნიკაციისთვის; მიშაზე სტატიების დასაწერად; მაგნიტსკის სიაში სააკაშვილის საქმის მომზადებისთვის; ექიმების მოქრთამვისთვის და ა.შ. აი, მედიასაშუალებები ხომ ამზადებენ ხოლმე სიუჟეტებს, რომელი მინისტრი ან პოლიტიკოსი რა ქონებას ფლობს. მე მაინტერესებს, რა ქონებას ფლობს ცოცხალი ფულის სახით გიული ალასანია, როგორ მოახერხა ამ მასშტაბის ლობისტური ქსელის დაქირავება?! ყველა ლობისტს ხომ ფულს უხდიან. გააშუქონ ტელევიზებმა, რა ქონებას ფლობს სააკაშვილის ოჯახი და რა პოლიტიკური

# ოპოზიციას მთავარი ვიოლინო აღარ ჰყავს

მიზანი აქვს ასეთ უზარმაზარ ხარჯს — მხოლოდ ის, რომ მიშას ციხეში ყოფნა არ უნდა?! განა შეიძლება ერთი კონკრეტული ადამიანის სურვილი — გარეთ იყოს, ასე ძვირად დაფასდეს?!

**— აქვე არც ის გამოგვრჩეს, რომ მხოლოდ ციხიდან გათავისუფლების გამო კი არა, თანხები გადახდილია დიდი ბრიტანეთის ოფიციალურ პირებთან კომუნიკაციისთვისაც, რათა მათ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბლინკენი და მაკქოლი დაარწმუნონ, რომ საქართველოს სანქციები დაუწესონ.**

— ეს ძალზედ საყურადღებოა, რაც უკვე მიშას ახირებას — გარეთ გამოვიდეს სცდება და პოლიტიკურ ხასიათს იძენს. ეს ქართული ოპოზიციური სპექტრის ამოცანაა — თუ საქართველოს კანდიდატის სტატუსს არ მისცემენ, ამ საბაბით ხალხს ქუჩაში გამოიყვანენ და რევოლუციას მოაწყობენ. მათ სურთ, ქვეყნის ბედ-იღბალი, სრულიად სათუო სცენარით, არასასურველი მიმართულებით შეატრიალონ. **ნაცებმა ერთი რამ ვერა და ვერ გაიგეს: ქართველ საზოგადოებას არ სურს, „ნაცმოძრაობა" ხელისუფლებაში ხელმეორედ იხილოს.** გავიხსენოთ, 30 აპრილის აქცია — „მოვდივარ". ბევრი ადამიანი პრინციპულად წინააღმდეგია ნაცების ხელისუფლებაში მოსვლის. თუკი „ნაცმოძრაობის" ხელისუფლებაში დაბრუნების რეალური ნიშნები გაჩნდება, ქართველმა ხალხმა მათ შეიძლება თავად მოუწყოს რევოლუცია. ოპოზიცია წამგებიან ნაბიჯებს დგამს. ვერ ხვდებიან, რომ თუ კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემენ, ეს არც მათთვის იქნება მომგებიანი. ვიმეორებ, ნაცების ხელისუფებაში დაბრუნებას შეიძლება წინ უამრავი ადამიანი აღუდგეს და ქუჩაში გამოვიდეს.

**— ამერიკულმა „რუსულმა" კანონმდებლობამ გამჭირვალობის შესახებ („ფარა") ყველა ფულად გარგებას ფარდა ახადა. ამ კანონის მიღება საქართველოსაც სურდა, მაგრამ თავად უცხოელი ელჩების, პრეზიდენტისა და ადგილობრივი მეხუთე კოლონის წინააღმდეგობის შედეგად ეს ვერ მოხერხდა...**

— დიახ, ეს მხარეები რუსულ კანონზე ალაპარაკდნენ. სწორედ ეს ხალხია მზად, ფული გადაიხადოს, რათა საქართველოში რევოლუციისთვის პირობები შეიქმნას. ამიტომ მათ არაფერი დაეჯერებათ. ქართული კანონი „ფარას" იდენტურიც რომ იყოს, მიზეზს მაინც მოძებნიან, რათა ახალგაზრდები ქუჩაში გამოყარონ.

**— რას ცვლის „ფარას" დოკუმენტების გასაჯაროება ქართულ პოლიტიკურ ველზე?**

— ისეთი პოლიტიკური ჯგუფები რომ გვყავდეს, რომელთაც თუ შეარცხვენ, დაიმორცხვებენ, მაშინ შეიძლება ბევრი რამ შეცვლილიყო. მაგრამ ხომ ხედავთ, რა გარიგებაც უნდა გამჟღავნდეს, ისინი მაინც ყელმოღერებული გადმოდიან შეტევაზე. ამ მასალების გამოქვეყნება უფრო მნიშვნელოვანი მერყევი ჯგუფებისთვის იქნება. ასე თუ მიხვდებიან, რომ ნაცების მიმართ კრიტიკა პროპაგანდისტული ტრიუკი კი არ არის, არამედ ფაქტია, რომელიც „ფარამ" გამოაქვეყნა. შედეგად, „ქართული ოცნების" მხარდამჭერები თავს უფრო მყარად იგრძნობენ. თორემ ნაცების მხარდამჭერებზე, არ მგონია, რამემ იმოქმედოს.

**— რამდენად შეცვლის აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენას ევროპელებში, რომლებიც გვეუბნებიან: ევროპულ გზას გადაუხვიეთ, რუსეთისკენ მიდიხართო?**

— მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანებს, რომლებსაც მიაჩნიათ: თუკი ევროპულია, ესე იგი საუკეთესოა. მოსაზრებას, რომ ევროპელი პოლიტიკოსი ყველაზე გამჭრიახი და ჭკვიანია, არ ვიზიარებ. ევროპის და, მით უმეტეს, ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში უამრავი შეცდომა მახსოვს, განსაკუთრებით ჩვენ მიმართ დამოკიდებულებაშიც. ასე რომ, ევროპელები ანგელოზები არ არიან. მათ კარგი ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები შექმნეს, მაგრამ როგორც ადამიანებს, გარკვეული ინტერესები აქვთ. ლობისტურმა ჯგუფებმა ხომ დაგვანახვეს: თუკი ევროპელი ფულით დაინტერესდება, იგი ნებისმიერ პოზიციას დაიკავებს. ამიტომ კითხვაზე, შეცვლის თუ არა ევროპელებში ეს ინფორმაცია რაიმეს, პასუხი ცხადია: იმ ხალხში, ვინც ფულის გამო იკავებს ამა თუ იმ პოზიციას, არაფერი შეიცვლება. ერთადერთი, პოზიციები იმ შემთხვევაში შეიცვლება, თუ ამერიკის ხელისუფლებაში „რესპუბლიკელები" მოვლენ, რომელთა წარმომადგენელ ტრამპს გეგმაში ჰქონდა ლობისტობის აღმოფხვრა. ეს ადვილი არ არის. მსოფლიომ ლობიზმი თავის ნებაზე მიუშვა. დღეს ლობიზმის მექანიზმი მთელ დასავლეთში მუშაობს და ასე ადვილად ვერ შეაჩერებ. მაგრამ ფაქტია, რომ „რესპუბლიკელები" ლობიზმის მიმართ მეტ სიმკაცრეს იჩენენ, ვიდრე „დემოკრატები". „რესპუბლიკელებისთვის" ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნება და, შესაძლოა, „დემოკრატებთან" ბრძოლაშიც გამოიყენონ.

**— ლობიზმი გასაგებია, მაგრამ ლობირებაში ხომ ნაძარცვი ფულია გადახდილი?**

— კიდევ უარესს გეტყვით: დიახ, **ეს ნაძარცვი თანხებია, რომელიც ევროპული პოლიტიკის წინააღმდეგაა მიმართული**. დავუშვათ, საქართველოს სტატუსი არ მისცეს და ის ევროპული გავლენის გარეშე დარჩა. ამან შეიძლება საქართველოში რუსეთის ხაზი გააძლიეროს. შედეგად, რუსეთი საქართველოზე გამავალ სატრანზიტო ხაზებს გააკონტროლებს, საიდანაც ტვირთი ჩინეთიდან ევროპისკენ გადადის. ამ სფეროში რუსეთის ჩარევა ევროპას არ აწყობს. შესაბამისად, ევროპას საქართველოს „აფეთქება" არ აწყობს. ეს არც ამერიკას აწყობს, მაგრამ ლობისტები მაინც ამ მიმართულებით მოქმედებენ. ამიტომ იყო ტრამპი ლობიზმის წინააღმდეგი. ლობისტების მოქმედება შეიძლება ქვეყნის ინტერესებსაც დაუპირისპირდეს. „ფარას" მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები სწორედ ამისი მაგალითია.

**— თავად სააკაშვილის ოჯახს სადამდე მიიყვანს ეს კამპანია?**

— დავუშვათ, უნდათ, მიშა უცხოეთში გაიყვანონ და მერე ციხიდანაც გაათავისუფლონ. უკრაინაში იგი ციხეში არ იჯდა, მაგრამ რა შედეგი ჰქონდა — არაფერი. თუკი აქ ხელისუფლება ნაცებით შეიცვლება (რაც გამორიცხულია), მაშინ მათი დრო დადგება. მაგრამ ამისთვის ლობიზმი საჭირო არ იყო. საქმე ის არის, რომ ნაცებმა საკუთარ თავში არაფერი შეცვალეს, ისევ ის აგრესიული ქმედებები გააგრძელეს, რაც საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო. სჯობდა, გაჩუმებულიყვნენ, ფერი, ინტონაცია შეეცვალათ, რითაც უფრო მოგებული დარჩებოდნენ. მაგრამ მათ რადიკალიზმის გარეშე არ შეუძლიათ. საკუთარი თავის სიამოვნებისთვის უარს არაფერზე ამბობენ, რამაც ნაცების ხელისუფლება კრიზისამდე მიიყვანა. ზომიერება ვერ დაიცვეს, ეგონათ, ყველაფრის გაკეთება შეეძლოთ, რასაც მოისურვებდნენ. შედეგიც შესაბამისი მიიღეს. **ნაცები წაგებისთვის განწირული ჯგუფია**. ვინც მათ მიეკედლება, ისიც განწირულია.

**— ოპოზიცია კოალიციებს ქმნის. როგორ აფასებთ, ამ გადალაგებებს?**

— მიხარია, რომ ოპოზიციური განწყობილებების მქონე ადამიანებში რეალიზმმა იმატა. სხვადასხვა ოპოზიციური ჯგუფები ხაბეიშვილი-ვაშაძის ალიანსს კარგი თვალით არ უყურებენ და არც გაერთიანების იდეას იზიარებენ. ადრე ნაცების ნათქვამს უსიტყვოდ ასრულებდნენ. მაგალითად, „ლელოს" მიაჩნია, რომ პარტიამ უნდა იბრძოლოს და ამ ორ პოლუსს შორის ღირსეული ადგილი მოიპოვოს. სულისკვეთება, რომ პარტიებმა ამომრჩევლების და არა ერთმანეთის მიზიდვაზე იმუშაონ, კარგია. რიგი პარტიები კი ეხუტებიან ერთმანეთს, მაგრამ თუ მათი ამომრჩეველი იგივეს არ გააკეთებს, მარტო მათი ჩახუტება არაფრის მომცემი იქნება. ამ არჩევნებში ამ პარტიებს არაფერი ეშველებათ, მაგრამ მომავალში შეიძლება პროდუქტიული პროგრამები დაიდოს.




**— რაც უნდა ბევრი პოლიტიკური ცენტრი შეიქმნას, როგორც ჩანს, „ქართული ოცნების" წელში გადატეხვას მაინც ვერ შეძლებენ?**

— ცენტრი არის წერტილი ხომ. თუ ამ წერტილმა ამომრჩეველი ვერ მიიზიდა, მაშინ ის ქართული პოლიტიკის გამონაყარად დარჩება. 2%-იანი პარტიების გაერთიანება ამომრჩევლის გაერთიანებას არ ნიშნავს, პირიქით, ასე უარეს დღეში აღმოჩნდებიან. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ოპოზიციური პარტიები თანამშრომლობას შეჩვეულნი არ არიან, თუ მათ საერთო ლიდერი არ ჰყავთ. ივანიშვილის გამოჩენამ როგორც საერთო ლიდერისა, თავის დროზე კოალიცია შექმნა, სადაც „რესპუბლიკელები", ალასანიას პარტია და სხვები გაერთიანდნენ. ეს კოალიცია ივანიშვილის ფაქტორმა შექმნა. ივანიშვილი რომ არა, ეს პარტიები გაერთიანდებოდნენ? — არა, ხომ. ასეთი საერთო ლიდერი, რომელიც მათ ერთიანობას შეკრავდა, დღეს ოპოზიციას არ ჰყავს.

**— მიშა არ გამოდგება გამაერთიანებლად?**

— მიშა უკვე აღარ გამოდგება. იგი გავლენის მქონე ფიგურა ვერ იქნება. ჯერ ერთი, სააკაშვილს უნდა მოეხერხებინა, რომ პოლიტიკური წონა და იმიჯი შეენარჩუნებინა. მისმა ახლობლებმა განაცხადეს: ჭკუასუსტიაო, ახლა როგორღა იტყვიან, გენიალური პოლიტიკოსიაო. ეს დამაჯერებელი არ იქნება. მოსახლეობის ოპოზიციურად განწყობილ ნაწილშიც მიშას ავტორიტეტი ძალიან დაბალია. ასე რომ არ იყოს, არ გვეყოლებოდა მოსახლეობის 60%, რომელსაც არცერთი პარტიის ხელისუფლებაში მოსვლა არ სურს. ვერც მიშა და ვერც მისი პარტია ხალხისთვის მიმზიდველი ვერ იქნება, რადგან მათ დაუჩემებიათ: ჩვენი მიზანია, ივანიშვილს შევებრძოლოთო. კი მაგრამ, ხალხის მიზანი არის, რომ ივანიშვილს შეებრძოლონ? განა ამ ხალხს სურს, რომ ნაცები დაბრუნდნენ და ახალგაზრდები კვლავ ქუჩაში ხოცონ?! 2012 წელს საზოგადოება მობილიზდა, რათა ნაცები სახლში გაეშვა. ეს არ არის დასკვნის გაკეთების საბაბი, რომ ხალხი მათ დაბრუნებას არ დათანხმდება?! იმეორებენ: ჩვენი მიზანია, ივანიშვილი სახლში გავუშვათო. ეს არასწორია, ხალხი ამაზე არ გამოგყვება, რადგან ის ივანიშვილისგან კი არა, სააკაშვილის რეჟიმისგან არის გაწამებული.

**— სააკაშვილი თუ არა, მაშინ ვინ არის ოპოზიციის მთავარი ვიოლინო?**

— არა მგონია, მათ მთავარი ვიოლინო ჰყავდეთ, რადგან ყველა ამ ვიოლინოს თავისი დიდი ხარვეზები აქვს. ხელისუფლებიდან წასვლის მერე ერთ-ერთი ძლიერი ფიგურა გახარია იყო, ასევე ბესელიაც, მაგრამ ახლა არსად ჩანან. ასე რომ, მათ წამყვანი პოზიციები დიდი ხნის წინ დაკარგეს. ქართული ოპოზიციური სპექტრის წაგების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ მსოფლიო პოლიტიკას მოწყვეტილია. დააკვირდით, ასი წლის ჰენრი კისინჯერი ჩინეთში ჩავიდა. ეს კარდინალური მნიშვნელობის მოვლენაა, რამაც მსოფლიო პოლიტიკის გადანაწილებაში შეიძლება საკვანძო მნიშვნელობა შეიძინოს. ქართული ოპოზიცია ამაზე რამეს ამბობს?! მხოლოდ გაუთავებელი კამათი მიდის, საქართველოს ნატოში მიღება-არმიღებაზე. ჩვენ სულ დედის წინ მორბენალი კვიცის როლში ვართ. ქართველი ხალხი ხედავს, რა ხდება მსოფლიოში. მერე ამ ფონზე ოპოზიციის არადამაჯერებელ ტექსტებს რომ ისმენს, ეს სულელურ შთაბეჭდილებას ტოვებს. სისულელეებზე აყოლა მოქალაქეებს აღარ სურთ. დიახ, ოპოზიციის მთავარი პრობლემა ისაა, რომ მსოფლიო პოლიტიკური პროცესებიდან ამოვარდნილია. ისინი საბავშვო ბაღის დონის პოლიტიკას აწარმოებენ, რაც მათთვის მხარდამჭერების დაკარგვის ერთ-ერთი ფაქტორი იქნება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

# განათლებული არამზადები - სამხედრო გაერთიანება „ნატო“

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებული გარემოება შეიქმნა ევროპაში. საბჭოთა კავშირის არმია უკუქცეული მტრის დევნისას ღრმად შეიჭრა აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ტერიტორიაზე. დოკუმენტურ ფილმებსა და სურათებზე ვხედავთ, როგორი სიხარულით ხვდება ფაშისტებისგან განთავისუფლებული ქვეყნების მოსახლეობა განმათავისუფლებელ არმიას, მაგრამ პოლონეთის, ჩეხეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ავსტრიისა და გერმანიის საბჭოთა კალთის ქვეშ მოქცევამ, უპირველესად, აშშ დააფიქრა. საბჭოთა კავშირმა სტრატეგიული პოზიციები დაიკავა ევროპაში, რაც იმის წინაპირობას ქმნიდა, რომ გავლენის სფეროს გაფართოებაზეც იფიქრებდა სტალინი, მით უმეტეს, რომ საფრანგეთში, იტალიასა და საბერძნეთში კომუნისტური იდეოლოგიის მიმართ სიმპათიურად განწყობილი პოლიტიკური ძალების მომძლავრება თვალშისაცემი გახდა.

როდესაც სტალინმა გააჟღერა ფრაზა: „ამერიკა ჩვენი პირველი მტერია“, მას მოლოტოვი შეეწინააღმდეგა, სტალინმა კი საკუთარი აზრი ასე დაასაბუთა: „ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, გეტყვით, რომ, როგორც ბრიტანელების, ასევე გერმანელების ზურგსუკან სწორედ ამერიკა დგას და მათი პოლიტიკა, როგორც ჩვენ წინააღმდეგ, ასევე მთელი ევროპის წინააღმდეგაა მიმართული. აქ უმარტივესის სქემაა — ევროპის უკიდურესად დასუსტება. ამის ხარჯზე გაძლიერება და შემდეგ საკუთარი პოლიტიკის გატარება, მათი პოლიტიკა კი სხვა ქვეყნების კოლონიზაცია და მათი რესურსებით სარგებლობაა. ტყუილად კი არ შექმნეს „ამერიკული დემოკრატიის მამებმა“ შეერთებული შტატები. ამერიკის შექმნა ანგლოსაქსების შორსმიმავალ გეგმებში შედიოდა და რაც ახლა ვთქვი, სწორედ იმას ისახავს მიზნად. როგორც კი ამ ომში გავიმარჯვებთ, სწორედ ამერიკასთან ჭიდილისთვის უნდა ვიყოთ მზად“.

მოსალოდნელ საფრთხეზე 1946 წლის გაზაფხულზე უინსტონ ჩერჩილმა გაამახვილა ყურადღება და პირველად გამოიყენა ტერმინი „რკინის ფარდა“.

1947 წელს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა წარმოადგინა გეგმა, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციასა და ეკონომიკურ აღორძინებას ითვალისწინებდა (პროგრამა 1952 წლამდე გაგრძელდა). ამ გეგმით აშშ აქტიურად ჩაერთო დასავლეთ ევროპაში მიმდინარე ყველანაირ პროცესში. 1948 წელს, ვითომდა აშშ-ისგან დამოუკიდებლად, საკუთარი ხედვით, ევროპის ხუთმა სახელმწიფომ (ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი) ხელი მოაწერა „ბრიუსელის პაქტს“, რაც ნატო-ს დაარსების საფუძველი გახდა. ერთ წელში კი, 1949 წელს, საბჭოთა კავშირის შიშით, მის საპირწონედ შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია, სამხედრო პოლიტიკური ალიანსი ნატო და დაიმატა ქვეყნები: აშშ, კანადა, დანია, ისლანდია, იტალია, ნორვეგია და პორტუგალია.



ნატო-ს წესდებაში ვკითხულობთ, რომ ალიანსი მკაცრად იცავს და პატივს სცემს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა: წევრი ქვეყნების სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, დემოკრატია, ინდივიდუალური თავისუფლება, ადამიანთა უფლებები და კანონის უზენაესობა. ნატო არის ორგანიზაცია, სადაც წევრები ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს. ალიანსში ყველა გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსის საფუძველზე თითოეული წევრი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. მე-5 მუხლში მოცემულია კოლექტიური თავდაცვის ვალდებულება — ერთ ან ერთზე მეტ სახელმწიფოზე განხორციელებული თავდასხმა განიხილება როგორც ნატო-ს ყველა წევრ სახელმწიფოზე თავდასხმა და გამოიწვევს საჭირო ქმედებას, მათ შორის, სამხედრო ძალის გამოყენებას.




აი, რაში ყოფილა საქმე! თურმე მხოლოდ წევრ ქვეყნებს ეხება ყველა ის „სიამე“, რაც ჩამოთვლილია, დანარჩენ ქვეყნებს შეხედულებისამებრ მოექცევიან.

ნატო-ს წევრი ქვეყნები ერთმანეთს რა ფერის ნაჭრით უხვევენ თვალს, არ ვიცი, მაგრამ გარედან და თვალხილულზე გარკვევით ჩანს, რომ ნატო აშშ-ის პირადი ჯარია და მხოლოდ აგრესიული სადამსჯელო ფუნქცია აქვს. თუ მის ინტერესებშია ან სისხლისღვრის სურვილი წამოუვლის, დაარქმევს ამას „სამშვიდობო მისიას“, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში თავს დაესხმება მიზანს და ალიანსის სხვა წევრებსაც თავისთავად აიყოლიებს. სხვა მხრივ ერთმანეთს არაფერში არგიან (არათუ სხვისთვის გააკეთონ რაიმე სასარგებლო), რადგან არავინ ესხმის თავს აშშ-ევროპას...

1949 წლიდან ნატო დაირქვა აშშ-ის მადამ და მსოფლიო ჟანდარმობა მოინდომა. დედამიწის მეორე ნახევარსფეროში არაფერი ესაქმებათ, მაგრამ სადაც გაუვათ, ყველგან უნდა იყვნენ. ჩვეულებრივი ამბავია, კრიმინალები შთამომავლებს, რომლებმაც აშშ შექმნეს, კრიმინალური სისხლი უყივით...

ევროპელი კრიმინალების მიერ დაარსებული აშშ საკუთარი ქვეყნებიდან გაქცეულთა თავშესაფარი გახდა. აშშ-ში თავშეფარებულთა მხოლოდ ერთი ნაწილი იყო ინტელიგენცია, რომელიც საკუთარ ქვეყანაში არსებულ აკრძალვებს, წნეხს ან სიღარიბეს გაექცა, უდიდესი უმრავლესობა კი კვლავაც კრიმინალური მენტალიტეტის მქონენი არიან.

სხვათა შორის, განათლებული არამზადა ბევრად დაუნდობელია.

ფოტოზე ის სამი გარეწარია გამოსახული, რომლებიც 23 წლის განმავლობაში 9 ქვეყანაში შეიჭრნენ და 11 მლნ მშვიდობიანი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს, მალე მათ მექრთამე და გაუკუღმართებულ სექსის მოყვარეთა მფარველი ღვთაებაც შეურთდება სულებთან კონტაქტორ კუანა ჯო ბაიდენის სახით, რომლის ადმინისტრაციის ძალისხმევამაც მიწასთან გაასწორებინა რუსეთს უკრაინა..

დაწყებული ამერიკის კონტინენტზე პირველი მოკლული ინდიელიდან, იმდენი მკვლელობა აქვთ ჩადენილი უეროვნებო მსოფლიო კრიმინალთა ნაკრებსა და მათ შთამომავლებს გაერთიანებული სახელით „ამერიკა და ამერიკელი“, ვინ მოთვლის. მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე რომ დაიწყო აშშ-მ დაბომბვები, დაწყებული ჩინეთიდან, აღარ გაჩერებულა. ის ხომ ვამპირივით სისხლით იკვებება და დაანგრია და დააქცია: ჩინეთი, კორეა, გვატემალა, ინდონეზია, კუბა, კონგო, პერუ, ლაოსი, ვიეტნამი, კამბოჯა, გრანადა, ლიბანი, ლიბია, სალვადორი, ნიკარაგუა, პანამა, ერაყი, სუდანი, ავღანეთი, იუგოსლავია და ა.შ.

და აი, ამ კრიმინალური მენტალიტეტის მქონე განათლებულმა უსამშობლო არამზადებმა შექმნეს ნატო და მუჭში მოიქციეს ევროპა. დაქცეული საბჭოთა კავშირის ფონზე, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, უდრტვინველად დაიწყო ნატო-მ ე.წ. სამშვიდობო ოპერაციები.

1995 წელს ბოსნია-ჰერცოგოვინაში ნატოს თვითმფრინავების იერიშიდან დაწყებული: კოსოვოს კონფლიქტი და ნატო;

ნატოს მისია მაკედონიაში, (ოპერაცია კოდური სახელწოდებით „მთავარი მოსავალი“);

ნატოს როლი ერაყში;

ნატოს როლი დარფურში (აფრიკა, სუდანის რესპუბლიკა);

ნატოს როლი ავღანეთში;

ნატოს როლი ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტში.

ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის დროს აშშ-ის იმჟამინდელმა თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა ჟურნალისტებს განუცხადა: „როდესაც არსებობს ორი ქვეყანა, რომლებსაც აქვთ ბირთვული იარაღი, სიტუაცია საშიშიაო“ და ვეღარ გაივაკეს თავისებურად.

აღსანიშნავია 1999 წელს ნატო-ს სამხედრო ოპერაცია იუგოსლავიის წინააღმდეგ, როდესაც ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის დიდი რაოდენობით მცირეწლოვანი დაიღუპა.

კიდევ ერთხელ გადახედეთ ნატო-ს წესდებას — ჩამოთვლილთაგან რომელიმე შემთხვევაში ვინმე თავს დაესხა ალიანსის წევრ რომელიმე ქვეყანას?

იუგოსლავიაზე ნატო-ს სამხედრო აგრესიული თავდასხმა ნატო-მ იმით ახსნა, რომ ეთნიკური კონფლიქტის შეწყვეტის აუცილებლობა დაინახა და გაერო-ს მანდატი ფეხებზე ამიტომ დაიკიდა; კონფლიქტის შესაწყვეტად რომ მშვიდობიანი მოსახლეობა ამოწყვიტა, ამას არას დაგიდევთ... *არც ის არის მნიშვნელოვანი,* რომ ნატო-მ გამოიყენა იარაღი, რომელიც ნიურნბერგის ქარტიით, აგრეთვე, ჰააგისა და ჟენევის კონვენციებით არის აკრძალული. ნატო იუგოსლავიაში იყენებდა ურანის დაბალი შემცველობის ბომბებს, რომლებიც რადიოაქტიურიც არის და ტოქსიკურიც. გარდა ამისა, ნატო-მ გამოიყენა ე.წ. კასეტური ბომბები, რომელთა გამოყენება მოგვიანებით ოტავის კონვენციით აიკრძალა. გგონიათ, ამ თავხედ ალიანსს რამე აკავებს? ახლა უკრაინაში აგზავნის იმავე აკრძალულ საბრძოლო მასალას.

აშშ-ის ინიციატივითა და ალიანსის სხვა წევრების მხარდაჭერით ნატო ჩვეულებრივი მსოფლიო ჟანდარმია!

2014 წლის „ყირიმის ამბების“ საპასუხოდ, ალიანსმა გადაწყვიტა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და პოლონეთში სამხედრო დანაყოფები განელაგებინა, ესტონეთში — დიდი ბრიტანეთის, პოლონეთში — აშშ-სი, ლატვიაში — კანადის, ლიტვაში — გერმანიის. ამასთანავე, მიიღეს კომპლექსური პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავდა უკრაინის ჯარის ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოებას, უკრაინის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას და მის ფინანსურ დახმარებას. მიიღეს პაკეტი და რაც მიიღეს რეალურად, ვხედავთ! თუ ვინმეს ჯერ კიდევ ჰგონია, რომ უკრაინა ვინმეს ანაღვლებს, მწარედ ცდება!

დაწყებულია უკრაინის ფაქტობრივი გაყიდვის პროცესი. ამ ეტაპზე ძირითად ინტერესს წარმოადგენს ქვეყნის ელექტროგაყვანილობის ქსელები და ნაყოფიერი შავმიწა ნიადაგი. დღეისათვის დადებული ხელშეკრულებებით, უკრაინის კადასტრში აღრიცხული 40 მლნ ჰექტარი მიწებიდან 17 მლნ ჰექტარის მფლობელები უკვე გახდნენ კომპანიები: **Cargill, Dupont** და **Monsanto.** კომპანია **Black Rock**-ის ინტერესებს წარმოადგენენ ისეთი უკრაინული გიგანტები, როგორებიც არიან: **Metinvest, DTEK** (ენერგეტიკა), **Pr JSC MHP** (სოფლის მეურნეობა), „ნავთობგაზი“, „უკრაინის რკინიგზა“, „უკრაინის საავტომობილო გზები“, „უკრენერგო“.

განათლებული არამზადები იყვნენ ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელთა ოთხიათასიან კასტაშიც. ოფიციალური სტატისტიკით, მათ შორის იყო: 1050 მეცნიერებათა დოქტორი; 225 საპატიო დოქტორი; 21 ორგზის დოქტორი; 350 პროფესორი; 116 საიდუმლო მრჩეველი;




150 დიპლომიანი სპეციალისტი; ნობელის პრემიის 2 ლაურეატი და მხოლოდ 30 კაცი იყო უმაღლესი განათლების გარეშე, მათ შორის, ჰიტლერი.

ამ ოთხიათასი კაციდან 670 დიდგვაროვანი არისტოკრატი იყო, 850 — წიგნის ავტორი, სხვები კი თავისებურად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი „ტვინები“ იყვნენ...

ნიურნბერგის პროცესზე თეთრ ნაჭერში გახვეული საგანი რომ შეიტანეს და გახსნეს, დამსწრე საზოგადოებამ ამოიგმინა სამაგიდო ქანდაკების დანახვაზე. ის იყო ლაქწასმულ ხის ფეხზე დამაგრებული ადამიანის გამხმარი თავი უკან გადავარცხნილი ხშირი თმით, რომელიც ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის უფროსის მაგიდას „ამშვენებდა“. ბანაკის დერეფანში ლაკონური რეცეპტი „ადამიანის ცხიმი ხარშე 5-7 წუთი და მიიღებ საპონს“, ცხვირწინ დადებულ გამხმარ თავთან შედარებით არაფერია...

იმავე პროცესზე წარმოდგენილი იყო ადამიანის ტყავისგან დამზადებული ნაწარმი: ქალის კოხტა ფეხსაცმელი, ხელჩანთა და მოდური ქურთუკიც კი. იმხანად მაღალი საზოგადოების ქალბატონებში განსაკუთრებით ფასობდა ნაკეთობა, რომელზეც შენარჩუნებული იყო ადამიანის მიერ სიცოცხლეშივე გაკეთებული ტატუ... ოსვენციმის ბანაკის უფროსად რიგითი და უბირი ადამიანი არ ინიშნებოდა... მიდიოდა ეს კაცი სამსახურში და საქმიანი სახით ბეჯითად წერდა ბრძანებებს, რამდენი ადამიანი უნდა მოეწამლათ სპეცკამერებში „ციკლონ ბ-თი“ და დაეწვათ კრემატორიუმებში, მაგიდიდან კი ადამიანის გამხმარი თავი შესცქეროდა...

ნაცისტების დასჯამდე მათთან მუშაობდა ფსიქიატრ-კრიმინალისტი დუგლას კელი, რომლის კვლევის შედეგები გასაოცარი აღმოჩნდა — მილიონობით ადამიანის ამომწყვეტთა ფსიქიკა არაფრით განსხვავდებოდა ჯანსაღი ადამიანის ფსიქიკისგან, მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები კი საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა. 24 მსჯავრდებულიდან არცერთმა არ მოინანია ჩადენილი დანაშაული არც სასამართლოზე და არც მათთვის მიჩენილ სასულიერო პირებთან. ვერაფრით აიხსნა მათი განსაკუთრებულად ცინიკური სისასტიკე — ნაცისტების ფსიქიკა წესრიგში იყო, ერიც მაღალი კულტურითა და ინტელექტით გამოირჩეოდა...

უმთავრესი ის გახლავთ, რომ არ დასჯილან უშუალო შემსრულებლები. თუნდაც ის ექიმები, რომლებიც წარმოუდგენელ ექსპერიმენტებს ატარებდნენ ადამიანებზე. ჩვენ მხოლოდ ექიმი მენგელე ვიცით, მაგრამ რამდენი ასეთი „მენგელე“ იყო...

სად წავიდნენ ის უცნობი აღმასრულებლები, ან ვინ არიან მათი შთამომავლები?

მიზეზთა გამო, ადამიანები მნიშვნელოვნად მოიკოჭლებენ აღქმებში, მაგრამ ყველა თავის საკეთებელს აკეთებს და საქმის გამგრძელებლებსაც ტოვებს...

ნატო-ს შექმნა რომ ევროპის იღლიაში ამოსადები ფარსი იყო და მხოლოდ აშშ-ის ინტერესებს მოემსახურებოდა, სტალინმა ეს წინსწრებით განსჭვრიტა, ნატო-ს წევრი ქვეყნები კი მუქთახორა და ლაჩარი ბრიყვები აღმოჩდნენ. ფაქტი სახეზეა! აშშ ისე ექცევა ყოველმხრივ გაკოტრებულ ევროპას, როგორც მისთვის არის სარგებლის მომტანი.

არავინ აქცევს ყურადღებას ერთ ფაქტს, რომ ევროპაში საკონცენტრაციო ბანაკების ლოგისტიკას უზრუნველყოფდა ამერიკული კომპანია **IBM**, რომელიც გერმანიაში წარმოდგენილი იყო ფასადური კომპანიით **Dehomag**, ხოლო ევროპაში ღიად — **IBM**. გერმანული „მესერშმიტები“ მხოლოდ ამერიკულ ნავთს იყენებდნენ, ჰიტლერის პირადი ბანკირი ჯორჯ დაბელიუ ბუშის ბაბუა იყო. ამ კავშირების შესახებ არავინ იცოდა და არც ახლა იცის, ხომ?

არც ის იცოდა არავინ და არც ახლა იცის ვინმემ, რომ ვატიკანის მოწმობებით გაიფანტა ამერიკის კონტინენტზე 10 000 ფაშისტი დამნაშავე, ხომ?

ნაცისტურ-ფაშისტური სამსახურების დაქვემდებარებაში, როგორიც იყო „ესესი“, „ანანერბე“ და სხვა საიდუმლო ოკულტურ-იდეოლოგიური ქვედანაყოფები, მიათი შინაარსითა და იდეოლოგიით, თავდაპირველად ბრიტანეთში შეიქმნა პირადად მეფის ინიციატივით. ძირითადი საკოორდინაციო და იდეოლოგიურ-ფინანსური მართვითი ბერკეტები შვეიცარიის ბერნსა და ვატიკანში მდებარეობდა. მოგვიანებით, ნაციზმისა და მესამე რაიხის ფორმირება-განახლება გერმანიის მეშვეობით მოახდინეს, სადაც ბავარიელი ილუმინატები განაგებდნენ ნებისმიერ სიტუაციას ფრონტსა თუ იმპერიის საზღვრებში და შემდეგ რა სიკვდილის მანქანაც შექმნეს მესამე რაიხის სახით, კაცობრიობამ საკუთარ თავზე იწვნია.

**ნიურნბერგის პროცესი ცალკეულ პირთათვის შედგა, მაგრამ ფაშისტი მკვლელი ოფიცრები, რომლებიც მართლმსაჯულებას გაექცნენ, ნატო-სა და გაერო-ს სამსახურებში მოექცნენ დამსახურებისდა მიხედვით. მათ შორის არცთუ მცირე რაოდენობა აშშ-ის დაზვერვაში დასაქმდა** და მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიეს კოსმოსური ტექნოლოგიების წარმოებასა და განვითარებაში.

1961 წლიდან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილეები იყვნენ, მესამე რაიხისა 136 გენერალი და ადმირალი გერმანიის სამხედრო სამსახურებში (ბუნდესვირი) დაინიშნა.

ამავე წლიდან „ესესისა“ და „გესტაპოს“ საიდუმლო სამსახურის ოფიცრები უკვე ნატო-ში ინიშნებიან წამყვან პოსტებსა და პოზიციებზე. მათ შორის იყვნენ: გერჰარდ ვაგნერი, იოჰანეს შტეინჰოფი, ჰანს შპაიდელი, ადოლფ ჰოიზინგერი და სხვები. ყველა ხსენებული ოფიცერი გაწევრიანებული იყო სატანურ გაერთიანებაში „შავი ქალა და ძვლები“. ამ ორგანიზაციის წევრები ასევე იყვნენ: მამა-შვილი ბუშები, მაკკეინი, ჰარი ტრუმენი, რონალდ რეიგანი და სხვა მრავალი. სხვათა შორის, აშშ-ის დღევანდელი სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენიც ამ გაერთიანების წევრია.

კურტ ვალდჰაიმი, მესამე რაიხის „რუხი კარდინალი“, 1968-1970 წლებში ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე და ორჯერ გაეროს თავმჯდომარე (1972, 1982 წლებში) იყო, 1986 წელს კი ავსტრიის პრეზიდენტად აირჩიეს.

ვერნერ ფონ ბრაუნი, რომელიც იმ დროში ყველაზე ძლიერი ინჟინერი იყო სამხედრო კოსმოსურ სარაკეტო დარგში ნაცისტურ გერმანიაში, ომის დამთავრების შემდეგ აშშ-ში აღმოჩნდა და იქ განაგრძო მუშაობა იმავე სფეროში. სწორედ მისი დამსახურებით განვითარდა კოსმოსური სარაკეტო ტექნოლოგიები აშშ-ში. მან შექმნა რაკეტა „სატურნი-V“ და მის პლატფორმაზე შეიქმნა „აპოლოს“ პროექტი, რომლის მეშვეობითაც ამერიკელები მთვარეზე დაჯდნენ. 1970 წელს ის ხელმძღვანელობდა ნასა-ს დაგეგმარების აბსოლუტურად ყველა პროექტს. ის იყო „შავი არისტოკრატიის“ ერთ-ერთი ფრთის, როზენკროიცერების წევრი.

ადოლფ ჰოიზინგერი ის გენერალი იყო, რომელიც მონაწილეობდა პოლონეთის, დანიის, ნორვეგიისა და საფრანგეთის დაპყრობის ოპერაციებში. 1957-1961 წლებში მნიშვნელოვან პოსტზე მუშაობდა ბუნდესვერში. ის ასევე ხელმძღვანელობდა ნატო-ს სამხედრო კომიტეტს ვაშინგტონში. ჰოიზენგერი ისევე, როგორც ბრაუნი, როზენკროიცერი გახლდათ.

ეიჰარდ გელენმა, ფაშისტების ყველაზე ცნობილმა მზვერავმა, ჯერ კიდევ ომის დროს დაიწყო მუშაობა აშშ-ში. სსრკ-ის შესახებ ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციებს ფლობდა გელენი, რომ შტატებისთვის საჭირო კაცი გახდა. 1950-იან წლებში აშშ-მ თავად შტატებში შექმნა გერმანული სპეცსამსახურები, რომელთა თავკაცად გელენი დაინიშნა. ეს იყოს სპეცსამსახურები, სადაც ნაცისტური გერმანიის საიდუმლო სამსახურების 350 ყოფილი ოფიცერი ირიცხებოდა, დღეს ამ სამსახურს **BND**-ის სახელწოდებით იცნობენ. გელენი ბილდერბერგის მთავრობის წევრიც გახლდათ.



ჰანს შპაიდელმა, ჰიტლერის გენერალმა, ომის შემდეგ ნატო-ში საკმაოდ მაღალი პოსტი დაიკავა. 1950 წელს კონრად ადენაუერი შპაიდელს სამხედრო წარმომადგენლობით პოსტზე ნიშნავს და 1955 წელს გენერლის წოდებასაც უბრუნებენ. ჰანს შპაიდელი მასონური ლოჟის „რომის კლუბის“ წევრი, ომის დროს ვატიკანიდან იღებდა რჩევებს...

მეთოდები მოძველდა, მაგრამ მუშაობს უკვე განახლებული, ათმაგი შემართებით რუსეთისა და ყოფილი რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ მყოფი ერების წინააღმდეგ. კაცობრიობის პარაზიტებს სრულებით არ ანაღვლებთ, რომელი ერი დაზარალდება, მთავრია, დაამარცხონ რუსეთი და მიაღწიონ მთავარ მიზანს, დაიპყრონ და დაეუფლონ: ყირიმს, კავკასიას და ციმბირს!

ახლანდელი ნეოფაშიზმი ბევრად შემზარავი იქნება. ბიორობოტები უამრავ უბედურებას ჩაიდენენ და ბრბოს დააჯერებენ, რომ ბოროტება სიკეთეა.

ციფრული ფულის, მისი მუშაობის სქემისა და სისტემის შესახებ საქმეში ღრმად ჩახედული ადამიანი რომ საუბრობს, ამას ვერ სწვდებიან სიღრმეში, მხოლოდ ზედაპირს ხედავენ, „ისედაც ყველაფერი კარტაზე მაქვსო,“ — გაიძახიან და სხვა რა უბედურება ხდება ან მოხდება, იმას გააგებინებ? ხალხი ხომ აღარ აზროვნებს, შეუმჩნევლად და თანმიმდევრულად გამოალაყეს...

მსოფლიო კრიმინალურ ნაკრებს დაემატა ფაშისტი და ამერიკელი განათლებული არამზადები და მივიღეთ სამხედრო გაერთიანება „ნატო“!..

„**NATO** იმსახურებს კრიმინალური ორგანიზაციის იარლიყს“, **Alfred de Zayas - La NATO merita l’etichetta di “organizzazione criminale”**. ამ სათაურით დაიბეჭდა ვრცელი სტატია იტალიურმა გამომცემლობა **L’Antidiplomatico**-მ, რომლის ავტორია ალფრედ დე ზაიასი, ჟენევის დიპლომატიის სკოლის საერთაშორისო სამართლის პროფესორი და გაერო-ს ყოფილი დამოუკიდებელი ექსპერტი.

„საქმე ის გახლავთ, რომ თუ **NATO**-ს ძალებმა 1990-იანი წლებიდან დღემდე ჩაიდინეს კაცობრიობის წინააღმდეგ და ომის და სხვადასხვა დანაშაულებები, დღეს მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა აღიაროს **NATO** როგორც საფრთხე, რომელიც მიმართულია კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ. მისი სერიული პროვოკაციები წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს ჩვენი, როგორც ადამიანთა პოპულაციის გადარჩენისთვის. თუ **NATO** იმსახურებს „კრიმინალური ორგანიზაციის იარლიყს, მთავარია არა ცალკეული ომის დამნაშავეების გასამართლება, არამედ ძირითადი საფრთხის განეიტრალება“, — ნათქვამია სტატიაში.

მე ხომ არ ვთხზავ ამ ამბებს, დოკუმენტური მასალაა და ვისაც გონება უჭრის, დასკვნებსაც თავად გამოიტანს...

**ნინო დაუშვილი**

# ნურავის ეგონება, რომ უკრაინას ვინმე უანგაროდ ეხმარება

## საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველაზე მეტი ბირთვული იარაღი უკრაინაში იყო



*გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, დაჯგუფება „ვაგნერი“ ბელორუსში, უკრაინისა და პოლონეთის საზღვრებთან ახლოს წვრთნებს იწყებს. პოლონეთი რუსეთისგან დივერსიებს არ გამორიცხავს. თავად პუტინი კი პოლონეთს დაემუქრა: თუ ბელორუსს საფრთხე შეექმნება, ეს როგორც რუსეთზე თავდასხმა ისე განიხილება და პასუხიც შესაბამისი იქნებაო...**

— ომი რთულ ფაზაში შევიდა. ის, ცალსახად, რუსეთსა და ნატო-ს ალიანსის წევრ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს. მართალია, ომში ცოცხალი ძალით არ მონაწილეობენ, მაგრამ უკრაინას იარაღს აწვდიან და მას ეხმარებიან. რაც შეეხება ვაგნერს, ის გასამხედროებული ორგანიზაცია იყო, რომელიც ყოველთვის რუსეთის ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდა. დღეს პრიგოჟინი და ვაგნერის დაჯგუფების ნაწილიც ბელორუსიის ტერიტორიაზე იმყოფებიან. პუტინმა დაინახა საფრთხე, რომ პოლონეთის ხელისუფლებას დასავლეთ უკრაინის ტერიტორიის მიერთება სურს და შესაბამისი ტერიტორიული ინტერესები ბელორუსის მიმართაც აქვს. ამიტომ, გასამხედროებული ორგანიზაციის — ვაგნერის, რომლის წევრების დიდი ნაწილი პატიმრები არიან, ბელორუსის ტერიტორიაზე გადასროლა შემთხვევითი არ არის. აღნიშნული პოლიტიკური თამაშები, უპირველესად, პოლონეთისა და ლიტვის წინააღმდეგაა მიმართული. ეს აშკარაა. პუტინმა პირდაპირ განაცხადა: ვინმეს არ შეგეშალოთ და ბელორუსს ტერიტორიული პრეტენზიები არ წაუყენოთ, ის რუსეთის მოკავშირეა და თუ ასე მოიქცევით, ისე ვიმოქმედებ, როგორც საჭიროდ ჩავთვლიო. მეტიც, რუსეთის ხელისუფლებამ ბელორუსის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღი განათავსა. ეს მსოფლიო პოლიტიკის ხელახალი გადატრიალებაა. 1994 წელს ბუდაპეშტის ხელშეკრულების თანახმად, ბელორუსის ტერიტორიიდან ბირთვული ქობინები გაიტანეს. მანამდე ბირთვული იარაღი საბჭოთა კავშირის ოთხ ქვეყანაში იყო განლაგებული: ბელორუსში, რუსეთში, უკრაინასა და ყაზახეთში. საინტერესო ფაქტს გეტყვით: მას მერე, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რუსეთისა და აშშ-ის შემდეგ, ყველაზე მეტი ბირთვული ქობინი უკრაინაში იყო. თუმცა, უკრაინის მაშინდელმა ხელისუფლებამ უკრაინელი ხალხის ინტერესები დოლარებზე გაყიდა, კერძოდ, 500 მილიონ დოლარად, რაც დოკუმენტურად დადასტურებულია. ეს თანხა, რომელიც აშშ-მ გამოყო, უკრაინელი მაღალჩინოსნების ჯიბეებში დაილექა, დაწყებული კრავჩუკიდან, რიგითი ოფიცრით დამთავრებული. აშშ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის ინტერესში შედიოდა, რომ ბირთვული იარაღი ამ ქვეყნებიდან გასულიყო და ერთი სახელმწიფოს — რუსეთის ხელში თავმოყრილიყო. ამიტომ რაც ახლა ბელორუსში ხდება, შემთხვევითობა კი არა, არამედ მეორე დაძაბული კერის შექმნის მცდელობაა. განმარტებისთვის ვიტყვი, რომ ფრონტზე უკრაინის საქმე ცუდად მიდის. მძაფრი კონტრშეტევის მოლოდინი არ გამართლდა. ამიტომ, პოლიტიკაში ასეა: როცა ერთ წერტილში წარმატების მიღწევა არ ხდება, აქცენტები სხვა ფრონტზე გადადის. ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს: ამ დღეებში შავი ზღვა რუსეთის ტბად გადაიქცა. რუსეთმა უკრაინიდან მარცვლეულის გატანა აკრძალა, რაც მსოფლიოს მასშტაბით აუცილებლად ადეკვატურ მოვლენებს გამოიწვევს. ამ პროცესში, გაეროდან დაწყებული, ევროპის სახელმწიფოებით დამთავრებული, ყველა ჩაება. პროცესები საინტერესოდ ვითარდება. სექტემბერ-ოქტომბერში, ალბათ, მოლაპარაკებებზე საუბარი დაიწყება. ამაზე მიანიშნებს თურქეთის პრეზიდენტის განცხადებებიც — აშკარაა, ომი დასასრულისკენ უნდა წავიდეს. თუმცა, ხედავთ, რა გააკეთა რუსეთმა?! — აქამდე ვიცოდით, რომ ოდესის პორტის დაბომბვაზე მორატორიუმი იყო გამოცხადებული. თუმცა, გასულ კვირას რუსეთმა ეს პორტი ძალიან მძიმე ვითარებაში ჩააყენა. დავუბრუნდეთ პუტინის პოლონეთის მიმართ მუქარას. ამ უკანასკნელს დასავლეთ უკრაინაში თავისი ინტერესები გააჩნია. ვინც დასავლეთ უკრაინის ისტორია კარგად იცის, განსაკუთრებით 30-იან წლებში (1938-39 წლები) განვითარებული პროცესები, მიხვდება, რომ უკრაინის ტერიტორიისთვის ბრძოლას სხვებიც დაიწყებენ. ამ პროცესში უკვე ჩართულია პოლონეთი. თავის წილს აუცილებლად მოითხოვს უნგრეთიც. ყველა უკრაინის მეზობელი, მისგან შესაბამისი წილის მიღებას მოითხოვს. ეს უკრაინელი ხალხისთვის ცუდი იქნება.




**— ისედაც განწირულ უკრაინას, ცინიკურად დახმარებებსაც უმცირებენ...**

— კი ბატონო, ეს იმისი შედეგია, რომ პოლიტიკაში მეგობრობა არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ინტერესები. უკრაინა პოლიტიკურად გაიწირა. მხოლოდ დახმარების შემცირებაზე როდია საუბარი — ხუთმა ევროპულმა ქვეყანამ მას შემდეგ, რაც რუსეთმა შავი ზღვა ჩაკეტა, გაეროს განუცხადა: ერთი წლის წინ მარცვლეულთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულება აღარ გაგრძელებულიყო. მათ მსოფლიოში თავიანთი პროდუქციის გაზიდვა სურთ. უკრაინის მაგალითი გაკვეთილი უნდა იყოს ყველა პოსტსაბჭოთა თუ არაპოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის. არ შეიძლება საკუთარი ინტერესები სხვისას ანაცვალო.

**— ტრამპმა აღნიშნა: ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში ამ ომს ერთ თვეში დავამთავრებდიო. რაზე მიუთითებს ეს განცხადება?**

— ეს კაპიტალიზმის ბუნებაა, რომელიც ომების გარეშე ვერ ძლებს. დღეს მარქსი, ენგელსი და სხვა კლასიკოსები, რომელთაც კაპიტალიზმზე ნაშრომები შექმნეს, დავიწყებული არიან. კაპიტალიზმის კანონი ომებისგან დიდი შემოსავლების მიღებაა. დღეს აშშ-ში ორი ძლიერი მხარე — ბაიდენი და ტრამპია ერთმანეთთან დაპირისპირებული. ისინი ერთმანეთს გასაღების ბაზრებისთვის და არა კაპიტალისტური წყობილების დასამარებისთვის ებრძვიან. ნურავის ეგონება, რომ უკრაინას ვინმე უანგაროდ ეხმარება. ნებისმიერი საბრძოლო იარაღის მიცემის ფასად, ქვეყნები უკრაინულ მიწას იღებენ, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე ნაყოფიერია. ომი ბევრი ფულის შოვნის საშუალებაა. მსოფლიო კაპიტალისტები ამ ომით შავი დედლებივით გაკეთდნენ. ტრამპის სიტყვებიც ამის გამოძახილია. აშშ-ში არჩევნები ახლოვდება. გადასახადების გადამხდელი რიგითი ამერიკელი ხედავს, რომ მის მიერ გადახდილი თანხა ადამიანების კვლას ხმარდება. ამიტომ ამერიკის საზოგადოება მიმდინარე პროცესებზე ხელისუფლებას მკაცრ პასუხს მოსთხოვს.

დღეს უკრაინაში პროცესები ძალიან მძიმედ ვითარდება. ის მხოლოდ საბრძოლო პოლიგონია. როგორც მოგახსენეთ, სინამდვილეში ეს რუსეთსა და დასავლეთის ორმოცდაათ ქვეყანას შორის მიმდინარე ომია, რომლის სათავეში აშშ დგას. ტრამპმა იცის შიდა დინებები, თუ რის გამო დაიწყო ომი, ამიტომაც გააკეთა ამ თემაზე აპელირება. ეს იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული ფანდია, რითაც ტრამპი ამომრჩეველთა გარკვეულ ნაწილს აუცილებლად მიიმხრობს. თუმცა, ნახეთ, რა ვითარებაა: ამომრჩეველთა 44% მხარს ბაიდენს უჭერს. იგი ბევრად რთულ სიტუაციაშია, ვიდრე საბჭოთა ლიდერი კონსტანტინ ჩერნენკო. დღევანდელ მსოფლიოში ცხოვრება უაღრესად საშიშია. წარმოიდგინეთ, ევროპას თავზე ბომბები აცვივა; ორმოცდაათი სახელმწიფო რუსეთს ებრძვის; შავი ზღვა, ფაქტობრივად, კრემლმა ჩაკეტა; ოდესისა და ნიკოლაევის ნავსადგურები გადააღნო; მსოფლიო უკრაინული ხორბლის გარეშე რჩება... და ამ დროს ევროატლანტიკოსი პოლიტიკოსები მკაცრად მსჯელობენ ვიღაცების უკანალების დაცვაზე, მიშასნაირი თაღლით-სიმულანტების არაკანონიერად ციხიდან დახსნაზე! ლობისტურ-ქრთამისტული ფულის კეთებაზე! დიახ, დღევანდელ მსოფლიოში ცხოვრება უაღრესად საშიშია ისეთი პოლიტიკოსების ხელში, რომელთაც დღეს დასავლეთის რიგ ქვეყნებში ძალაუფლება უპყრიათ ხელთ.




**— ბოლო პერიოდში არახამიაც გააქტიურდა: თუ რამე უშლის ხელს საქართველოს ევროინტეგრაციას, ეს რუსეთი და მისი გავლენის ქვეშ მყოფი „ქართული ოცნების“ მთავრობააო...**

— არახამია ზელენსკის ხროვის წარმომადგენელია. წარმოიდგინეთ, როგორ უმძიმეს დღეშია ის ხალხი, რომლის ხელისუფლებაშიც არახამიას მსგავსნი ტივტივებენ. იგი გლობალური ომის პარტიის წარმომადგენლების დავალებას ახმოვანებს. მერწმუნეთ, არახამია „ტვალეტშიც“ ვერ წავა თავისი პატრონების ნებართვის გარეშე. მან დასავლეთის რიგი წევრების განცხადებები გაახმოვანა. ეს ხალხი მოწოდებულია, როგორმე საქართველოში მეორე ფრონტი გაიხსნას. ცდილობენ რუსული ძალების დაქსაქსვას და მსოფლიო საზოგადოების ყურადღების მეორე მიმართულებით გადატანას. მათ სურთ, საქართველოს ხელისუფლება ხაბეს და ჭიჭიკო ვაშაძის ხელისუფლებით ჩაანაცვლონ. საქმე ისაა, რომ გლობალური ომის მწარმოებელი პარტია აქ ლიდერებს ვეღარ პოულობს. ლიდერის მოსაძებნად დასავლეთმა საქართველოს პრეზიდენტს გვარამია შეაწყალებინა, რომელიც უკვე შეხვდა არახამიას. კლოუნთა ასპარეზია შექმნილი. კლოუნები და მასხარები შეიძლება უკრაინის ხელისუფლებაში მოვიდნენ, მაგრამ საქართველოში ამას ვერ ელირსებიან.

კლოუნის „შესტიორკა“ არახამიამ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლების კამპანიაც წამოიწყო. აქედან ჩანს, როგორი უვიცი, უწიგნური პოლიტიკოსები არიან უკრაინის ხელისუფლებაში. სააკაშვილის პატიმრობის კანონიერება სტრასბურგის სასამართლომ ცნო და ახლა არახამიას დაკრულზე უნდა გაათავისუფლონ?! ეს ევროპული სამართლისა და სასამართლოს მასხრად აგდების მცდელობაა. ევროპული საზოგადოება ისე არ დაკნინდება, რომ საქართველოს პრეზიდენტს ეს ყოვლად გაუგონარი აქტი ჩაადენინონ და სააკაშვილი შეაწყალებინონ. თუმცა, ზურაბიშვილისგან ყველაფერი მოსალოდნელია. მცდელობა ფუჭი იქნება, მიშაზე სხვა საქმეებიც არის აღძრული, შედეგად, გამოსვლასაც ვერ მოასწრებს, ციხის კარებთანვე დააკავებენ. სააკაშვილი გლობალური ომის პარტიის ისეთივე ძაღლისშვილია, როგორც ზელენსკი, არახამია და საქართველოში არსებული მეხუთე კოლონა, რომელიც დასავლეთის ქვეყნებს საქართველოს და ქართველი ხალხისთვის სანქციების დაწესებისკენ მოუწოდებს!!! ესენი ნეოტროცკისტები არიან. გაიხსენეთ ქონების ექსპროპრიაცია. ახლა იგივე მოდერნიზებული ფორმით ხდება. უპირველესად, სანქციები სააკაშვილის ოჯახს, დედამისს უნდა დაუწესონ. საიდან იშოვა გიული ალასანიამ ამდენი მილიონები? — ერთი ჩვეულებრივი ისტორიკოსი იყო, რომელიც ისტორიის ინსტიტუტში მუშაობდა. მიშას გაპრეზიდენტების მერე უცებ ბიზნესის ნიჭი აღმოაჩნდა. საქართველოს ხელისუფლებას მივმართავ: გამოიკვლიოს, როგორ გამდიდრდა სააკაშვილის ოჯახი ასე ერთბაშად. თუ დასავლეთს ვინმესთვის სანქციების დაწესება სურს, თავად მომჩივანზე უკეთეს კანდიდატურას ვერსად მოძებნის.

თამარ შველიძე
555 23 28 24



# ისე როგორ უნდა გძულდეს სამშობლო, რომ ისევ სააკაშვილს დაუჭირო მხარი

**ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე, მიხეილ სააკაშვილის ოჯახის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიების საქმიანობის ამსახველი მორიგი დოკუმენტაცია გამოქვეყნდა. FARA-ს ინფორმაციით, ლობისტურმა კომპანია „აკერმანმა“, ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა სახის აქტივობა განახორციელა. მათ შორისაა: სატელეფონო ზარები და ელექტრონული წერილები სამედიცინო ექსპერტებთან, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; კონსულტაციები ქართველ იურისტებთან, ევროპარლამენტისთვის შესათავაზებელი რეზოლუციის პროექტის შესახებ; სხვადასხვა სტატიის მომზადება მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობასთან დაკავშირებით და უცხოელების დარწმუნების სტრატეგია, საქართველოს წინააღმდეგ სანქციების გასატარებლად...**

**დოკუმენტის თანახმად, ლობისტურ საქმიანობაში გადახდილია 96 ათას 393 დოლარი. თანხის გადამრიცხველებს შორის არის: გიული ალასანია, თემურ ალასანია და კომპანია „აკერმანი“... მათივე ინფორმაციით, ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა თავისი წინამორბედის ოჯახისგან აიღო 11 500 დოლარი, რის სანაცვლოდაც, ის მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებდა.**

**აღნიშნულ და სხვა პოლიტიკურ სიახლეებზე „საერთო გაზეთთან“, ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე საუბრობს.**

**- რომ არ ყოფილიყო FARA, ჩვენი საზოგადოება ოდესმე შეიტყობდა, რაში დახარჯა სააკაშვილმა და მისმა ოჯახმა უზარმაზარი თანხები?** ხომ ვერ შევიტყობდით, რა ტიპის საქმიანობას ეწევა მიშა სააკაშვილი, მისი ოჯახი და მათი მხარდამჭერები საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ?! დარწმუნებული ვარ, ის თანხები, რაც მითითებულია დოკუმენტებში, ანუ ოფიციალურად გადახდილი თანხები, არის აისბერგის წვერი და სინამდვილეში, გაცილებით მეტია დახარჯული მათ მიერ. თუმცა, ამას რომ თავი დავანებოთ, რაც დოკუმენტურადაა დადასტურებული, ვერავინ ვერსად გაექცევა და ვერ იტყვის, რომ ეს არ გაუკეთებია. ეს არის აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაცია.

აშშ, ევროკავშირი, ანუ კოლექტიური დასავლეთი, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ქართულად ნათარგმნი ანალოგიური კანონის მიღებას საქართველოში. როგორც ჩანს, ეს იყო მათი გავეშებული წინააღმდეგობის მიზეზი: ჩათვალეს, რომ ამ კანონის საფუძველზე, მათ მთავარ საყრდენს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სერიოზული საფრთხე შეექმნებოდათ. ისინი ხომ, ფაქტობრივად, ამ ორგანიზაციების ფულით ცხოვრობენ, მათ წინაშე არიან ანგარიშვალდებული, მათ დაკვეთებს ასრულებენ და ღმერთმა იცის, რა ინფორმაცია ამოტივტივდებოდა მათ წინააღმდეგ... დოკუმენტების მიხედვით ვნახეთ, რა ფასად გაიყიდა ექს-პრეზიდენტი მარგველაშვილი. უფრო სწორად, რა ფასად იყიდა მესამე პრეზიდენტმა მეოთხე პრეზიდენტი. საინტერესოა, მეხუთე პრეზიდენტიც ხომ არ ელოდება ვადის ამოწურვას, რომ მერე საკუთარი სერვისები უფრო ძვირად გაყიდოს?!

ამ ინფორმაციის გასაჯაროებით, ერთის მხრივ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ მიიღო ძალიან სერიოზული პოლიტიკური და რეპუტაციური დარტყმა, მეორეც - კანონის ინიციატორებს, „ხალხის ძალას“ და მათ, ვინც ქართული ოცნებიდან დაუჭირა მხარი „უცხოური გავლენის აგენტების“ კანონპროექტს, - მიეცათ დამატებითი არგუმენტები, რომ საჭირო დროს, კვალავაც დააყენონ დღის წესრიგში მისი შემობრუნება. შესაძლებელია, სახეცვლილი სახით წარმოადგინონ. თუნდაც, ამოიღონ მისი შინაარსიდან საზოგადოებისთვის მსუსხავი სახელწოდება „აგენტი“ და სხვა ფორმით შემოგვთავაზონ, რადგან კანონის მიზანი არ არის ნამდვილად, რომ ვიღაცას „აგენტი“ დაუძახო.

**- კელი დეგნანი, რომელიც, წესით აუცილებლად უნდა გაცნობოდა აღნიშნულ მასალას, აცხადებს, რომ არ უნახავს FARA-ს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი...**

- ეს არის სრული სიცრუე. ეს იმიტომ თქვა, რომ შემდეგ უხერხულ კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევდა. კონკრეტულად იმ კითხვაზე უნდა ეპასუხა, რატომ იყო საქართველოში ანალოგიური კანონის შემოტანის წინააღმდეგი, სადაც წერტილ-მძიმეც კი არაა შეცვლილი ამერიკულ კანონთან შესაბამისად.

**- იმედია, დოკუმენტში გამოქვეყნებულ ფაქტებს სააკაშვილის მხარდამჭერებიც გაიაზრებენ და დაფიქრდებიან, რეალურად, ვის „ეთაყვანებიან“...**

- მიშას მხარდამჭერები სხვადასხვა კატეგორიის ხალხია. ზოგი ისეა შეპყრობილი, სულ რომ დადასტურებული ინფორმაცია გამოქვეყნდეს, რომ მიშამ ათი კაცი გაისტუმრა იმ ქვეყნად, სიკვდილის ღირსნი იქნებოდნენო, იტყვიან,

მათ ვერაფრით გადაარწმუნებ. თუმცა, არის ადამიანების კატეგორია, ვინც შეიძლება „ნაციონალურ მოძრაობას“ უჭერდეს მხარს, მაგრამ ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნება გახდეს სერიოული საბაბი იმისათვის, რომ დაფიქრდნენ თავიანთ არჩევანზე. იმდენად ხელისგულზე დევს მიშას მიერ, ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებები, ასე როგორ უნდა გძულდეს სამშობლო, რომ ისევ სააკაშვილს დაუჭირო მხარი.

**- ლევან ხაბეიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ ბაზაზე „მთავარი გამარჯვების ცენტრის“ ჩამოყალიბებას აანონსებს, რის საშუალებითაც „ეცდება, ივანიშვილს გამოგლიჯოს ქვეყანა“... დამხმარე უკვე აურჩევია გიორგი ვაშაძის სახით. რას იტყოდით მათ ალიანსზე?**

- აბსოლუტურად უსუსური განცხადებაა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ხაბეიშვილი არ არის პოლიტიკოსი.... რაც შეეხება მათ გაერთიანებას, მგონია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, ვაშაძის მოწვევით, ლიდერის დეფიციტის შევსებას ცდილობს. მათ ნამდვილად ინტელექტის დეფიციტი აქვთ და ვინც მონახეს ოპოზიციის რიგებში ისეთი, რომელსაც ხაბეიშვილზე ცოტა უფრო დალაგებულად შეუძლია საკუთარი აზრის ჩამოყალიბება, ის მიიწვიეს. გიორგი ვაშაძეს კი, თავისი პრობლემა ჰქონდა. მან ძალიან კარგად იცის საკუთარი პარტიის რეიტინგი, მიუხედავად იმისა, რომ ნაცარქექიასავით ტრაბახობს. როგორი კავშირებიც უნდა ჰქონდეს ვაშინგტონსა თუ ბრიუსელში, ეს მას საქართველოში არჩევნებში გამარჯვებაში ვერ დაეხმარება. მას საქართველოს ამომრჩევლის ხმები სჭირდება, რაც არა აქვს და არც მომავალში ექნება, რადგან იშვიათად მახსენდება ჩვენს პოლიტიკურ გალერეაში „პოლიტიკოსი“, რომელიც, ვაშაძის მსგავსად, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცრუობს. როდესაც პოლიტიკოსი ხალხის წიანშე ცრუობს, არ მგონია მას მაღალი ნდობა ჰქონდეს. გარდა ამისა, პოლიტიკოსს, რომელიც, სულ ცოტა ხნის წინ, კატეგორიულად „ემიჯნებოდა“ „ნაცმოძრაობას“ და მათთან თანამშრომლობას გამორიცხავდა, - ვინ დაუჯერებს?

დიდი ოპტიმიზმით არ ვუყურებ ამ გაერთიანებას. მოიწვევენ, ალბათ, საზოგადოებისთვის ცნობილ იმ ადამიანებს აკადემიური წრეებიდან, ხელოვნების სფეროდან... ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერია. ზეპირად ვიცით მათი სახეები. გვარამიას გათავისუფლების, მიშას გათავისუფლების კომიტეტები რომ შექმნეს, ის ხალხი იქნება. თუმცა, საზოგადოების ნაწილს, შეიძლება, არ მოსწონდეს „ქართული ოცნება“, მაგრამ არც კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ დაბრუნების და მათი ასეთი დოზით ხილვის მომხრეა, საქართველოს პარლამენტში.

**- „ლელო“, „გირჩი“ და გახარია ვინმესთან გაერთიანებას კატეგორიულად გამორიცხავენ. თქვენი პროგნოზით, როგორ გადაწყდება ცალკეული პარტიების ბედი არჩევნებზე?**

- თითოეული პარტია, არჩევნების წინ ცდილობს, თავი ისე ომახიანად წარმოაჩინოს, რომ ელექტორატი მიიზიდოს. გიორგი გახარია, ჯერ კიდევ, პარტიის დაარსების დღიდან აცხადებდა, ჩვენ უნდა გავხდეთ ალტერნატიული მესამე ძალაო, მაგრამ ვერ გახდა. ისე, როგორც, მაგალითად, ბოკერიას „ევროპული საქართველო“ ამბობდა, რომ ისინი უნდა ყოფილიყვნენ მიზიდულობის ცენტრი ყველა ოპოზიციური პარტიისთვის... მაგრამ ხომ ხედავთ, რა დღეში აღმოჩნდნენ?! - საერთოდ გაქრნენ პოლიტიკური რადარებიდან. როცა გახარიას პარტია შეიქმნა, გვეგონა, რომ ეს იქნებოდა „ქართული ოცნება-2“ და ის მინიმალური პროცენტიც, რაც არჩევნებზე აიღო, სწორედ ამ ვარაუდის დამსახურება იყო. მას შემდეგ კი, რაც ნათელი გახდა, რას წარმოადგენენ, აღარც ამდენი შანსი აქვთ.

საერთოდ, ვერიდები პროგნოზის გაკეთებას, მით უფრო, რომ არჩევნებამდე 14 თვეა დარჩენილი. კიდევ ბევრი რამ შეიცვლება პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით, დეკემბრის თვეში, როცა კანდიდატის სტატუსის მონიჭებას ველოდებით. შემდეგ უფრო დამაჯერებლად შეიძლება იმის თქმა, რომელ პარტიას რა შანსები აქვს და საერთოდ, როგორ წარიმართება პოლიტიკური პროცესები.

**- ცოტა ხნის წინ, სოციალურ ქსელში ჩაატარეთ ერთგვარი „გამოკითხვა“, სადაც სთხოვდით ადამიანებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი იმის შესახებ, ნიშნავს თუ არა „პროქართული“ – „პროდასავლურს“. რა გიპასუხეს მათ და თავად რას ფიქრობთ ამ საკითხზე?**

- უმეტესობამ მიპასუხა, რომ - არა, „პროქართული“ „პროდასავლურს“ არ ნიშნავს. ჩემი გადმოსახედიდან „პროქართულია“ ის, რაც ჩვენს ქართულ ტრადიციებს, ადათ-წესებს, ჩვენს კულტურას, იდენტობას, განვლილ გზას, ისტორიულ რეალობას ეფუძნება... როდესაც თავს გახვევენ აბსოლუტურად უცხო ფასეულობებს, თან აგრესიული ფორმით, და გეუბნებიან, რომ თუ გინდა ევროპაში შესვლა, მათი წესებით უნდა ითამაშო, ეს არ არის მეგობრული დამოკიდებულება. საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელია და მათი „წესები“ წინააღმდეგობაში მოდის ქართულ რეალობასთან. მართმადიდებლობა მამათმავლობას უდიდეს ცოდვად მიიჩნევს, ისინი კი გვეუბნებიან, რომ თუ ევროკავშირში შესვლა გვინდა, უნდა დავაკანონოთ ეს ყველაფერი. აქედან გამომდინარე, ხომ გასაგებია ამას როგორი საზოგადებრივი რეზონანსი მოყვება?! ანტიდისკრიმინაციული კანონიც, დასავლეთიდან ზეწოლის შედეგად მივიღეთ, რადგან ისე ევროკავშირთან უვიზო რეჟიმს არ მოგვცემდნენ. ჩვენს კონსტიტუციაში დევს, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის კავშირი. ანტიდისკრიმინაციული კანონი კი, ნიშნავს, რომ უნდა დაერთოოთ ოჯახის შექმნის უფლება ერთსქესიანებისთვის... და როგორ შეიძლება ამის ქართულ რეალობასთან შეთავსება?

**- ამ საკითხთან დაკავშირებით თემურ ჭყონია აცხადებს, რომ არჩევანი უნდა გავაკეთოთ. გადავწყვიტოთ, „რას ვირჩევთ, ეკონომიკას თუ ადამიანის ორიენტაციას“...**

- ჭყონია არის კოსმოპოლიტი. ეროვნულ ფესვებთან კავშირი, როგორც ჩანს, კარგა ხანია, გაწყვიტა ამ ადამიანმა და ყველაფერს ბიზნესის თვალით უყურებს. მისთვის მთავარი ფულია... ღირებულებები, წეს-ჩვეულება, ადათ-წესები... საერთოდ არ აღელვებს. მაგრამ საინტერესოა, თუ საქართველომ საკუთარი იდენტობა, კულტურა, სარწმუნოება შეინარჩუნა და ტრადიციულ ფესვებზე დარჩა, ეს რატომ უნდა უშლიდეს ხელს ინვესტიციებს, რატომ უნდა იყოს ვიღაც წინააღმდეგი, ჩადოს ინვესტიცია ჩვენს ქვეყანაში, თუკი აქ გეი-აღლუმები არ ტარდება? მე მაინც, ეს ყველაფერი წმინდა წყლის სპეკულაცია მგონია. ჭყონიას კი, ამ განცხადებით, საკუთარი თავის რეაბილიტაცია უნდოდა, ალბათ, იმ უზნეო საქციელის გამო, რაც, ცოტა ხნის წინ „მაკდონალდსში“ ბავშვების წინაშე ჩაიდინა.




**ნონა ქარქაშაძე**

# არამ ფარას „ფარა“ ნაილებსო...

თქვენი არ ვიცი, მე კი ძალიან მომეწონა ამერიკული „რუსული კანონი ფარა“. რა კარგი კანონი ყოფილა, წამიერად ჩაჰკრა თითი თვალში ყველა ნაძირალა და საქართველოს დაუძინებელ მეგობარსაც და საქართველოს დაუძინებელ მტერსაც, დაუბნელა ნათელი მომავალი. ახლა მხოლოდ ისღა მაინტერესებს, ამერიკული „რუსული კანონის“ გასაპროტესტებლად რუსთაველზე გამოყრილი შარაგზის გამოქლიავებულ-გაბრიყვებული აქტიორები რამის აზრზე მოვიდნენ, თუ ბნელ ნაც-პატრიოტიზმში ჩარჩნენ?

ერთი-ორი შეკითხვა მაქვს!

პირველი: როდესაც ყველაფერი ხელისგულზე დაგვიდო ამ მშვენიერმა კანონმა, კიდევ რამდენი ხანი უნდა იკოტრიალოს „ვივამედში“ ამ უსაშველოდ პრივილეგირებულმა სიმულანტმა საქართველოს მაოხრებელმა და როდემდე უნდა არყიოს საქართველო ქვეყნის მოღალატე მისმა ოჯახმა? კი, ქვეყნისა და არა სამშობლოსი, რადგან უსამშობლოებს სამშობლო არც არასდროს ჰქონიათ და არც ახლა აქვთ!




ამერიკელი სენატორების დარწმუნება საქართველოსთვის სანქციების დაწესებაზე;

ბლინკენისა და მაკქოლის დარწმუნება საქართველოსთვის სანქციების დაწესებაზე;

ევროპარლამენტის რეზოლუციის პროექტის შედგენა სააკაშვილის ლობისტების მიერ;

ლობისტური კომპანია „აკერმანისთვის“ სოლიდური თანხის გადახდა — ყველა ეს ქმედება მიმართულია არა მთავრობის, არამედ ქვეყანა საქართველოსა და მისი მოქალაქეების წინააღმდეგ.

ახლა ხომ ნათელია, რა შორსგამიზნული ჩანაფიქრი იყო, როცა ამ ქვეყნის მოღალატეებმა სამშობლოს ღალატის მუხლი გააუქმეს?!

2007 წლამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სახელმწიფოს ღალატად ითვლებოდა საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ, მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ ჩადენილი საქართველოს კონსტიტუციური წყობისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული შემდეგი დანაშაული:

• საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა;

• ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება;

• საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა;

• უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა;

• საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა;

• სახელმწიფო საიდუმლოს გაცემა;

• ჯაშუშობა;

• შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად;

• საბოტაჟი;

• უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარება.

გეკითხებით, ამ ჩამონათვალიდან რომელი არ ჩაუდენიათ და კვლავ არ აგრძელებენ მათ ჩადენას **ამ კანონის ამომღები** ე.წ. პოლიტიკური გაერთიანების წევრები, რომელიც რეალურად უცხო ქვეყნის დესანტია?

ჰოდა, ამიტომაც 2007 წლის 27 აპრილს, თავიანთი ჯიბის პარლამენტის მიერ მიღებული შესწორებით (დოკუმენტი №4698) სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე მუხლი სახელმწიფო ღალატის შესახებ, ამოღებული იქნა. ხელისუფლებავ, იქნებ დროა დავაბრუნოთ ეს კანონი?

2015 წლის მდგომარეობით, მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებებისთვის გასამართლებას იმ მუხლებით, რაც იყო და დამატებული აქვს მუხლები: 316 — სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდება ან კანონიერი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა; მუხლი 317 — მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობის ძალადობით შეცვლისკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ; მუხლი 321 — სახელმწიფო საიდუმლოების წესის დარღვევა.

გეკითხებით, ამ ჩამონათვალიდანაც რა არ ჩაუდენიათ და რას არ სჩადიან?

სად არის კანონი!

ექვსასი დღის განმავლობაში 666-ჯერ რომ კვდებოდა სააკაშვილი და შეძრული იყო მსოფლიო საზოგადოება, დახეთ, თურმე როგორ ყოფილა საქმე?

შენ გაიხარე, ამერიკულო რუსულო კანონო! რა კარგად „გაგვიიასნა“ და ხელისგულზე დაგვიდო ყველაფერი. ოქეი! იქნებ, მივიღოთ კიდეც? ამერიკული რუსული კანონი რომ არა, ამდენ გამობენტერებულს ხომ ვერ გააგებინებდი, რომ კონკრეტული პირები და ორგანიზაციები საქართველოს მეგობრები კი არ არიან, არამედ კონკრეტული პარტიის მეგობრები არიან, ისიც იმიტომ, რომ ფარა უყვართ ბაბაია, ფარა! თუმცა თუ ფოთის პოლიცმეისტერიც გაიხდის, ბევრ თუმნად მთლად ტიტლიკანები ივლიან კორუმპირებული დასავლეთელი მაღალჩინოსნები... პრინციპში, თუ საქართველოც გადაუხდიდა მიშაზე მეტს, საქართველოს მეგობრებიც გახდებოდნენ, არა თუ?!

შენ გაიხარე **FARA**, შენ ყოფილხარ კანონთკანონი!

უცხოელი აგენტების რეგისტრაციის ამერიკული „რუსული“ კანონის **FARA**-ს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ ბრანწი უჩვენა ექს-პრეზიდენტ სააკაშვილის სახელით მსოფლიო მასშტაბით განხორციელებული ლობისტური კამპანიის მასშტაბებს.

იმ გაჭირვებული პოლიტიკანისა არ იყოს, რაღაცნაირად გაიგებს კაცი, რომ დედა ცდილობს, თავისი შვილის ვითომ წამების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მსოფლიოს, ამაში არაფერია განსაკუთრებული, ეს ბუნებრივიც არისო, რომ თქვა, მაგრამ არსებობს უმნიშვნელოვანესი „მაგრამ“!

ახლა ჯერ გასუსულები არიან, აღარ იციან რა თქვან, ქოთანს საიდან მოაბან ყური, რომ მთლად არ გაფარჩაკდნენ, თორემ კამპანია ცდილობდა და, სავარაუდოდ, უფრო მეტ თანხად, კვლავ ეცდება, არა მხოლოდ სააკაშვილის უკანონო დახსნას, არამედ, ასევ, საქართველოს სახელის დაზიანებას საერთაშორისო ასპარეზზე.

გამოქვეყნებული უახლესი დოკუმენტებიდან გავიგეთ, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციები, რომლებიც მთავრობის კრიტიკით იყო გაჟღენთილი, დაქირავებული ლობისტების მიერ იყო შემუშავებული, რომლთაც დავალებული ჰქონდათ, რეზოლუციებში სასურველი ტექსტი ჩაემატებინათ.




სტრასბურგის ევროპის ადამიანთა უფლებათა სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებით გამჟღავნდა, რომ სააკაშვილის მიმართ „ცუდად მოპყრობის, წამებისა და დღედღეზე სიკვდილის“ კამპანია არა მხოლოდ ხელოვნური, არამედ მთლიანად გაყალბებული იყო. **FARA**-ს ახალი დოკუმენტები მთელ ამ კაკაფონიას მის უმძიმეს და გაუსაძლის მდგომარეობაზე, უფრო დამამძიმებელ პერსპექტივაში წარმოაჩენს.

რა საინტერესოა, ევროპარლამენტარებს, რომლებიც ამ კამპანიაში იყვნენ ჩართულები, სირცხვილის ნერვი დაბადებიდან არ დაჰყვათ, თუ დიდძალი ფულის დანახვაზე განელიათ?

მალე ვნახავთ! ვნახოთ, თუ შეწყვეტენ საქართველოს საწინააღმდეგო კამპანიას და შეეცდებიან, გამოასწორონ ის ზიანი, რაც ჩვენს სამშობლოს უსამშობლოების დაკვეთით მიაყენეს.

ევროპარლამენტის თავმჯდომარე რობერტა მეცოლამ ახლახანს აღნიშნა, რომ ყატარგეითის შემდეგ მნიშვნელოვანია, დაინერგოს ახალი წესები, ევროპარლამენტარებს დაევალოთ, საჯარო გახადონ ინფორმაცია ლობისტებთან კონტაქტის შესახებ.

ეს ჩამონათვალი, რომელიც აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა და სააკაშვილის მიერ (მისი წარმომადგენელი ვინ იქნება, დედა თუ სხვა, რა მნიშვნელობა აქვს, ფარა სააკაშვილისგან გადის) დაქირავებული ლობისტური კომპანიების და მათი საქმიანობის შესახებ გვაძლევს ზუსტ წარმოდგენას, სერიოზული ზომების მისაღებად, ცოტაა?

დოკუმენტებით დგინდება, რომ ლობისტურმა კომპანიებმა „აკერმანმა“ **(Akerman)** და „ჯიპი ინთერნეშენელმა“ **(GP International)** ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა სახის აქტივობა განახორციელეს.

„აკერმანის“ დეკლარაციიდან ასევე ირკვევა, რომ მიხეილ მაოხრებლის სასარგებლოდ 2023 წლის 7 მარტს სატელეფონო კავშირი განხორციელდა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრო კულებასთან, რა დროსაც განიხილეს და მოითხოვეს დახმარება, მათ შორის, წერილების გაგზავნის სახით აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენთან, წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მაიკლ მაკკოლთან სააკაშვილთან დაკავშირებით საქართველოს წინააღმ-



Appendix

Response to Item 11

**Item 11: During this 6 month reporting period, has the registrant engaged in any activities for or rendered any services to any foreign principal named in Items 7, 8, or 9 of this statement? If yes, identify each foreign principal and describe in full detail all activities and services:**

| Foreign Principal(s) | Activities/Services |
| --- | --- |
| Mikheil Saakashvili | Feb. 3-28:<br><br>Telephone calls and emails with medical experts, Georgian lawyers, and consultants, concerning Mr. Saakashvili's medical condition;<br><br>Drafting proposed resolutions for the EU Parliament;<br>…gian court;<br><br>Communications with medical experts, public relations firm, and other consultants regarding potential meetings with Congressional leaders and related press releases;<br><br>Continued communications with members of the EU Parliament;<br>the European Court of Human Rights and the EU Parliament; and public statements concerning each of these proceedings;<br><br>Drafting proposed resolutions for the EU Parliament;<br><br>Conference call with Reuters concerning lobbying and diplomatic efforts aimed at obtaining the release of Mr. Saakashvili from prison for life-saving treatment;<br><br>Communications with public relations firm concerning media messaging and press releases; |

დეგ სანქციების დაწესებაზე.

რაც შეეხება „ჯიპი ინთერნეშენალის“ საქმიანობას — დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კომპანიამ უზრუნველყო სტრატეგიული კონსულტაცია, სტრატეგიული კომუნიკაციები და საინფორმაციო საქმიანობა გიული ალასანიას მხარდასაჭერად, მიხეილ სააკაშვილისა და მისი იურიდიული გუნდის სახელით, სააკაშვილის ჯანმრთელობის სტატუსთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მიზნით ყოფილი პრეზიდენტის ჰუმანიტარული თუ სამართლებრივი საბაბით გასათავისუფლებლად მხრდაჭერის მოპოვებისთვის.

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ კომპანია „ჯიპი ინთერნეშენალის“ დეკლარაციაში მითითებულია, რომ ლობისტური საქმიანობისთვის გადახდილია 96 393 ამერიკული დოლარი. თანხის გადამრიცხავებს შორის არიან: გიული ალასანია, თემურ ალასანია და კომპანია „აკერმანი“. კომპანია „აკერმანის“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ მათ მიხეილ სააკაშვილისთვის ლობისტური საქმიანობის გაწევაში, კონკრეტულად თემურ ალასანიასგან, საერთო ჯამში 75 451 ამერიკული დოლარი მიიღეს.

დადასტურდა, რომ წნეხი იყო პრეზიდენტზეც. როდესაც სალომე აშშ-ში იმყოფებოდა, სააკაშვილის ადვოკატის, მასიმო დიანჯელოს მხრიდან იყო პრეზიდენტთან დაკავშირების მცდელობა. ადმინისტრაციის ინფორმაციით, ეს თხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სადაც აშშ-ის საელჩოზეა საუბარი, ტექსტში პირდაპირ წერია, რომ აშშ-ის საელჩოსთან უნდა იყოს მოლაპარაკებები და კოორდინაცია, რომელიც გამოიწვევს პატიმარ სააკაშვილის გათავისუფლებას. იქვე წერია, რომ საქართველოს პრეზიდენტთან უნდა იყოს მოლაპარაკებები და ეს უნდა უნდა მოხდეს ნიუ-იორკში მისი ვიზიტის დროს, მას დაევალება სააკაშვილის შეწყალება. გამოქვეყნებული კონტრაქტის შინაარსიც კი პირდაპირ მიუთითებს სამწუხაროდ იმაზე, რომ აშშ-ის საელჩო საქართველოში მონაწილეობს იმ პროცესში, რასაც ჰქვია საერთაშორისო სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი სააკაშვილის უკანონო განთავისუფლება. ამ დროს გამოდის აშშ-ის უტიფარი ელჩი და ყველაფერზე კვლავ უტიფრად აცხადებს, არაფერი მინახავსო. კი, დავიჯერეთ! ქალი, რომელიც მიწისქვეშა პარკინგის საქმეებში ერევა და სხვათა ავადმყოფური სექსუალური აღტკინებებისა და საჯდომების მომღიავებელია, საკუთარი ქვეყნის იუსტიციის დეპარტამენტის ინფორმაციებს ვერ ფლობს?!.

რამდენი მავნებლობის „მონეტიზირება“ მოახდინეს სააკაშვილის ბიომასალის ქურდი პოლონელი ექიმის ჩათვლით ამ გარეწრებმა, ხედავთ?

ერთი მხრივ, ყველაფერი ლოგიკურად ლაგდება, სააკაშვილის ნაყაჩაღარი არამი ფარა, საქართველოს მოქალაქეების, საქართველოსგან მითვისებული ფული ჰაერში იყრება და ამას უდიდეს ბეჭდად **„FARA“** დაერთო.

ბოლო დღეებია, სააკაშვილის თემა მიჩუმდა. დოკუმენტების გამოქვეყნებამ გააჩუმა თუ რა ხდება, უცნობია, მაგრამ სიამოვნებით ვიხილავდი ჩვენი, ქართული **„FARA“**-ს მიერ სახეახეულ საქართველოს მოქალაქე უცხო ქვეყნის დესანტს, ჩვენი ახალგაზრდების სისხლით რომ უნდოდათ **ნარის გლეჯა**!

კარგი, **FARA**-ში წარდგენილი დოკუმენტებით დადასტურდა, რომ ლობისტური კომპანიები უწერდნენ ევროპარლამენტარებს რეზოლუციის დრაფტებს და ისინი ცდილობდნენ სანქციების ქვეშ საქართველოს მოქცევას, მაგრამ ხომ ვიცით, რომ მხოლოდ ეს კომპანიები და ალასანიები არ არიან საქართველოს სახელის შემლახავები? ხომ ვიცით, კიდევ ვინ არიან და რა მავნებლობებს სჩადიან, რას აკეთებს „უცნაური ქართული დემოკრატიის“ შემქმნელთა თავკაცობა ამის აღმოსაფხვრელად? მე თავადვე ვუპასუხებ: არაფერს!!!

ხომ გაირკვა, რომ ამერიკული კანონია და არა რუსული კანონი, ახლა მაინც მიიღეთ იგივე ამერიკული კანონი **FARA** ზუსტად იმ მოცემულობით, ყოველგვარი შერბილების გარეშე, როგორიც ამერიკაშია!

საქართველოსთვის სანქციების დადება ქვეყნის დანგრევააო, ამბობს ხელისუფლება და ამ დროს, იცი, ვინც ანგრევს; იცი, ამაში ფულს იხდის და მაინც უკან იხევ სამართლებრივ რეაგირებაზე?!

ამიხსენით ვინმემ, სისხლის სამართლის კოდექსი მხოლოდ რიგით ადამიანებზე ვრცელდება?

იგივე ლობისტური კომპანიები მე რომ დავიქირავო და იგივე საქმიანობით დავაკავო, მეც ასე გალაღებული მატარებს კანონი ქუჩა-ქუჩა და ეთერ-ეთერ?

ნუ დაგვამხეთ თავზე საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი!

**P.S.**

## დოქსოპულო და მისი დედაც...

ერთ დღეს მიხეილ დაქნეული პარლამენტის ტრიბუნიდან გადმოდგა და ეთქმევინა: „მე მართლაც მიმაჩნია, რომ ჩემი მატერიალური მდგომარეობა გავიუმჯობესე ბოლო რვა წლის განმავლობაში“, — დეპუტატების, გია ცაგარეიშვილისა და ჯონდი ბაღათურიას ბრალდებების საპასუხოდ. დეპუტატებმა კი რა თქვეს, რომ ბატონი სააკაშვილი, მისი ოჯახის წევრები და მისი ე.წ. „კლანი“ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების მიმთვისებლები და ყველა ბიზნესის მფლობელები ან მეწილეები არიან.



არ დააზანა მიხეილ დაქნეულმაც: „პარლამენტში გამოსვლის დროს მე ვთქვი, რომ უფრო გავმდიდრდი იმის ხარჯზე, რომ საქართველო გამდიდრდა-თქო. ზოგიერთებმა თქვეს, აი, აღიარა, რომ გამდიდრდაო. რა თქმა უნდა, მე არაფერი ფული არ მომმატებია, გარდა იმ ხელფასისა, რომელსაც ვიღებ, მაგრამ მე ის ვთქვი, რასაც ისინი ვერასოდეს ვერ გაიგებენ“, — დაიჩივლა ბატონმა მიხეილმა ახმეტაში, მორიგი სამედიცინო ცენტრის გახსნის გამო.

„ჩემი დეკლარაცია მთლიანად საქართველოა!“ — ესეც ბრძანა ბატონმა პრეზიდენტმა, თუმცა ამ ფრაზის განმარტება სპეროზიას მთებიდან მონაბერმა სუსხმა დაავიწყა ახმეტაში.

ჯონდი ბაღათურია უკიჟინებდა, საქართველოში „სიღატაკის პროგრამაში“ 900 000 პირია რეგისტრირებული, 600 000 დარეგისტრირებას ითხოვს, კიდევ 500 000 პენსიონერია, თქვენ კი დახმარებაზე უარს ეუბნებით უსახსრობის მოტივაციითო.

რაში ენაღვლებოდა სხვისი გასაჭირი, საკუთარი ჰქონდა დასათვლელი: „მიწის ფართობი 69875 კვ კილომეტრი, აქედან 20%-ის მომატების პერსპექტივით; ასევე, საზღვაო საზღვარი 315 კილომეტრი; ჰყავს 4 436 400 მსახური ადამიანი; პრეზიდენტს თავის მიწაზე აქვს 54 ქალაქი და ქალაქის ტიპის 44 დაბა; მისი ყოველწლიური შემოსავალია 7 623 000 000 ლარი და რამდენიმემილიონიანი დახმარება საზღვარგარეთიდან (კლასიფიკაცია „დამეზარა“ და ცალკე კატეგორიებად არ გამოვყავი პრეზიდენტის პირადი პატიმრები, პირადი გარდაცვლილები, პირადი მხევალ-ბოზები და ა.შ. ბევრი „პირადი“ — „მსახურის“ ნიშნით გავაერთიანე საქართველოს 4,5 მლნ მოქალაქე).

ახლა „ვივამედში“ კოტრიალობს, მაგრამ რა „გაღლეტილიც“ იყო, ის „გაღლეტილია“ ახლაც. „აკერმანსა“ და „ჯიპი ინთერნეშენელს“ ბიძია თემურმა გადაუხადა 75 451 ამერიკული დოლარი და დანარჩენი დედა გიულიმ გაიღო, თორემ თვითონ რა აბადია. საწყალს ხელფასი ჰქონდა და ისიც აღარ აქვს; პენტჰაუზს ყიდიდა და მგონი, ისიც ვერ გაყიდა; ემიგრანტი ფანატიკოსები უგროვებდნენ და ის რა თანხა იყო, ზღვაში წვეთი.

დედის აქვს მამა-პაპისგან ნაანდერძები ქონება და დედიკო ირჯება სიყრმის შვილისთვის...

გიული ალასანიას 3 104 812 ლარი შემოსავლის სახით უფიქსირდება.

რა არის გასაკვირი, ის ხომ თურმე საქართველოს ყველა დიდგვაროვანის და, ალბათ, ყველა მეფის შთამომავალია და ეკუთვნის, თან საქართველოს ტერიტორიის წილშიც უნდა იყოს.

მის საკუთრებაშია მრავალი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები თბილისში, ბათუმში, ყვარელში, ოზურგეთში (სოფ. ნატანები), თეთრიწყაროში (სოფ. სამშვილდე, სოფ. აბრამეთი), გარდაბანში (სოფ. კრწანისი), წყალტუბოში, დედოფლისწყაროში და ზუგდიდში, რაც ოფიციალური წყაროებით დასტურდება.

მეტი რა ქნას ერთმა ტანმორჩილმა ქალმა, პირად ცხოვრებას მიხედოს, შვილის ჯანმრთელობაზე ირბინოს თუ ქონება ითვალოს?

„ყველას რაღაც გვიდევს სადღაცო“, რომ თქვა დედა-გიულიმ, მართალს იტყოდა, ნამდვილად ედება სადღაც რაღაც, რაც პირდაპირ კავშირში იქნება კობა ნაყოფიას ოქრომდინარ ჰაბიტუსთან.

„შთავაგონე, რომ დემოკრატიულ საქართველოს აშენებს და ხალხს ძალიან უყვარს, უკვე დავით აღმაშენებელზე დიდ მმართველად თვლის საკუთარ თავს და ჰგონია, რომ ქვეყანაში იდეალური ეკონომიკური მდგომარეობაა. ეს ყველაფერი აწყნარებს...“ — ბრძანებდა თანამდებობის ერთ „მაღალ“ პირზე ფსიქო-ანალიზის ერთ-ერთი მიმართულების პროფესორი, ბატონი გივი მერაბიშვილი.

თქვენ მოგეცათ მთლიანად საქართველოსა და კონკრეტულად იმ „პირის“ ცოდვა, ბატონო პროფესორო! რომ შეხედეთ, უიმედო მდგომარეობა იყო, რატომ გადააგდეთ მისთვის შეუფერებელ სამყაროში?

ყოფილიყო თავის ბუნებრივ ამპლუაში, აქამდე ხომ უკვე იქ იქნებოდა, იმ რეალობაში, სადაც მისთვის შესაფერისი ადგილია და არა „ვივამედში“?

ადამიანს რომ საქართველოს ცა ქუდად არ მიაჩნია და საქართველოს მიწა ქალამნად, ამ დროს პრეზიდენტია, მაგრამ მარადიული დაქნეული, ასეთ უიმედო მდგომარეობაში მყოფს კიდევ დავით აღმაშენებლობა და მსოფლიო ლიდერობა უნდა ჩააგონო?

ჯანდაბას, ის მაინც ჩაეგონებინათ, რომ აღმაშენებელიც არის, გორგასალიც, ილია მართალიც და ყველა, ვისაც მოეპოტინებოდა, მაგრამ ავად არის და თეთრხალათიან დეიდებსა და ბიძიებს უნდა დაემორჩილოს...

ქველმოქმედება მაინც ჩაეგონებინათ, საქართველოსგან მიტაცებული ქონების მცირეოდენ ნაწილს მაინც დავიბრუნებდით...

ამ სიმულანტ მავნებელს რომ დავით აღმაშენებლად და საქართველოს პრეზიდენტად კი არა, საქართველოს მთელი ტერიტორიისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანის და მათი სიცოცხლის მფლობელად მიაჩნდა თავი და მეორე წრეზე უნდა წასვლა, არ უკვირს არავის და მისი ტვინისთვის მისაღები სურვილიცაა, მაგრამ თავისნაირი დაცურებულებული ფანატიკოსების არმია რომ ჰყავს, იმათ რა ეშველებათ?,

კაცმა რომ თქვას, მათ ნაშველი აქვთ, თავიანთ მიერვე გამოგონილ სამყაროში ცხოვრობენ მომავლის რწმენით, ჩვენ რა გვეშველება, რომ მისჯილი გვაქვს ამ ფსიქიკურად მოშლილ მავნებელ სუბიექტებთან კოჰაბიტირებული ცხოვრება...

P.შ. ისე რა საინტერესოა, ამ ჩემისა მეოთხე პრეზიდენტმა, იმ ჩემისა მეხუთე პრეზიდენტს, ამ ჩვენისა მესამე პრეზიდენტის შეწყალება მოსთხოვა $11 500-ად.

ამ თანხად ფოთის პოლიცმეისტერიც არ გაიხდის!!!

**ნინო დაუშვილი**



# „ჭიჭე“ და „ხაბე“ დაძმობილდნენ, გზას უნდა გაუდგეთო...



ვინ არის ვიღაც ჭიჭე ვაშაძე, ჩემს ქურქუმალ ვაითს რომ მიჩაგრავს?

ვინ მიგდია ვიღაც „ჯუნიორა“, ეკოლოგიურ კატასტროფაში მოყოლილი ფრინველი (ნათლია — რეზო ამაშუკელი), ჩემი აბი, „ხაბე“ რომ დამიჩაგროს?

„ხაბეს“, იგივე „გრუშას“, იგივე კრივის „მსხლის“ დაჩაგვრა და მასხრად აგდება არ დავინახო!

„ხაბე“ ძველბიჭური გაგებით, ქურდია ჩემ თვალში! ტიპს იმდენჯერ მოხვდა ხელი, წიხლი თუ რიყის ქვა სხეულის ნებიერ ადგილზე, რუსის ბარაბანს რომ არ მოხვედრია და ერთხელ არ გაქცეულა პოლიციაში, მიშველეთ, მცემესო. არადა, მისი ცემის ყველა ვიდეოკადრი მტკიცებულებად იდო და თავდამსხმელიც გარკვევით ჩანდა. რა საკვირველი ვინმე აღმოჩნდა ეს ტიკინა-ბიჭი მთელ ამ „ნაცსექტაში“-მეთქი, უნდა დამეწყო ღაღადი ზეხელებაპყრობილს, მაგრამ გამახსენდა, რომ ვანო მერაბიშვილი და ლევან ბერძენიშვილიც გაძველბიჭდნენ, არც ისინი თანამშრომლობენ სამართალდამცავ ორგანოებთან, ირგებენ რასაც რიგითი ადამიანები უძლვნიან — მუშტი იქნება, წიხლი თუ კვერცხი და დავრჩი გაღიმებული.



ჩემი რაინდული სულისკვეთების აბი „ხაბე“ ბოზჯაფარას კი არ ჰგავს, ან ნეხვის ტომარა მშვილდაძეს, თითოჯერ რომ გაძუყნეს და ბოზი კურდღლებივით აკივლდნენ!

ერთი ჩიოდა: არიქათ, გორის ტრასაზე, ავტომობილში, გზაზე მარგალიტად მჯდომარეს, ვიღაც ტიპი თავს დამესხა „სპარის“ დანკინის დონატებისა და კრუასანების მომლოდინესო და ისეთი ელვისებური სისწრაფით ამოიცნო სოსო მაისურაძე, სინათლის სიჩქარით მქროლავი ბგერა კუთხეში მიიყუჟა დარცხვენილი. ცოტა კი ეხამუშებოდა, ნაცემი რომ იყო, მზის სათვალით გამოგვეცხადა ჩივილით, მაგრამ სათვალე რომ დაიკოსა ცხვირზე, უფრო საეჭვო გახდა. ხალხი უმღეროდა: „შენ ბიჭო, თვალებს ნუ მალავ, ნუ მალავ“-ო.

სადღა გაექცეოდა გაძუყნულის იარლიყს, მოიხსნა „აჩკები“ და მოგვევლინა თვალაფანარაშვილად.

მეორეც იგივეს ჩიოდა მარგალიტობაზე და თან ვახო სანაიას ხვანჯარზე ექაჩებოდა: „აი, აი, ვიდეოკამერებიდან ამოღებულ ჩანაწერებში იმ ტიპებს მიაქციეთ ყურადღება, ეგენი „სუსელები“ არიან, სხვაგვარად წარმოუდგენელიაო, და საწყალობლად აფახულებდა ჩინჩორიკისფერ თვალებს, ორივე უპეზე კი სასოწარკვეთილება მუქ ლურჯად ედო. სადღა იყო მგზნებარე მიშა პარლამენტის წინ გამართული ტაკიმასხარაობიდან მიკროფონთან მდგარი რიხიანად რომ გვემუქრებოდა მთელ საქართველოს, დედას გიტიებთო...

კახელი იღვიძებს და ფიქრობს: დღეს რაღაც მუშაობის ხასიათზე არ ვარ, წავალ, ერთ-ორ „ნაცს“ გავლახავ, იქნებ გადამიაროსო — ეგ ვარიანტია, რა!

„მე რომ რესტორნის მეპატრონე ვიყო, ტრადიციულ მენიუს: ხინკალი, მწვადი, ქაბაბი, ბაყაყის მუჟუჟი... მივაწერდი, „თქვენთვის სასურველი ნაციონალის ცემა“. თუ რეკლამაა, რეკლამა იყოს! რა მუშაობა მექნებოდა?“ — იოხუნჯა მალხაზ თოფურიამ და ნამდვილად ასეა.

ირაკლი ზარქუამ თქვა და ვუერთდებით სრულიად საფეისბუქეთი: „ხაბე, ძმაო, ამოიღე ხმა, შენ გვერდით ვართ!“

იმიტომ ეცემინება ძმა „ხაბე“ ყველა რაიონში ყველას, რომ ვიღაც ჭიჭე ვაშაძემ მშობლიურ „ენმ“-ში გადაუჯოკროს?

ერთი სექტის წევრები კი არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ არანაცსექტა ხალხის გული მაინც ქურქუმალს ეკუთვნის!

დიახ, „ხაბემ“ უნდა რაიონებში იაროს და ხალხს შეხვდეს! მერე რა, თუ უბაზუნებენ, ასე იწრთობა ფოლადი!

რა ამ სიტყვის პასუხია და, ასე რამ გააფარჩაკა ძლევამოსილი „ნაცმო“, რომ ერთი სალიდერო პერსონა ვერ შექმნეს?

ერთი „ნაცი“ ვერ იპოვეს, რომელსაც გარეგნობაც და ინტელექტიც ადეკვატური ექნება, მცირეოდენი სირცხვილ-ნამუსიც და საქართველოც სამშობლოდ მიაჩნია!

თავდაპირველად „ხაბემ“ თავი გაიგიჟა, რას ჭორიკნობთ, არანაირი ჭიჭე აღმაშენებელი არ განიხილება პარტიის პრემიერმინისტრობის კანდიდატადო; კი, ვკონსულტაციობთ, მაგრამ გვაცადეთ, ბატონო, რაცხას ვგალახაობთ ჩვენთვის სამომავლო თანამშრომლობის ამბებსა და გაგებებშიო; ე ბიჯო, პრემიერი კი არა, ჩვენი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა ევროკავშირის სტატუსის მიღებააო; გვაცადეთ, თორემ ვეღარ ვარკვევთ, ბოლომდე გაგვარუსებენ თუ ვერაო; ჩვენი კონსულტაციები ოპოზიციურ ველზე საერთო სტრატეგიასა და ბრძოლის მიზნების განსაზღვრას ეხებაო, — ლომივით დაგრგვინება დაპირა „ხაბემ“, მაგრამ თავის არის ¾3/4-ში მრავაგზის ნათეთქვმა ნერვმა უბწკინასავით, ამიტომ, ნაჩუქარი **ქინდრებიღა** გადმოყარა და ნაჩუქარი წკაპუნებით სამეგრელოსკენ გაქურქუმელდა. ამინდმა არ გაუმართლა, თორემ ნაჩუქარ პლაშჩსაც მოიცვამდა

თავის მხრივ „ჯუნიორას“ ამალამაც დაადასტურა „ენმ“-სთან კონსულტაციები და დაგვაიმედეს, უახლოეს მომავალში უფრო მეტ დეტალს გაგიმხელთ, მაგრამ თანამდებობების გადანაწილებაზე არ ვბაზრობთ, დედებს გეფიცებით ერთად და ცალ-ცალკეო, ზოგჯერ და ხანდისხანო.

რა ოხუნჯები არიან!

ის ანეკდოტი გამახსენდა, ტიპი რომ მეძავებში გაერია და ფასს არკვევს, ამ დროს კი პოლიცია დაადგება, აქ რა ხდებაო? ერთი მეძავი იტყვის, სტილისტი ვარ და კლიენტს საქმეზე ველაპარაკებოდიო; მეორე იტყვის, მე „მანიკურშა“ ვარ და კლიენტს მეც საქმეზე ველაპარაკებოდიო; მესამე იტყვის, მე „პედიკურშა“ ვარ და კლიენტს მეც საქმეზე ველაპარაკებოდიო. ტიპი გადაირევა, აგენი ახლა მე გამომიყვანენ „პრასტიტუტკადო“.

მთელი ე.წ. ოპოზიციური მთხლეობა დაშლილი „ენმ“ არის: ძებნილი „კეზერა“ და ნაპოვნი ვანო-, საფულე და უდე-ბლუ და აბა, ვინღაა „ენმ“, ერთი ცალი „ხაბე“ და მეორე ცალი მიშა-კამო ფეკალიანი?

ჯუნიორ ვაშაძე, ზურაბ ადეიშვილის ზეობის ხანაში აღზევებული მდაბიო, ჩამოწერილი ტიპიური წურბელა და ახალგაზრდების მიერ საპროტესტო აქციიდან გაპანღურებული მაზუთიანი ვარხვი, კიდევ ცოცხალი ყოფილა?

კი, „ქართულ ოცნებას“ მაისში, სხვა ოპონენტებთან ერთად მისი ლიკვიდაციაც ჰქონდა დაგეგმილი და წამმხომის ჩასართავად მზად იყო, რაო, მოეშალა წამმხომი, თუ საიქიოდან გამოგვეცხადა და ჩვენს „ხაბეს“ გულს უფრიალებს?

როგორ უნდა საბრალო ჭიჭეს, რომ ძლევამოსილი პოლიტიკური ლიდერი, უმნიშვნელოვანესი ფიგურა, მგზნებარე რევოლუციონერი იყოს, მაგრამ, მიუხედავად საკუთარ თავთან ტლინკების ყრისა, ვერაფრით გააგდო მასში ჩასახლებული ჭიათურა, მაინც ძუძუანას მღვიმეშია დარჩენილი და სელს ართავს...

აგერ ახლახან მჭევრმეტყველებდა, ისე ეშინია „ოცნებას“ ჩვენი „ენმ“-ის“ერთიანობის, რომ ნიკა გვარამიასთან დაკავშირებითაც იგივე მზადდებოდა, ყველაფერზე წამსვლელია ეს რეჟიმიო. ახლა რას ამბობს ეს უფუნქციო ოქლაქი, როცა გვარამია ჩასახუტებელ მანძილზე ჰყავს, მაგრამ მას კი არა, უსამშობლო მაქინატორ არახამიას ეხუტება და თვითონაც ცოცხალია? სიმართლე უთქვამს თეა წულუკიანს, რომ ტაშაღლარა ვაშაძე ისე იყო ადეიშვილის კარზე, როგორც მასხარა, რომელიც ყველა მეფეს ჰყავს სამეფო კარზე.

ახლა საიდან აგორდა ამბავი მისი გაპრემიერებისა, ირაკლი კობახიძის სიტყვებმა ხომ არ შთააგონა, რომ წინსწრებით შეიძინოს ჯავშანი სახელად „პოლიტპატიმარი“?

მიშას დროების მღილია, ვერ გამოსულა თავიანთ მიერვე შექმნილი ფაშისტურ-კრიმინალური სახელმწიფო წყობიდან და ირაკლი კობახიძის ერთ ფრაზაზე „თუ კოკა მორგოშია 5 ივლისის ძალადობის ორგანიზების გამო დასაჭერია, მაშინ 7-8 მარტის პარლამენტზე ძალადობრივი შტურმის მიტანის გამო გიორგი ვაშაძე და სხვა ოპოზიციონერი ლიდერები სამართლებრივ პასუხგებაშია არიან მისაცემებიო“, ჰწკარებს შორის ქუდი აეწვა.

არ მეშინია პატიმრობისო, — ხმამაღლა მიმართა ირაკლი კობახიძეს რიხით, მაგრამ გულში გაიფიქრა, ღმერთო არ გაგიწყრეთ, რა ციხე, რისი ციხე! სხვები დაიჭირეთ და მე გარეთ გავაპროტესტებო.

არც თავდასხმის მეშინიაო, — ლამის ამოხტეს შარვალ-კოსტუმიდან, მაგრამ მაინც არავინ ესხმის თავს.

ისე ჩარჩა და დაელექა შემეცნებაში მორგოშიასთან შედარება, აკვიატება დაეწყო და ირაკლი კობახიძე ისე ჰყავს აკვიატებული, ალბათ, ოჯახის წევრებსაც „ირაკლის“ ეძახის...

კობახიძე გრძნობს პოლიტიკური დაისის მოახლოებას, ხვდება, რომ ქართველმა ხალხმა საბოლოო განაჩენი გამოუტანა მას და როგორც რუსი, პოლიტიკურ სანაგვეზე გაუშვა, რაც აუცილებლად გაფორმდება უახლოეს არჩევნებზეო და ლაკის ფეხსაცმელებსა და მემანქანის ქუდს დაეძებს, ნატო-სა და ევროკავშირში შესაბიჯებლად. წარმოიდგენს, რომ თვითონ დიდი, თეთრი ლოკომოტივია, წითლად აწერია „ჯორჯ ფრომ ჯორჯია“ და უკან ჩაბმული ჰყავს გრძელი შემადგენლობა სრულიად საქართველოსი. რუკის წაკითხვა არ იცის, თორემ იმასაც მოგვახსენებდა, საიდან შევყავართ ნატოში. ევროკავშირში საიდან და რანაირად შევყავართ პირადად მას, ეს ხომ ზედმიწევნით იცის, რააა!

როგორც მახსოვს, ეს ის მრისხანე ოპოზიციონერი ვაშაძეა, ცხელი შემოდგომა რომ დააანონსა.

ჭიჭე, შე დაბრედილო!

როგორ ველოდით!

გადაგვაგდო.

ჩვენს ქურქუმალს კი არ ჰგავს, იტყვის, მივდივარ, უნდა ვეცემინოო და ასრულებს, ეს ტიპი კი გადამგდებია!

გავიდა სექტემბერიც და ოქტომბერიც, დადგა ნოემბერი. აგრილდა, მაგრამ არსად ჩანდა ჯუნიორ-ვაშაძის შეპირებული „ცხელი შემოდგომა“.

არსებული ხელისუფლების ვითომდა შესაცვლელი თუ ჩასანაცვლებელი შეპირებული რევოლუციური „ახალი ტალღის“ დაწყების მხურვალე საშემოდგომო სეზონი ისე გააპარა ჭიჭე-ჩე გევარამ, „ოცნების“ ხელისუფლებაზე მისი დაქადნებული გაафთრებული შეტევა კი არა, თვითონ გახდა საძებარი.

ჰო, რა ქნან, ძალიან უყვართ ქადილი, მაგრამ, როგორც ჩანს, დასასვენებელი დრო არ ჰყოფნით ზაფხულში და ამიტომაც არ გამოსდით სპარტელობა შემოდგომაზე; ან ზედმეტად ისვენებენ და მოდუნებული კუნთები მოძრაობაში ვეღარ მოჰყავთ, რადგან ჭანჭიკები აქვთ „მანი-მანით“ დასაზეთი, თორემ 300-ზე მეტი რომ არ არიან, კი ვხედავთ...

ზამთარში ცივა და თან ახალი წელი მოდის, რა დროს რევოლუ-

ციობანაა. ერთი თავისუფალი თვე აქვთ, ნოემბერი და არ ჰყოფნით დიდი და დიადი საქმეებისთვის;

გაზაფხული დარჩათ და აი, მაშინღა ხარობენ, ატყდებიან ხოლმე მარტის კატებივით და დაბუჟღაობენ ერთმანეთში, ვისი „ლელო" ვის გირჩშია, ვერ გაიგებ.

ახლა, ამ ზაფხულში, უეცრად, გაკვალული სტრატეგია „სტრატეგია აღმაშენებელმა" გადახაზა და ამ თაკარა სიცხეში მოინდომა „ხაბესთან" ხვევნა-კოცნის ატეხვა. 2016 წელს „ნაცმო"-სთან განშორებული ვაშაძე, აქაოდა, პარტიის მენეჯმენტი კაბინეტურ მმართველობაზეა გადასული და ფასადურად განახლებული პარტიის სიით გარანტირებული ადგილი არ მჭირდებაო, უძღები შვილივით, ისევ „ნაცმო"-ს შეეყუდა, თქვენიანი ვარ მე, თქვენიანიო.

„ვივამედის პასაჟირსაც" დაავიწყდა, „ჭიჭე" რომ „ბნელ გზაზე გადახვეულად" მონათლა და იმ ფიგურად არ მიაჩნდა, ვისზე საუბარშიც დრო უნდა დაეხარჯა — ახლა ისე გამოუვიდა, თითქოს ფიზიოლოგიური მოთხოვნილების გამო გადაუხვია „ჭიჭემ" გზიდან და მობრუნდა აგერ, შარვლის უბის სწორებით და დაუბრუნდა ნათელ გზას. კოტრიალობს აფერისტი ქაქიჯანი და ისვრის ყველაფერს, მათ შორის ხაბე-გაჭირვებულის „გამარჯვების პლატფორმის იდეისთვის" მისასალმებელ ფრაზებსაც. მაგარია — აღმაშენებლიდან „მიშას საქართველომდე".

ვერ გავიგე, ამ ორი გაჭირვებულის გაერთიანებას „გამარჯვების პლატფორმა" ერქმევა, „მიშას საქართველო", თუ ორივე ერთად?

მივაღწიეთ შეთანხმებას პარტიასთან, რომელიც ასევე ყველაზა დიდია ყველა კვლევით პროდასავლურ პარტიებს შორისო, — ხარობს ხაბე. მკვდარი მკვდარს აეკიდა თუ მკვდარზე ვენოკი დაედო, ვერ გაიგებ დასიცხული ადამიანი. მათ სიხარულს არ ესწრებოდნენ ნაცები მელიას ფლანგიდან. არ დაუძახეს და არ იყვნენ!

ვაშაძის საპარლამენტო პარტნიორები (ნაკაიძე, სამნიძე, აქუბარდია) ისე აიჯაგრნენ, ვაშაძეს რეფორმების ჯგუფიდან გარიცხვა შესთავაზეს და წითელი ხაზი გაუვლეს. ანგარიში 1:1 — როგორც მათ გაიგეს ვაშაძის „ხაბესთან" გაერთიანება ტელევიზიით, ჭიჭემაც ტელევიზიით გაიგო გარიცხვის ამბავი.

„დიახ, ძალა ერთობაშია!" — ერთმანეთს უდასტურებენ „ხაბე" და „ჭიჭე", „ჭიჭე" და „ხაბე", ვარხვი და მსხალი, ორივე ერთად კი დანარჩენებს ექადნებიან.

საწყლები, ორივე სხვის კალთაზეა მობღაუჭებული და ვანო-„კეზერას" ტანყუჭზე ლეღვის ფოთლად აფარებული...

ხმა დაირხა, ახალ პლატფორმას ვაშაძე ჩაუდგება სათავეში და სულაც შეცვლის „ხაბესო".

როგორც უნდათ, ისე იყოს, მაგრამ ჩვენ, ფეისბუქის გაერთიანებული სამეფო, ჩვენს „ხაბეს" ვიღაც „ჭიჭეს" არ დავაჩაგვრინებთ!

მიდი, „ხაბე", არ შედრკე, ერთიც მოგხვდეს, არაფერია, შენებურად, გულადად შეუბერე!

**ზურა ომხერელი**

# უკრაინა მსოფლიო სამხედრო ტექნოლოგიების პოლიგონად გადაიქცა



***გვესაუბრება უფლებადამცველი გრიგოლ გაგნიძე***

**— ბატონო გრიგოლ, ტრადიციად იქცა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მოქმედი ხელისუფლების კრიტიკა უცხოელი პოლიტიკოსების მხრიდან. რატომ?**

— საქართველოში რადიკალურ ოპოზიციას, ძირითადად, მათ მიერ დაქირავებული ამერიკელი და ევროპელი ლობისტები უჭერენ მხარს. დიახ, რადიკალურ ოპოზიციაზე დებენ ფსონს, რათა როგორმე ჩვენი ქვეყნის სათავეში მოიყვანონ, მაგრამ 2024 წლის არჩევნებში დიდი ალბათობით კვლავ დამარცხდებიან, როგორც ბოლო ათი წელია, ხდება. სამწუხაროდ, ცალკეულმა უცხოელმა პოლიტიკოსებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს ჩვენში 2011-12 წლებში განვითარებული მოვლენები, სწორი დასკვნა ვერ ან არ გამოიტანეს. ამიტომაც უჭერენ მხარს იმ ძალებს, პოლიტიკოსებს, რომლებიც „ნაცმოძრაობის" სისხლიანი რეჟიმის შემოქმედები არიან. უფრო მეტიც, ხელისუფლებაში მათ დაბრუნებას ცდილობენ! საქართველოს მოსახლეობას, საზოგადოებას კარგად ახსოვს ნაცრეჟიმის ქვეყანაში ნამოქმედარი, ამიტომაც არ აქვს შანსი რადიკალურ ოპოზიციას, დაბრუნდეს ხელისუფლებაში. ქვეყნის სათავეში მათი მოსვლის შემთხვევაში დაიწყება შურისძიება. აქედან გამომდინარე, რადიკალებს არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი არა აქვთ. რაც შეეხება უცხოელ პოლიტიკოსებს, მათი სურვილია, ქვეყნის სათავეში მოიყვანონ მათ მიმართ ლოიალურად განწყობილი, ადვილად მართვადი პიროვნებები, რასაც ჩვენი საზოგადოება ვერ შეეგუება და არ დაუშვებს.

**— რამდენიმე დღის წინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტყოფილ სააკაშვილის მხარდასაჭერად ლობისტებისთვის დიდძალი თანხებია გადახდილი. ფაქტობრივად, ცრუ ინფორმაციების გასავრცელებლად ქრთამს იღებდნენ., რას გვეტყვით, მსგავსი ქმედება დასჯადია?**

— თუ ლობისტურ საქმიანობას კერძო კომპანია აწარმოებს, პასხუს არ აგებს, მაგრამ თუ სახელმწიფო ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები არიან ჩართული მსგავსი საქმიანობაში, ამ შემთხვევაში ქმედება დასჯადია. ხომ გახსოვთ, ევროპარლამენტის ყოფილი და მოქმედი ჩინოვნიკების დაკავებები, ისინი სწორედ ლობისტურ საქმიანობას ეწეოდნენ, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ.

**— გამოდის, რომ ცრუ ინფორმაციის გავრცელება, ქვეყნის იმიჯის შებღალვა, დასჯადი არ არის?**

— ამ შემთხვევაში სასჯელზე ვერაფერს გეტყვით. რაც შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, მინიმუმ, საჯაროდ ბოდიშის მოხდა უნდა მოსთხოვოს იმ ქვეყნების ხელისუფლებებს, საიდანაც ცრუ ინფორმაციები ვრცელდება, რითიც ზიანდება ჩვენი ქვეყნის რეპუტაცია, იმიჯი. ცრუ ინფორმაციების გავრცელება გარკვეული ძალების სახელმწიფო სტრუქტურების, კერძოდ, სამართალდამცავი, სამედიცინო სფეროს დასაკნინებლად სჭირდებათ. როგორ შეიძლება, სააკაშვილს აწამებენო, განაცხადოს ვინმემ, როდესაც მსჯავრდებული კომფორტულ, სასათბურე პირობებში იმყოფება, სამოქალაქო (და არა პენიტენციურ) საავადმყოფოში ოროთახიან პალატაშია, საუკეთესო პირობები აქვს შექმნილი. ამას სასჯელის მოხდას ვერ დაარქმევს ადამიანი. სამწუხარო ფაქტია — ქვეყნის რეპუტაციის შელახვისთვის ვერსად უჩივლებ ვერავის, მხოლოდ პროტესტის გამოთქმაა შესაძლებელი, რაც დღევანდელ საერთაშორისო არენაზე არაეფექტურია.



**— რადგან სააკაშვილი ვახსენეთ, მასთან პოლონელი ექიმები იმყოფებოდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, რბილად რომ ვთქვათ, არაორდინარული საქციელით დაგვამახსოვრა თავი. რას ემსახურებოდა მისი მოქმედება?**

— პოლონელი ექიმის საქციელზე ბევრი ვარაუდი გამოითქვა, რისთვის უნდოდა, რაში გამოიყენებდა იმ ბიოლოგიურ ნიმუშებს, რომლის გამოტანასაც მალულად ცდილობდა, მხოლოდ ვერსიების გამოთქმა შეგვიძლია. ჩემი სუბიექტური აზრით, აგორებული სკანდალით შეამოწმა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, კერძოდ, პენიტენციური სისტემა. სავარაუდოდ, აინტერესებდა, როგორ არის დაცული სააკაშვილის უსაფრთხოება, რამდენად შესაძლებელია აკრძალული ნივთების მასთან შეტანა ან გამოტანა. ძნელია მსგავსი პიროვნებების მიზნების ამოცნობა. როგორც გაირკვა, პოლონელი ექიმი თავისი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია, პარალელურად, უშიშროების სამსახურშიც არის. ყოველივე მრავლისმეტყველია. სავარაუდოდ, ექიმი ადეიშვილლორთქიფანიძის დაკვეთით მოქმედებდა, რისთვისაც გარკვეულ სოლიდურ ანაზღაურებას მიიღებდა (ან უკვე მიიღო).

**— ბატონო გრიგოლ, სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილზეც ყოფილა ზეწოლა ნაცრეჟიმის ლობისტების მხრიდან, რათა სააკაშვილი შეეწყალებინა. თუმცა, ქალბატონი პრეზიდენტი დღემდე დუმს, ფაქტს არც უარყოფს და არც ადასტურებს. ამ ბოლო დროს არც გამოჩენილა...**

— დიახ, გავრცელდა მსგავსი ინფორმაცია, მაგრამ, როგორც თქვენ თქვით, ქალბატონი პრეზიდენტი დუმს. თუ იგი მართლაც დამოუკიდებელ პოლიტიკოსად მიიჩნევს თავს, ჯობს, თავად თქვას საჯაროდ, მართლა ხორციელდებოდა მასზე ზეწოლა თუ არა, ვიდრე ამას სხვა იტყვის. „შუბი ხალთაში არ დაიმალებაო", ნათქვამია. დუმილით იგი გარკვეულ ძალებს აფარებს ხელს, რაც პოლიტიკოსისთვის, მით უფრო პრეზიდენტისთვის, საბოლოო ჯამში, წამგებიანი იქნება.

**— უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ საქართველოს ელჩი, ფაქტობრივად, გამოაძევა. როგორ შეიძლება შევაფასოთ მომხდარი?**

— აღნიშნული ქმდებით იქაურმა მოქმედმა ხელისუფლებამ, საქართველოს, მინიმუმ, ცივი ომი გამოუცხადა. ძირითადი მიზეზი სააკაშვილის საქმეა, ვითომ უკრაინის მოქალაქე აქ უკანონოდ არის დაკავებული, აწამებენ და ა. შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ომში მყოფი ქვეყნის პრეზიდენტი სხვა კეთილისმსურველებსაც უპირისპირდება. უკრაინის ხელისუფლების ქმედება — ელჩის გამოძევება უმადურობის უმაღლესი დონის გამოვლინებაა. საქართველოში მყოფ უკრაინელ დევნილებს ჩვენმა ხელისუფლებამ სასათბურე პირობები შეუქმნა, აქაურ პენსიონერებზე გაცილებით მეტი დახმარება ეძლევათ, ბავშვები სკოლებში დადიან და სწავლობენ, უკრაინულ ენაზეც. მათი ხელისუფლებისგან მადლობის ნაცვლად უმადურობა მივიღეთ.

**— დასავლეთის პრესა უკვე ხშირად საუბრობს, რომ უკრაინისთვის გადაცემული შეიარაღება „შავ ბაზარზე" იყიდება. ფაქტობრივად, უკანონოდ ვაჭრობენ იარაღით. ეს ქმედება დასჯადია?**

— პრეზიდენტმა ზელენსკიმ იარაღით უკანონოდ ვაჭრობის მიზეზით უკვე გადააყენა თანამდებობებიდან საშუალო რანგის ჩინოვნიკები, არიან დაკავებულებიც, მაგრამ გაყიდვები გრძელდება. აშშ-ის შესაბამისი სამსახურები, გავრცელებული ინფორმაციით, იკვლევენ იარაღით ვაჭრობის ფაქტებს. არის ასეთი გამონათქვამი, „ომი ყველაფერს ჩამოწერს", სწორედ ამ პრინციპით მოქმედებენ ცალკეული პირები, რომლებიც გამდიდრებას იოლი გზით, სხვისი სიცოცხლის ხარჯზე ცდილობენ. დღევანდელი უკრაინა იარაღის საცდელ პოლიგონად გადაიქცა. უხეშად რომ ვთქვათ, ომის დროს კოლოსალური რაოდენობით „ფული კეთდება", მაგრამ ამას უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

**— ბატონო გრიგოლ, მოდი, ჩვენი საუბრის ბოლოს მსოფლიოში არსებული პოლიტიკური ვითარება შევაფასოთ...**

— მსოფლიოში დღეს უაღრესად დაძაბული, გაურკვეველი ვითარებაა. სავარაუდოდ, 2024 წელს სამყაროში გლობალური ცვლილებებია მოსალოდნელი, რადგან აშშ-სა და სხვა ქვეყნებში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ანალიტიკოსების შეფასებით, აშშ-ში მოქმედი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ჩანაცვლებით, მსოფლიო ახალ ფართომასშტაბიან ბირთვულ ომს გადაურჩება. გასაოცარია, აშშ-ს სურს სამყაროში დემოკრატიის, ლიბერალიზმის დამკვიდრება, მაგრამ ჯერ კიდევ არის მათ ქვეყანაში სიკვდილით დასჯა. როგორც აღმოჩნდა, რუსეთი ხორბლის წამყვანი მწარმოებელი ქვეყანა ყოფილა. დაწესებული სანქციების მიუხედავად, ევროპის ქვეყნები მილიარდობით დოლარის ღირებულების პროდუქციას იძენენ რუსეთიდან. სანქციების დაცვას მხოლოდ ჩვენისთანა პატარა ქვეყნებს აიძულებენ. მსოფლიოს ქვეყნებმა უკვე დაიწყეს პროდუქტების ზამთრისთვის მომარაგება, ხორბლის შეძენა. სავარაუდოდ, რუსეთი შეეცდება მანიპულირებას. როგორც უკვე გითხარით, უკრაინაში მიმდინარე ომმა ქვეყანა მსოფლიოს სამხედრო ტექნოლოგიების პოლიგონად გადააქცია. 2024 წელს გაირკვევა, სამყაროში ვითარება დამშვიდდება თუ ბირთვული ომი იფეთქებს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# გიგანტებთან შერკინების დროს ჭკუა-გონება და ხერხია საჭირო

**ოპოზიციის ბრალდებები ხელისუფლების მიმართ რუსეთზე დამოკიდებულების ზრდასთან დაკავშირებით აქტუალობას არ კარგავს და მუდმივად გრძელდება. თუმცა, საზოგადოების ნაწილი მთავრობის პოლიტიკას ემხრობა კიდეც და რუსეთთან დაპირისპირების გამწვავებას გაუმართლებლად მიიჩნევს. რადიკალურად განწყობილი ანტირუსული ჯგუფების ხმაურიანი „შეხსენებების“ გარეშეც შესამჩნევია, რომ ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობელი საქართველოს უმსხვილესი პარტნიორია - სტატისტიკურ მონაცემებში გაუმჯობესების ტენდენციაც კი ფიქსირდება.**

**ამ თემაზე ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ-ის პროფესორი იური პაპასქუა გვესაუბრება:**



**— ბატონო იური, გვითხარით: რა მიმართულებით იზრდება საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულება რუსეთზე და რა რისკებს ხედავთ. რა ზიანი ან სარგებელი შეიძლება მივიღოთ ამ მოცემულობიდან?**

— თქვენს შეკითხვაში აქცენტი დამოკიდებულებაზე კეთდება. არა მგონია, ეს სიტყვა ფაქტობრივ ვითარებას შეეფერებოდეს. „დამოკიდებულება“ იმ შემთხვევისთვის გამოდგება, როცა საშველი არ არსებობს, მიჯაჭვული ხარ და მორჩა. რადიკალურ ოპოზიციას დამოკიდებულებაზე ხაზგასმა ხელისუფლებისადმი განწყობის გამწვავებისთვის და მისი პოლიტიკის მუქ ფერებში წარმოსადგენად სჭირდება. უფრო მართებულია, სიტყვა ურთიერთობა გამოვიყენოთ. ჩვენ რუსეთზე არაფრით ვართ მიჯაჭვული, არც არავინ გვინასკვავს ყულფს და არც განზე გახედვას გვიშლის. ეს ჩვენ გვჭირდება რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობა, რაც არსებულ მოცემულობაში პრაგმატული გამოსავალია. დიახ, რუსეთი, თურქეთთან, ჩინეთთან, აზერბაიჯანთან ერთად, ჩვენი ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია. საქსტატის ცნობით, 2023 წლის იანვარ-ივნისში (დაუზუსტებელი მონაცემებით), მთლიანი იმპორტირებული საქონლის 12,9% რუსეთიდან შემოდის, ექსპორტის წილი კი - 11,3%-ია. გასულ წელთან შედარებით, რუსეთთან ექსპორტი - 33.8%-ით, ხოლო იმპორტი - 40.2%-ით გაიზარდა. ესე იგი რუსეთიდან ინტენსიურად ვიღებთ და რუსეთშიც გაგვაქვს პროდუქცია - ამას არავინ უარყოფს. 2023 წლის იანვარ-მაისში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებულ მსხვილ სასაქონლო ჯგუფებში ზრდის ტემპებით ხასიათდება ნავთობი და ნავთობპროდუქტები; ნავთობის აირები და სხვა აიროვანი ნახშირწყალბადები; მინის ტარა; ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი; ქვანახშირისგან მიღებული მყარი საწვავის სახეობები. დანარჩენ საქონელში კლების ტენდენცია ფიქსირდება. ამავე პერიოდში, საქართველოდან ექსპორტირებულ მსხვილ სასაქონლო ჯგუფებში გაზრდილია ყურძნის ნატურალური ღვინოების, მინერალური და მტკნარი წყლების; მსუბუქი ავტომობილების მიწოდება. მატებააა სხვა სახეობის საქონელშიც. იმპორტირებულ საქონელთა ჯგუფში, შესაძლოა, რომელიმეს მიმართ რუსეთიდან შემოტანის ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე განსხვავებული მოსაზრება გაჩნდეს, თუმცა ეს ის არის, რაც ჩვენ, ჩვენს ხალხს და ეკონომიკას სჭირდება. იგივე უნდა შევნიშნოთ ექსპორტის დინამიკაშიც. საქონლის მომწოდებლის ან გასაღების ბაზრის მოძიება მარტივი სულაც არ არის. ჩვენი ეკონომიკა ერთიან საბჭოურ სივრცეში თითქმის 70 წელი იყო ინტეგრირებული. ძველი კავშირ-ურთიერთობები დღემდე ქმნიან შენარჩუნების მოტივაციას, რაც ყველაზე ხელსაყრელია ბაზრის სიდიდის, ჩვენი პროდუქციის ჯერ კიდევ დაბალი ხარისხის, სტანდარტებთან შესაბამისობის თუ სხვა პარამეტრების გამო. მომწოდებლის ჩანაცვლება ურთულესი პრობლემაა. უმკაცრეს კონკურენტულ პირობებში ახალი ბაზრების დივერსიფიკაცია, საქონლის ექსპორტზე გატანა ვილაცის სურვილით ან ოპოზიციის ახირებებით არ წყდება - არსებული ბაზრის ჩასანაცვლებლად უდიდესი შრომა, წარმოების კულტურის ამაღლება, სტანდარტების დაცვა და უთვალავი გარემოებაა გადასალახი. წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა ხორბალი და მისი პროდუქტები რუსეთისგან რომ არ მივიღოთ? მისი ჩამნაცვლებელი დღეს სხვა არავინაა. საკუთარი წარმოება მოსახლეობის მოთხოვნილების მცირე ნაწილსაც ვერ აკმაყოფილებს.

რადიკალურად განწყობილ და ურთიერთობების ძალადობრივი გზით გარკვევის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ მხოლოდ დაპირისპირებით, იარაღის გამოყენებით ან უმკაცრესი სანქციებით არის შესაძლებელი რუსეთის დაჩოქება, განადგურება, დაშლა. ცივილიზაციის განვითარების ისტორია მოწმობს, რომ დაპირისპირებასა და ომს მხოლოდ ნგრევა და ათასი სხვა უბედურება მოაქვს. ახლა ამას გაუაზრებელი სრულმაშტაბიანი სანქციებიც დაემატა. ომში ირიბად ჩართული სახელმწიფოების მიერ ამ სანქციებზე მიერთება ახალი უგუნურობა აღმოჩნდა, რამდენადაც მას ომის მსვლელობასა და შედეგებზე, ფაქტობრივად, კეთილმყოფელი გავლენა არ მოუხდენია. ფაქტია, რომ ამ სანქციებმა ვერ ჩააცხრო დიდმპყრობელური რუსული შოვინიზმი და ვერც მისი ეკონომიკა მოშალა, საომარი მოქმედებებიც არ შეწყვეტილა. სამაგიეროდ, პლანეტის ყველა მოსახლის (ერთეული გამონაკლისის გარდა) ცხოვრება გააძვირა და გაართულა. ყველამ შენიშნა, რომ სანქციები მძიმედ ურტყამს მხოლოდ რიგით მოქალაქეს, რომელსაც ომი არ სურს. სანქციებს რუსეთის ეკონომიკაზე გავლენა აქვს, თუმცა არანაკლებ იზარალეს სხვა ქვეყნებმაც. სარგებელს მხოლოდ იარაღის მწარმოებლები და მიმწოდებლები ნახულობენ. ამ გადასახედიდან სავსებით გამართლებულია, რომ საქართველო ამ სანქციებს არ შეუერთდა და რუსეთთან დაპირისპირების ახალი კერები არ გახსნა. სხვა შემთხვევაში ზიანიც მეტი იქნებოდა, ვიდრე ეს უკრაინაში მიმდინარე ომის გამო საქართველოს უკვე მიადგა.

**— რა გველის იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ბაზარს ყველა მიმართულებით ჩაკეტავს?**

— თემის გაგრძელებისთვის ლოგიკური კითხვაა. მაგრამ მოდი, რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებს ასეთი პერსპექტივით ნუ შევხედავთ. თქმაც არ არის საჭირო, ისედაც ყველამ იცის, რომ სახელმწიფოთა შორის რუსეთი განსაკუთრებულად რთულად პროგნოზირებადი ქვეყანაა. შესაძლოა, მისი ჩანაფიქრი ამოიცნო და ინტერესები გაითვალისწინო, მაგრამ სად გადის მისი დამპყრობლურ-შოვინისტური რესურსების ზღვარი, რას მოიმოქმედებს, ძნელი წარმოსადგენია. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია, მისი ფართობის 20% თავისი მორჩილების ქვეშ მოაქცია, ათასობით სიცოცხლე შეიწირა. ისტორიულ წარსულშიც მუხანათურად გვექცეოდა. ახლა სამხედრო ალიანსებში გაწევრიანებას გვიზღუდავს. მეტი რაღა უნდა ქნას? მაგრამ ბრმა და შლეგია ის, ვინც არ იცის და არც უნდა გაიგოს, რომ რუსეთი გიგანტი, უზარმაზარი რესურსების მქონე მეზობელი და ყველასთვის ანგარიშგასაწევი ზესახელმწიფოა. მასთან ნიშნის მოგებით, გაბუტვით ან დაპირისპირებით ურთიერთობების გარკვევა აბსოლუტურად უნაყოფო და არაპროდუქტიულია. გიგანტებთან შერკინების დროს ჭკუა-გონება და ხერხია საჭირო. დედის გინება, ან ოკუპანტებისთვის შარვალჩახდილი უკანალის მოშვერა სასიკეთოს არაფერს მოიტანს. ამით მხოლოდ ჩვენ ვიზარალებთ, ეკონომიკას კი არაფერი შეემატება. სულელური მოლოდინია, თითქოს, რუსეთი ამ ომში დამარცხდება, უკრაინა გაიმარჯვებს და მერე შვებით ამოვისუნთქებთ - იმდენად დიდია ნგრევის მასშტაბები, რომ ვინმეს გამარჯვებაზე მსჯელობაც კი ზედმეტია. ცხადია, ომისგან სარგებელს ვინმე აუცილებლად მიიღებს და ეს ომიც ოდესღაც დამთავრდება. ერთადერთი გამოსავალი აქ მოლაპარაკებაა, რაც ყველა ნიშნის მიხედვით, რთული, ხანგრძლივი და მძიმე იქნება. მაგრამ მანამდე რატომ უნდა ვანგრიოთ ის, რაც გადარჩენილია? რატომ უნდა გავწყვიტოთ ის ბეწვის ხიდი, რომელზეც ვდგავართ? რატომ უნდა გავიღოთ ადამიანური მსხვერპლი? ზოგი ტვინამღვრეული ამ უგუნურობას განვითარებისა თუ უკეთესი მერმისისთვის გაღებულ წმინდა მსხვერპლად წარმოაჩენს. კავშირების გაწყვეტაზე მოწოდებები და ძალისმიერი აზროვნება კაცობრიობას მომავალს არ უქმნის!

**დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, მაგრამ არა სისხლისღვრით, იარაღითა და ადამიანური მსხვერპლით. ყველა პრობლემა ქვეყნებს, ხალხებს და ადამიანებს შორის მხოლოდ მოლაპარაკებებით უნდა წყდებოდეს. უიარაღოდ ბრძოლა უფრო რთულია — გონიერებას, გამოცდილებას, წინდახედულობას საჭიროებს.**

მოდი, დავუბრუნდეთ თქვენს შეკითხვას. პირდაპირ გეტყვით: რუსეთი ბაზარს ვერ ჩაკეტავს. რუსეთი ყველას სჭირდება. რუსეთსაც სჭირდება ინექციები და კავშირ-ურთიერთობების გაგრძელება. უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ არც ევროკავშირს გაუწყვეტია საქონელგაცვლა რუსეთთან და, თქვენ წარმოიდგინეთ, უკრაინაც კი ნავთობს (ლეგალურად თუ ევროპიდან იმპორტირებული დოკუმენტებით) რუსეთიდან იღებს. რუსეთის ბუნებრივი რესურსების (ენერგომატარებლების) ძირითადი ნაწილი უკრაინის ტერიტორიაზე გამავალი ქსელით მიეწოდება დასავლეთს და ომის მსვლელობის პერიოდში ამ ქსელის არცერთ მონაკვეთზე შემთხვევითი დაზიანებაც კი არ მომხდარა. რუსული გაზის ტრანსპორტირების უზრუნველყოფისთვის უკრაინა ახლაც მნიშვნელოვან შემოსავლებს იღებს. ძნელი წარმოსადგენია, თუმცა სახელმწიფოთა ურთიერთობებსა და ბიზნესკომპანიების ინტერესებს ბევრი პარადოქსი ახასიათებს, მათ შორის, ცნობილია, რომ აშშ და დიდი ბრიტანეთი მესამე რაიხს უზარმაზარ ფინანსურ დახმარებას უწევდა, ამ ფინანსური დახმარებით დამზადებული სამხედრო აღჭურვილობა კი ამერიკელ და ინგლისელ ჯარისკაცებს უმოწყალოდ ხოცავდა. ასეთი პარადოქსები დღესაც ბევრია - უკრაინისთვის მიწოდებული ნებისმიერი საბრძოლო ტექნიკა, ჭურვი თუ სამხედრო აღჭურვილობა, რუსული შეიარაღებისა და ცოცხალი ძალის გარდა, უკრაინის ტერიტორიას ანადგურებს, უკრაინის მხარეს მებრძოლებს ხოცავს. ეს ომი მსოფლიოს ლიდერი ქვეყნების ხელისუფლებების უგუნური პოლიტიკის გამო დაიწყო და ენერგომატარებლებზე გავლენის გადანაწილებისთვის არის ინსპირირებული. ამ ომის მიზანი კავშირ-ურთიერთობების გაწყვეტა კი არა, მისი გადანაწილება და ახალი წესრიგის დამკვიდრებაა.

უკრაინაში მიმდინარე ომმა უკვე მოახდინა მძიმე ნეგატიური გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. ჩვენი ეკონომიკა ჯერ ძლიერ სუსტია, რუსეთთან კავშირ-ურთიერთობის გაწყვეტა კიდევ უფრო დაგვაზარალებს, რაც წარმოუდგენელ ეკონომიკურ კრახს გამოიწვევს.

როგორც უკვე აღვნიშნე, რუსეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საექსპორტო ბაზარია. გასულ წელს საქართველომ 610 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროდუქტი გაყიდა, რაც მთლიან ექსპორტში 14,4 %-ია. ეს ცოტა არ არის. საყურადღებოა, რომ ღვინის ექსპორტის 67 პროცენტი რუსეთზე მოდის, მინერალური წყლების — 57 პროცენტი და ფეროშენადნობის 53 პროცენტი ასევე რუსეთში გადის. ამ ბაზრის დაკარგვა, ვიდრე სხვა ალტერნატივა არ ჩანს, საქართველოს ეკონომიკას დაანგრევს. საქართველოდან რუსეთში ექსპორტი არ გაწყდება. რუსეთთან ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები გაგრძელდება, თუმცა უკრაინაში მიმდინარე ომისა და დაწესებული სანქციების გამო საქონლის მიმოქცევა უაზროდ გართულდება და გაძვირდება კიდეც.

**— საქართველოსა და რუსეთს შორის საავიაციო მომოსვლა განახლდა. რუსეთის ოცამდე ქალაქიდან თვეში დაახლოებით ასი ათასი რუსეთის მოქალაქე შემლებს შემოსვლას. რა პრობლემებს ხედავთ ამ მიმართულებით?**

— ფრენების აღდგენა კავშირ-ურთიერთობების ნაწილია. ცალმხრივი, ღია საზღვარი ჩვენ მანამდეც გვქონდა და რუსეთის მოქალაქეებიც შემოდიოდნენ. უბრალოდ, ფრენების გახსნით მიმოსვლა უფრო სწრაფი და კომფორტული გახდა. აქვე ვიტყვი, რომ არ მგონია, საქართველომ რომელიმე სანქცირებულ კომპანიას გაუხსნას ცა. ფრენების აღდგენაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. პირიქით, მეტი შესაძლებლობები გაგვიჩნდა, რომ ეს ურთიერთობები გავაძლიეროთ, ან კორექტივები შევიტანოთ. სხვას რომ თავი დავანებოთ, იზრდება ვიზიტორთა რიცხვი, ყოველ ვიზიტორს შემოსავალი მოაქვს. ვინც ჩვენთან მოდის, ყველა ჩვენი მტერი არ არის. ეს შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ.




**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# კინოცენტრი დამნაშავეების ბუდე იყო



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე:*

**— ბატონო ლევან, კინემატოგრაფისტების პროტესტი კვლავ გრძელდება. მისი თქმით: ქართული კინო საფრთხეშია. რეალურად, რა ხდება?**

— რეალურად, თუკი ვინმემ კინოცენტრის მიმართ პროტესტი უნდა გამოხატოს, ეს მე ვარ. მავანი გვსაყვედურობს: სად ხართ, თქვენი აზრი გამოხატეთო. მათ მინდა შევახსენო, რომ აზრი უკვე გამოვხატე 2013 წელს, როდესაც კულტურის სამინისტროს შენობის წინ თხუთმეტი დღე ვიშიმშილე. ჯერ კიდევ მაშინ ჩემთვის ცნობილი გახდა იმ საიდუმლო სქემების, მანიპულაციების შესახებ, რითაც კინოცენტრი თავისი არსებობის დღიდან ხელმძღვანელობდა. ახლა რომ გაჰყვირიან: ქართული კინო საფრთხეშიაო, მაშინ, როცა მე ვშიმშილობდი და პროტესტს გამოვხატავდი, ეს ხალხი იქ არ მინახავს. იმ დროს თავს ყველანი კარგად გრძნობდნენ — იღებდნენ ფილმებს, წითელ ხალიჩებზე დასეირნობდნენ. ღმერთმა შეარგოს, ვინც ღირსეულია. კინოცენტრი დამნაშავეების ბუდე იყო. ვინმეს დასჯას როდი ვითხოვ, მაგრამ დანაშაულებრივი ქმედებები უნდა აღიკვეთოს და ჯანსაღი კონკურენტული გარემო შეიქმნას. კი ბატონო, კონკურსებში ახალგაზრდებმაც გაიმარჯვონ და ძველგაზრდებმაც, მოკლედ, ნიჭიერებას გზა მიეცეს.

კულტურის სამინისტროს წამოწყებულ რეორგანიზაციაში პრობლემას ვერ ვხედავ. ვეთანხმები, რომ კინოცენტრში ბევრი უმსგავსობა ხდებოდა, რასაც წერტილი უნდა დაესვას. რამდენიმე დღის წინ ამ საკითხზე მინისტრთან შეხვედრა გაიმართა. კინორეჟისორებმა ჩვენი აზრი დავაფიქსირეთ. პროტესტანტები შეხვედრაზე არ მოვიდნენ. მათ ვურჩევ: დამშვიდდნენ, ადამიანური სახე მიიღონ და თავიანთი წინადადებებიც გაგვაცნონ, თუ რაში ხედავენ გამოსავალს. ასე არ შეიძლება, ქარბუქი არაფრის გამო ატეხეს: რატომ ჩაერია ჩვენს საქმეში კულტურის სამინისტროო. მიმაჩნია, რომ სამინისტრო ნამდვილად უნდა ჩარეულიყო და გაცილებით უფრო ადრეც. ხალხმა რომ იცოდეს, რა ხდებოდა კინოცენტრში, გაგიჟდება.

**— რას გულისხმობთ?**

— წარმოიდგინეთ, რომ ერთდროულად ოთხი — მხატვრული სრულმეტრაჟიანი, მოკლემეტრაჟიანი, დოკუმენტური და ანიმაციური პროდუქციის ფილმების კონკურსი მიმდინარეობს. პირს, რომელიც მხატვრული ფილმების კონკურსის ჟიურის წევრია, პარალელურად, პროექტი დოკუმენტური ფილმების კონკურსზე შეაქვს. ეს უკვე დანაშაულია. ის ვიღაც კონკრეტულს ქულას უწერს და მერე თავად დოკუმენტური ფილმების კონკურსში იმარჯვებს. ხუთი ქულა უცებ ნულად გადასწორდებოდა ან ოთხ ქულად და საბოლოო ჯამში, ერთი ქულა ყველაფერს წყვეტდა. ეს საკუთარ ტყავზე გამოვცადე — ოცდაორი წლის განმავლობაში კინოცენტრში პროექტი შემქონდა და ვერასდროს გავიმარჯვე. სხვაზე ნაკლები პროფესიონალი ნამდვილად არ ვარ. განა ჩემს მიერ მოყვანილი ფაქტი საკმარისი დანაშაული არ არის? — როცა ერთი კონკურსის ჟიურის წევრი, მეორე კონკურსში თავად იმარჯვებს?! ან ის არაფერს ნიშნავს, როცა ძმა — კონკურსის წევრი, ძმა — რეჟისორს გამარჯვებისკენ გზას უხსნის, რათა მან სახელმწიფო დაფინანსება მიიღოს. კონკურსმა კონკურსის სახე უნდა მიიღოს. დღეს პროტესტს ვინც გამოთქვამს, იცით რა არის მათი წუხილი? — ისინი ფულის მიღების შანსს კარგავენ. მთელი ჩემი ცხოვრება კინოცენტრს შევწირე. ამ უსინდისოებთან ბრძოლას ჩემი მეუღლე შეეწირა. არ მინდა, იგივე საკუთარ თავზე ახალგაზრდებმაც იწვნიონ. ამიტომ, ვინც დღეს სასტვენით დარბის, თუ ამ პროფესიასთან მართლა რაღაც შეხება აქვს, სჯობს დამშვიდდეს. დანაშაულებრივი სქემებით მუშაობა ველარ გაგრძელდება, ამას წერტილი უნდა დაესვას. მიმდინარეობს რეორგანიზაცია, რაშიც ცუდს ვერაფერს ვხედავ.

**— პირები, ვინც პროტესტს სტვენითა და მაგიდაზე ხელების ბრახუნით გამოხატავენ, აცხადებენ, რომ საქართველოში კინოინდუსტრია რეპრესირებულია...**

— რეპრესირებული ვარ მე. ფილმში — „მტერი ჩემი — ძმა ჩემი“ ქართველ კაცს, წაგებულ ომში, ღირსება დავუბრუნე. ეს ფილმი მე და ჩემმა მეუღლემ დიდი წვალებით გადავიღეთ. ხალხი მას ერთ-ერთ საუკეთესო ფილმად თვლის. მთავარი ჯილდო ჩემთვის სწორედ ხალხის აღიარება და სიყვარულია, სხვა არ მჭირდება. კინოცენტრმა „მტერი ჩემი — ძმა ჩემი“ ყველგან დაბლოკა, არც რომელიმე ფესტივალზე გასაგზავნად წარუდგენია. აი, ეს არის რეპრესია. 2006 წელს, როცა ხალხი მობილურიდან სიმ-ბარათს იღებდა, გვერდით ოთახში ტოვებდა და ისე საუბრობდა, რათა მისთვის არ მოესმინათ, სწორედ ამ დროს, მე ირინა ენუქიძეზე ფილმი გადავიღე, რის გამოც სტუდია დამიწვეს. აი, რას ჰქვია რეპრესია. ესენი რომელ რეპრესიებზე ლაპარაკობენ? დამნაშავე პირმა რომ პოსტი უნდა დატოვის, ეს არის რეპრესია?! ღმერთმა შეუნდოთ დანაშაული, მეტს ნუღარ სცოდავენ და საქმის საკეთებლად წესიერი ხალხი მიუშვან.

**— რეორგანიზაციასთან ერთად, კინოცენტრის თანამშრომლები ბაჩო ოდიშარიას დანიშვნასაც აპროტესტებენ. მიზეზი რა არის?**

— ვინც არ უნდა დაენიშნათ — ბაჩო ოდიშარია, ლევან ანჯაფარიძე თუ სხვა, მაინც იგივე ამბავი ატყდებოდა, რადგან მათ მთავარი კოზირის დაკარგვა არ უნდათ. საქმე ისაა, რომ კინოცენტრი სახელმწიფოსგან, თუ არ ვცდები, ხუთი მილიონი ლარით ფინანსდება. აი, ამ ფულის დაკარგვა არ უნდათ. ეს არის პრობლემა. ბაჩო ოდიშარია მათ რიგებში არ მოიაზრება. პირდაპირ გეტყვით: ეს არის ნაცბანდა. კინოცენტრში რევიზია რომ შევიდა, დარღვევის უამრავი ფაქტი გამომჟღავნდა. ეს დაგვიანებულიც კი იყო. ამ ფაქტებს სახელმწიფოს ჯერ კიდევ 2013 წელს ვაწვდიდი.

თქვენი ნებართვით, რამდენიმე დღის წინ გამართულ შეხვედრას დავუბრუნდები. კულტურის მინისტრმა შემოგვთავაზა: მივაწოდოთ წინადადებები, თუ როგორ უნდა იმართოს კინოცენტრი. შეხვედრაზე ბევრი საინტერესო აზრი გამოითქვა.

**— ბატონო ლევან, ქართული კინოს მაგალითზე, კულტურული რეგრესი თვალსაჩინოა. დღეს გადაღებული ქართული ფილმები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.**



**უცხოურ ფესტივალებზე აგზავნიან ფილმებს, სადაც ქართველი კაცი დაკნინებულია**

— უამრავი პრიზი მაქვს მიღებული, მაგრამ მაყურებლის სიყვარულზე დიდი ჯილდო ჩემთვის არ არსებობს. „ორმაგი სახის“ ეკრანებზე გამოსვლის მერე, ხალხმა იმ ნატაძრალს, სადაც ეს ფილმი გადავიღე, მამაშვილობის ტაძარი შეარქვა. ამას რომელი ჯილდო შეედრება. უკვე ვახსენე, „მტერი ჩემი — ძმა ჩემი“, სადაც წაგებულ ომში ქართველ მეომარს ღირსება დავუბრუნე. დღეს გადაღებული ფილმების დიდი ნაწილი კრიტიკას მართლაც ვერ უძლებს. სხვათა შორის, გაკეთდა გადაღებული ფილმების სია, რომელთაგან არცერთი არ გამიგია. თანაც, ეს ფესტივალებზე გასაგზავნი ფილმების ჩამონათვალია. ბოლოს, გინახავთ რა ფილმებს იღებს კინოცენტრი? — უმრავლესობა ძალიან მდარე გემოვნებისაა. ამ ფილმების უმრავლესობას — ასიდან ოთხმოცდაცხრამეტს ქართველი მაყურებელი ვერასდროს ნახავს. რატომ? — ისეთი გადაღებაა, მისმა ავტორმა იცის: ეს რომ საქართველოში ქართველ ხალხს აჩვენოს, ჩაქოლავენ. ეს ფილმები მხოლოდ უცხო ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი. იგივე, ლგბტ-ს თემატიკა ავიღოთ. კი ბატონო, გადაიღონ ამ თემატიკაზე ფილმები, მაგრამ ხომ არ შეიძლება იერი, სახე, ეროვნება დაკარგო. სადაც ცხოვრობ, იქაური ქუდი არ უნდა გეხუროს?! საკუთარ ქვეყანაში სხვისი ქუდით სიარული არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, ინტერესიც არ აქვთ, ფილმი საქართველოს მაყურებელს აჩვენონ, არამედ მხოლოდ ფესტივალზე წაიღონ და იქ ჩაწყობით რაღაც პრიზი მიიღონ.

აქვე, ერთ პრობლემაზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. მაგალითად, ომის თემატიკაზე გოგა ხაინდრავამ „ოცნებების სასაფლაო“ გადაიღო, ზაზა ურუშაძემ — „მანდარინები“, მე — „მტერი ჩემი — ძმა ჩემი“ და სხვა, სადაც კონფლიქტების მოგვარებაზეა საუბარი. მაგრამ არსებობს ფილმები, რომელთაც სპეციალურად იღებენ და სადაც ქართველი კაცი დაკნინებულია — ის ან ავადმყოფია, ან მშობლები ჰყავს ცუდი. ხალხმა უნდა მოითხოვოს, აჩვენონ, რა ფილმებს იღებს კინოცენტრი. შეფასება და გადაფასება უნდა მოხდეს, წვლილის დანახვა, ვის რა გაუკეთებია. ჩვენი დონის რეჟისორები, ისეთ კონკურსებში, სადაც დებიუტანტებს შეაქვთ თავიანთი ნამუშევრები, არც უნდა იღებდნენ მონაწილეობას. არავის ვაკნინებ, შეიძლება ვიღაც გენიოსი აღმოჩნდეს, მაგრამ ხომ არ შეიძლება ოცი წლის გოგო ან ბიჭი კომისიაში იჯდეს, ცნობილ რეჟისორს აფასებდეს, ეს არ ეკადნიერებოდეს და თან წინასწარ იცოდეს ვის უნდა გაამარჯვებინოს! კულტურის სამინისტრო ამ საქმეს ბოლომდე უნდა მიჰყვეს.

**— თქვენ აღნიშნეთ ფესტივალებზე ისეთი ფილმები გადის, სადაც ქართველი კაცი დაკნინებულად არის წარმოჩენილიო. მიზანი?!...**

— ვერ ხედავთ, ქვეყნის გარშემო რა ხდება — ერთი კაცის ოჯახი ცდილობს მონახვეჭი ქონება არ დაკარგოს და მსოფლიოს ფულს უხდის იმაში, რომ საქართველოს სანქციები დაუწესონ! ამიტომ, ხდება ასე წარმოჩენა — ქართველი ან ავადმყოფი უნდა იყოს, ან დედა ჰყავდეს ბოზი, ან მამა ახვარი და ა.შ. აი, ასეთი პორტრეტი იქმნება ქართველ ადამიანზე, რათა მის მიმართ ყველა აგრესიით განეწყოს. დიახ, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება — ყველაფერი იქეთკენ მიდის, რომ ქვეყანა, ერი ავადმყოფად დაანახონ. მათ ღირსებაშემკული ქართველის ნახვა არ უნდათ.

**— ერები რომელთაც ჩვენხელა კულტურა არ ჰქონიათ, ცდილობენ კინოს ენით ისტორია შექმნან და საკუთარი თავი დანარჩენ მსოფლიოს გააცნონ. საქართველოს ისტორია ამოუწურავი კინომასალაა, თუმცა ჩვენ დავით აღმაშენებელზეც კი ვერ გადავიღეთ სერიოზული ფილმი. თურქებმა სერიალში „დიდებული საუკუნე“ დიდი კულტურის ერად წარმოაჩინეს თავი. ჩვენც ხომ გვქონდა ჩვენი დიდებული საუკუნე, რატომ არის ეს კუთხეში მიმწყვდეული?**

— ძალიან გულსატკენ თემას შეეხეთ. არ მინდა სხვა ერებს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ძალიან ბევრი ზღაპარს, ლეგენდებს თხზავს, რათა საკუთარი ერი წარმოაჩინოს და მსოფლიოს დაანახოს. ჩვენ ამდენი სალაპარაკო გვაქვს და არ ვლაპარაკობთ, რადგან ჯერ ერთი ფინანსები არ არსებობს. მეორეც, უცხოეთში კინოცენტრს მხოლოდ თავისიანები გაჰყავს. იქ ფული თეთრდება, რასაც ვერ ელევიან.

დააკვირდით, სახელწოდებას — „ეროვნული კინოცენტრი“. ჟურნალისტებმა მკითხეს: კინოცენტრმა მარტო ეროვნული ფილმები უნდა გადაიღოსო. დიახ, რადგან ეროვნული ჰქვია, ასეც უნდა იყოს. თუმცა, სხვა თემატიკაც გადაიღოს, მაგრამ ერთი ეროვნული ფილმი არ უნდა გავიდეს ფესტივალზე?! როდემდე უნდა წარმოვაჩინოთ თავი ავადმყოფ ერად და ქვეყანად?! აი, ესაა რეპრესია.

**— ბოლოს, თქვენი სამომავლო გეგმების შესახებაც გვითხარით.**

— მინდა, ანიმაციური ფილმიც გადავიღო. ჩემი პირველი ფილმი არაერთ პრობლემას მივუძღვენი, მათ შორის, ნარკოტიკის თემასაც. ყოველთვის ნოვატორი, აქტუალური რეჟისორი გახლდით. ვიღებდი დოკუმენტურ ფილმებსაც, სამეცნიეროსაც. გადავიღე ფილმები 7 ნოემბერზე, 26 მაისზე, ირინა ენუქიძეზე, ია მეტრეველზე. ვისაც მზე დააკარგიეს და დღე არ გაუთენეს, ყველაზე მაქვს ჩანახატი გაკეთებული. დაბრუნდება დრო, როცა ჩემი მოქმედების არეალის გაფართოებას შევძლებ. მათ ცხოვრება წამართვეს. თავად კი თბილი სავარძელი რომ გამოეცალათ, იმას აპროტესტებენ. იმედია, ქართული კინო ისევ ის ფენომენი იქნება, რაც ძველად იყო. ძალიან მინდა ქართველ კაცს კინოთეატრში წასვლის, პრემიერაზე დასწრების განცდა დავუბრუნო. დღეს ბევრს საუბრობენ ქალაქისა და სოფლის ინტეგრაციაზე. შესანიშნავ მხატვარს ეკატერინე მუხაძეს გაუჩნდა ამ ინტეგრაციის იდეა. ამჟამად ერთ-ერთ რაიონში ერთად ვაკეთებთ პროექტს, რაც ითვალისწინებს კინო-კლუბის, სამხატვრო გალერეის, საკონფერენციო დარბაზის მოწყობას. ქალაქიდან სოფელში ბევრი ხელოვანი წავიდა, მაგრამ მაინც თავის ნაჭუჭში არიან ჩაკეტილნი. ვფიქრობ, ჩემი რაიონში გადაბარგება სიხარულს, კარგ განცდებს, დადებით ემოციებს გამოიწვევს, რაც შეიძლება იმ მივიწყებულ ადამიანებს, რომლებიც პერიფერიებში ცხოვრობენ ფილმმა, ნახატმა, ლექსმა და ა.შ. მოუტანოს. კულტურის სამინისტრო პერიფერიების მოღონიერებით ქმედით ნაბიჯებს დგამს. ჩემი ნაბიჯიც თვალშისაცემი იქნება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

# მსოფლიოში არამდგრადი პოლიტიკური ამინდია მოსალოდნელი

კლიმატურთან ერთად, მსოფლიოში პოლიტიკურადაც არამდგრადი ამინდია მოსალოდნელი — პაპანაქება სიცხეს წარღვნა და გრიგალი ენაცვლება. ანალიტიკოსების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ამერიკის შეერთებული შტატები მოექცა. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთ წელზე მეტია დარჩენილი, მაგრამ თეთრი სახლისთვის ბრძოლა ყოველდღიურად მწვავდება. მოქმედი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, ასაკისა და ჯანმრთელობის საეჭვო მდგომარეობის მიუხედავად, მეორე ვადითაც აპირებს დარჩენას თეთრ სახლში. თუმცა, როგორ შეძლებს აგორებული სკანდალების ფონზე ამომრჩევლის გულის მოგებას, უცნობია. გასულ კვირას კონგრესში ჰანტერ ბაიდენის ბრალდებებზე მსჯელობდნენ. რესპუბლიკელმა კონგრესმენმა მარჯორი ტეილორ გრინმა ჰანტერის პორნოგრაფიული ფოტოები წარმოადგინა. მას, ასევე, ედავებიან გადასახადებისგან თავის არიდებას.

როგორც მოსალოდნელი იყო, დემოკრატები ბრალდებებს არ ეთანხმებიან. პრეზიდენტის შვილის გასამართლებლად მათი არგუმენტები არადამაჯერებელი და უსუსურია. მამა-შვილ ბაიდენებს ერთობ მძიმე ბრალდებებს უყენებენ რესპუბლიკელები. დანაშაულის ფაქტები ჰანტერმა საკუთარი ხელით გაასაჯაროვა, როდესაც შესაკეთებლად დატოვებული ნოუთბუქის წასაღებად 2020 წელს თავი არ შეიწუხა. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მაშინ საქმეს მსვლელობა არ მისცა, პრესას კი მასალებისა და ფოტოების გამოქვეყნება აუკრძალა.

ამჯერად კონგრესში მიიწვიეს საგადასახადო სამსახურის ინსპექტორი ვინმე ჯეფრი ზინგლერი, მან განაცხადა, რომ საჯარო გამოსვლით იგი საფრთხეში აყენებს საკუთარ სიცოცხლეს, მაგრამ ჩვენება მაინც მისცა. ზინგლერის თქმით, ბაიდენების მიერ კანონის დარღვევის შესახებ მის სამსახურში იცოდნენ, მაგრამ პროკურორების მითითებით საქმეები იბლოკებოდა.. კონგრესში ჰანტერ ბაიდენი პირდაპირ დაადანაშაულეს პარტნიორთან ერთად დიდი რაოდენობით ქრთამის აღებაში. გაირკვა, რომ ჰანტერი სუსტი ყოფაქცევის ქალების მომსახურების თანხებს, საოფისე საჭიროებისთვის ხარჯებში ატარებდა. საინტერესოა, რომ კონგრესში, სადაც ბაიდენების საკითხები განიხილებოდა, ეკოაქტივისტებმა აქცია მოაწყვეს კლიმატის გაუმჯობესების მოთხოვნით.

მძიმე ბრალდებების მიუხედავად, ჯო ბაიდენს საკუთარ პარტიაში მხარდამჭერები მრავლად ჰყავს. კონგრესის ყოფილმა სპიკერმა ნენსი პელოსმა გასულ კვირას განაცხადა: „...ბედნიერებაა, რომ იგი (ჯო ბაიდენი) ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტია. მისი ასაკის მიუხედავად, თუმცა, ჩემზე უმცროსია, ბავშვია, იგი მეორე ვადითაც უნდა ავირჩიოთ“. ბავშვობა მართლა გაიხსენა ბაიდენმა, როდესაც ისრაელელ კოლეგას შეხვდა. ჯერ ჩაეძინა, ჩაყვინთა, შემდეგ რაღაც ილაპარაკა, მაგრამ რა თქვა, ვერავინ გაიგო.

კონკურენტები ჯო ბაიდენს საპრეზიდენტო არჩევნებში მრავლად ეყოლება. ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპია. თუმცა, შეძლებს თუ არა იგი არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, ჯერ კიდევ სათუოა, რადგან მასზე სისხლის სამართლის რამდენიმე საქმის აღძვრას ცდილობს პროკურატურა. 2021 წლის იანვარში კაპიტოლიუმის შენობაში შეჭრის ორგანიზების ბრალდება კვლავ ძალაშია. გასული კვირის მიწურულს ცნობილი გახდა, რომ სპეცპროკურორმა ახალი ბრალდება წაუყენა ტრამპს — მისი პრეზიდენტობისას, 2020 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევა და ამომრჩეველზე ზეწოლა. პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ პირველი შემთხვევაა, როდესაც მოქმედი პრეზიდენტი იუსტიციის სამინისტროს იყენებს არჩევნებში კონკურენტის ჩამოსაშორებლად.

არჩევნებში, ბაიდენს, შესაძლოა, თანაპარტიელი რობერტ კენედიც (უმცროსი) დაუპირისპირდეს. თუმცა, დემოკრატების უმრავლესობა არჩევნებში მისი მონაწილეობის წინააღმდეგია. თუ თანაპარტიელების მხარდაჭერა არ ექნება, კენედი როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, ისე იყრის კენჭს. თუმცა, საამისოდ დაფინანსება სჭირდება, რაც დღეს მწირი აქვს — 7 მილიონი ბაიდენის 70 მილიონის წინააღმდეგ. თუმცა პოლიტიკაში, მით უფრო აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში, ყველაფერია მოსალოდნელი. გავიხსენოთ ისტორია: ზუსტად 55 წლის წინათ, 5 ივნისს მოკლეს უფროსი რობერტ კენედი. მართალია, მისი მკვლელობის ბრალდებით ერთ პირს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ რეალურად დანაშაული გაუხსნელად ითვლება, როგორც მისი ძმის, პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობა. უმცროსი რობერტ კენედის განცხადებით, პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენებით საფრთხე ელოდება და ამიტომაც აპირებს უსაფრთხოების ზომების გაძლიერებას. დაველოდოთ აშშ-ში პოლიტიკური მოვლენების განვითარებას, რაც მსოფლიოსთვისაც მნიშვნელოვანია.



სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა გასულ კვირას ახლო აღმოსავლეთში. ერაყის დედაქალაქ ბაღდადში გრანდიოზული საპროტესტო აქცია გაიმართა შვედეთის საელჩოსთან. რამდენიმე ასეული ადამიანი შენობაში შეიჭრა, დაარბიეს და დაწვეს საელჩოს შენობა და შვედეთის დროშები. შვედეთის ხელისუფლებამ წინასწარ განახორციელა დიპლომატების ევაკუირება. ერაყელების განრისხება შვედეთში განხორციელებულმა აქციამ გამოიწვია — სტოკჰოლმში ერაყის საელჩოსთან კვლავ დაწვეს მუსლიმთა წმინდა წიგნი ყურანი. იქვე დაიქადნეს, რომ ქმედებას გაიმეორებდნენ. შვედებმა პირობა შეასრულეს ორი დღის შემდეგ, მაგრამ ამჯერად ყურანი კი არ დაწვეს, წიგნს ფეხით აბურთავებდნენ. ერაყელების გაღიზიანება იმ გარემოებამაც გამოიწვია, რომ აქცია ხელისუფლების მხრიდან სანქცირებული იყო, პოლიცია ყურანის დაწვას მშვიდად ადევნებდა თვალს. ხელისუფლებამ გააკრიტიკა ყურანის დაწვა, მაგრამ იქვე გაამართლა, ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლებააო.



შვედებს დანიელებმაც მიბაძეს და კოპენჰაგენში მათაც დაწვეს ყურანი. ამიტომ დანიის ხელისუფლებამ სპეცდანიშნულების რაზმის დახმარებით გაჭირვებით შეძლო დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლების ევაკუირება.

წმინდა წიგნის შეურაცხყოფა მტკივნეულად აღიქვეს მუსულმანურ და არაბულ ქვეყნებში, სადაც ფართომასშტაბიანი აქციები გამართეს. რას მოუტანს სკანდინავიის ქვეყნებს ვითარების ხელოვნურად გამწვავება მუსულმანურ სამყაროსთან, მომავალში გამოჩნდება. მუსულმანების პროტესტი ევროპას კარგს არაფერს მოუტანს.

გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ოფიციალურად განაცხადა შარშან სტამბოლში მიღწეული ე. წ. მარცვლეულის შეთანხმებიდან დროებით გასვლის შესახებ. ჩაიკეტება, ასევე, უკრაინის საზღვაო პორტებისთვის კორიდორი. ნებისმიერი გემი, რომელიც უკრაინისკენ გაემართება, რუსეთის მხრიდან იარაღის გადამზიდად ჩაითვლება და მის სამიზნე გახდება. პუტინის განცხადებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში განაახლებს რუსეთი ხელშეკრულებაში მონაწილეობას, თუ აშშ და ევროკავშირი მის პირობებს შეასრულებენ. რუსების მტკიცებით, ყირიმის ხიდზე შეტევები უპილოტო საფრენი აპარატებით ხორბლის გადამზიდი გემებიდან განხორციელდა. პუტინის თქმით, რუსეთი დამოუკიდებლად გააგრძელებს აფრიკის ქვეყნებისთვის ხორბლის მიწოდებას.

სიტუაცია უკრაინაში კატასტროფულია. მართალია, აშშ-ის ადმინისტრაცია ქვეყანას შეჰპირდა 1,5, მლრდ დოლარით დახმარებას, მაგრამ სიტუაცია დრამატული რჩება. მილიარდერი ილონ მასკი საკუთარ ხელისუფლებას მოუწოდებს, წარმოადგინონ ანგარიში, რაში იხარჯება უკრაინისთვის გამოყოფილი თანხები. პენტაგონშიც აღიარეს, რომ უკრაინისთვის გადაცემული იარაღი „შავ ბაზარზე“ უპრობლემოდ იყიდება. გასულ კვირას საფრანგეთში დააკავეს ბრიტანელი ცოლ-ქმარი, რომლებსაც უკრაინიდან გატანილი იარაღი, მათ შორის, ტანკსაწინააღმდეგო „ჯაველინებიც“ კი აღმოაჩნდათ. დაკავებულების მტიცებით, უკრაინაში სტუმრად იმყოფებოდნენ და შეიარაღება მასპინძლებმა საჩუქრად გადასცეს, რაც დაუჯერებელია.

დიდ დანაკარგებს განიცდის უკრაინის არმია ბრძოლის ველზე, რასაც უკვე თეთრი სახლის ადმინისტრაციაშიც ადასტურებენ. პრეზიდენტის თანაშემწემ თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანმა განაცხადა, რომ უკრაინელების კონტრშეტევები მძიმედ და დიდი დანაკარგებით მიმდინარეობს. თუმცა, იქვე შეეცადა, გაემართლებინა უკრაინელები: მათ ყველა შესაძლებლობა ჯერ არ გამოუყენებიათო, განაცხადა. აშშ-ის პრესა წერს, რომ ვაშინგტონში უკმაყოფილო და გაღიზიანებულები არიან უკრაინის პრეზიდენტის, ვლადიმერ ზელენსკის გაზრდილი მადით და თავხედობით: „...ისე იქცევა, როგორც განებივრებული ჭირვეული ბავშვი — მინდა და მომეცითო...“ — წერენ ამერიკელი ჟურნალისტები ზელენსკიზე. ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ბენ უოლესმა განაცხადა: „...უკრაინა სამხედრო ლაბორატორიად იქცა“.

საერთოდ, ზელენსკის პერსონა ბევრ ქვეყანაში მიუღებელი გახდა. გასულ კვირას გაიმართა ევროკავშირისა და ლათინური ამერიკის თანამშრომლობის სამიტი. ევროპელები დაჟინებით ითხოვდნენ ღონისძიებაზე ზელენსკის დასწრებას, მაგრამ ლათინოამერიკელების უმრავლესობამ სასტიკი უარი განაცხადა მის მიწვევაზე. ნიკარაგუას პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ ზელენსკის „ფაშისტი“ უწოდა.

არაოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ჩინეთში უხუცესი პოლიტიკოსი, აშშ-ის პოლიტიკის პატრიარქი ჰენრი კისინჯერი. მისი ვიზიტი ფართო საზოგადოებისთვის საიდუმლო და მოულოდნელი იყო. აღსანიშნავია, კისინჯერი პირველად 52 წლის წინათ იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით, რის შემდეგაც დათბა ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის. სტუმარი ახლაც საკმაოდ თბილად მიიღეს ჩინელებმა. თავდაცვის მინისტრმა ლი შანფუმ შეხვედრისას უთხრა: „...იმედია, აშშ ჩინეთთან მიმართებაში სწორ პოლიტიკას გაატარებს“. ამჯერადაც შეძლებს თუ არა პოლიტიკის პატრიარქი ორ ქვეყანას შორის დაძაბული ურთიერთობის განეიტრალებას, უახლოეს ხანში გამოჩნდება.

ორდღიანი ვიზიტით ჩავიდა რუსეთში ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო. სანკტ-პეტერბურგში პუტინთან შეხვედრისას მადლობა გადაუხადა მასპინძელს გასულ კვირას ხაზგასმით გამონათქვამზე: „ბელორუსზე ნებისმიერ შეტევას განვიხილავთ, როგორც რუსეთზე თავდასხმას“. პრეზიდენტებმა განიხილეს უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები. ლუკაშენკომ პუტინს შესჩივლა, რომ პოლონეთი ბელორუსის საზღვრებთან თავს უყრის ჯარს... საზაფხულო არდადეგების მიუხედავად, სამყაროში ბევრი საინტერესო ამბებია მოსალოდნელი.

გია ბურდული
551 71 27 07






# პოლიტიკოს ქალებზე განხორციელებული ძალადობა, ანუ ქალის ადგილი სამზარეულოშია

**პოლიტიკოსი ქალებს მამაკაცებზე უფრო ხშირად აყენებენ შეურაცხყოფას, უფრო ხშირად ემუქრებიან და რეალური ძალადობის მსხვერპლიც ისინი უფრო ხშირად ხდებიან...**

**2023 წლის 1-ელი იანვრისთვის, მსოფლიოს 31 ქვეყანაში 34 ქალს უკავია უმაღლესი თანამდებობები, სამინისტროებს საშუალოდ, ქალების 22,8 პროცენტი უდგას სათავეში, პარლამენტებში მათი რაოდენობა 26,5 პროცენტს შეადგენს.**

**მნიშვნელოვან თანამდებობებზე ქალთა ნაკლებობის ერთ-ერთი მიზეზი მათზე განხორციელებული ძალადობა და მათი დევნაა.**

**აგრესიული თავდასხმები პოლიტიკოს ქალებზე ყველა ქვეყანაში ხდება, განსაკუთრებით მათზე, ვინც ისეთ ქვეყნებში იცავენ ქალთა უფლებებს, სადაც ჯერ კიდევ პატრიარქატი მძლავრობს.**

**გამოცემა „გარდიანის“ მონაცემებით, დემოკრატიულ პრაიმერში მონაწილეობისას ჰილარი კლინტონი ტვიტერით ორჯერ მეტ მუქარას იღებდა, ვიდრე მისი ოპონენტი ბერნი სანდერსი. იგივე დისპროპორცია შეინიშნებოდა ავსტრალიაშიც, სადაც პრემიერ-მინისტრის პოსტისთვის იბრძოდნენ კევინ რადი და ჟულა გილარდი.**

**2020 წლის მონაცემებით, როცა ამერიკის კონგრესში არჩევნები ტარდებოდა, ტვიტერში განთავსებული ქალი-კანდიდატებისთვის განკუთვნილი შეტყობინებები 15%-ით მეტ შეურაცხმყოფელ სიტყვებს შეიცავდა. ამასთან, ეთნიკური უმცირესობების კუთვნილება ქალებისთვის უფრო მეტ რისკს შეიცავს ინტერნეტში აგრესიული თავდასხმებისთვის. მამაკაცებისთვის ასეთი კორელაცია არ შეინიშნება.**

**პოლიტოლოგიის პროფესორისა და წიგნის „ძალადობა პოლიტიკოსი ქალების მიმართ“ ავტორის, მონა ლენა კრუკის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმისა და მუქარის ობიექტები მამაკაცებიც ხდებიან, ქალების მიმართ გამოჩენილი აგრესია განსხვავებულია, რადგან ის მიმართულია უშუალოდ ქალების უფლების მიმართ, დაკავდნენ პოლიტიკით. „პრობლემა აქამდე ღიად არ განიხილებოდა, რადგან ქალები ამას პოლიტიკური თამაშის ნაწილად მიიჩნევდნენ და იღებდნენ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას აგრესიის დაფარვის შესახებ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ძალადობისა და მუქარის გამხელა მათ პოლიტიკურ კარიერაზე უარყოფით გავლენას მოახდენდა. ისინი, ასევე, ვარაუდობდნენ, რომ მათ დაადანაშაულებენ იმაში, რომ ყველაფერი, რაც მათ თავს გადახდათ, მათივე ბრალია“, — განაცხადა კრუკმა.**

**გთავაზობთ მუქარის, შეურაცხყოფისა და რეალური ძალადობის მსხვერპლთა რამდენიმე მაგალითს.**

**კამალა ჰარისი**. მის მიერ ვიცე-პრეზიდენტის პოსტის დაკავებისთანავე, სოციალურ ქსელებში გაჩნდა შეტყობინებები, რომ ყველა თანამდებობას კამილა „საწოლის გავლით“ იკავებდა. ამის შესახებ ტვიტერში 35 479-ჯერ დაწერეს, ყოველ საათში კი 300 ცილისმწამებლური პოსტი იდებოდა.

2020 წელს კალიფორნიის შტატის ასამბლეის ყოფილმა წევრმა სტივ ბოლდუინმა სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა პოსტი, სადაც წერდა, რომ ჰარისს კარიერულ წინსვლაში კალიფორნიის



საკანონმდებლო კრების სპიკერი ვილი ბრაუნი დაეხმარა, რომელთანაც სექსუალური კავშირი ჰქონდა. ეს პოსტი გახდა იმის მიზეზი, რომ ჰარისის მისამართით შეურაცხმყოფელი და ნეგატიური პოსტები ვრცელდებოდა. როგორც „ვაშინგტონ პოსტმა“ დაადგინა, ჰარისი მართლაც იყო ბრაუნის საყვარელი, რაც ეთიკის დარღვევაა, მაგრამ პირველ მნიშვნელოვანი თანამდებობაზე — ოლქის პროკურორად მასთან განშორებიდან რვა წლის შემდეგ დაინიშნა.

**ლაურა ბოლდრინი**. იტალიის ქვედა პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ ლაურა ბოლდრინიმ 2018 წელს განაცხადა, რომ ხუთი წლის განმავლობაში სექსისტური თავდასცმების მსხვერპლი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მატეო სალვინის მხრიდან. „ის მე ყველაფერში მადანაშაულებდა ტერაქტების ჩათვლით. ულტრამემარჯვენე ლიდერის სასტიკი თავდასხმები პოლიტიკურ დონეზე იყო ორგანიზებული, ეს მისი პოლიტიკური სტრატეგია იყო, — განაცხა-



და ბოლდრინიმ. — მე ქალი ვარ, ვიცავდი დევნილებისა და ქალების უფლებებს და არც ერთი პარტიის წევრი არ ვიყავი. ასე რომ, შესანიშნავი მიზანი ვიყავი“. ბოლდრინიმ უამრავი მუქარის და შეურაცხმყოფელი შეტყობინება მიიღო მას შემდეგ, რაც საკუთარი თავი წარადგინა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის. მას ემუქრებოდნენ მოკვლით, გაუპატიურებით, ერთხელ კი ფოსტით ტყვიაც კი გაუგზავნეს.

**ჰაიდი ალენი**. 2019 წელს ბრიტანეთის პარლამენტის 18 წევრმა ქალმა უარი განაცხადა განმეორებით კენჭისყრაზე შეურაცხყოფისა და მუქარების



გამო. ერთ-ერთმა მათგანმა, ჰაიდი ალენმა ამომრჩევლების მიმართ წერილში ასე ახსნა მიზეზი: „გაუსაძლისია ჩემს პირად ცხოვრებაში ჩარევა, ასევე, დაშინება, რაც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. არავინ არ უნდა შეურიგდეს მუქარას, აგრესიულ ელექტრონულ წერილებს და ლანძღვას ქუჩაში თუ სოციალურ ქსელებში“. ცოტა ხნითAადრე ერთ-ერთმა მამაკაცმა ინტერნეტში გამოაქვეყნა ჰაიდის სახლის აეროფოტოსურათები, უგზავნიდა მას მუქარისა და შეურაცხმყოფელ წერილებს. მამაკაცი დააპატიმრეს და ქალთან მიახლოება აუკრძალეს.

**სიგრიდ კააგი**. ნიდერლანდების ფინანსთა მინისტრმა იგრიდ კააგიმ მუქარის წერილების მიღება 2020 წლიდან დაიწყო, როდესაც ის ლიბერალური პარტიის ლიდერი გახდა. წერილების რაოდენობამ იმატა 2022 წელს, როცა ფინანსთა მინისტრის პოსტი დაიკავა. ერთი წლით ადრე შედგა იმ მამაკაცის სასამართლო პროცესი, რომელიც სიგრიდს ფეისბუქზე



მუქარის წერილებს უგზავნიდა და მოკვლით აშინებდა.

**დაიან ებოტი**. დიდი რაოდენობით მუქარისა და შეურაცხმყოფელ წერილებს იღებდა ბრიტანელი პოლიტიკოსი, ადვოკატი და ბრიტანეთის პარლამენტში არჩეული პირველი შავკანიანი ქალი დაიან ებოტი. 2017 წელს **Amnesty Internacional**-მა შეისწავლა არჩევნებამდე ორი კვირის განმავლობაში 177 ქალი-დეპუტატების მიმართ დაწერილი კომენტარები. მათგან დაახლოებით



ნახევარი შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი კომენტარები დაიანა ებოტს ეხებოდა.



**პრამილა ჯაიაპალი**. 2022 წლის ივლისში 911-ზე აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წევრმა პრამილა ჯაიაპალმა დარეკა. პოლიციის ანგარიშის თანახმად, მის სახლში იმყოფებოდა მამაკაცი, რომელიც მას მოკვლით ემუქრებოდა. მოგვიანებით მამაკაცი დააპატიმრეს. აღმოჩნდა, რომ იგი უკვე დიდი ხნის განმავლობაში დევნიდა პოლიტიკოსს. პრამილა პირველი სამხრეთაზიელი ამერიკელია, რომელიც წარმომადგენელთა პალატის წევრად აირჩიეს.



**ნატალი კოსტიუშკო-მორიზე**. 2017 წლის ივნისში პარიზის საქალაქო ბაზარში უცნობი მამაკაცი თავს დაესხა ნაციონალური ასამბლეის კანდიდატს ნატალი კოსტიუშკო-მორიზეს. მან უხეშად შეაყარა სახეში ქაღალდები ქალს, რის შედეგადაც მან გონება დაკარგა. მოგვიანებით მამაკაცი დააკავეს. იგი ნორმანდიის ერთ-ერთი სოფლის მერი აღმოჩნდა.

**ენ კანიი**. 2017 წლის ივნისში კენიის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი ენ კანიი სასტიკად სცემა ოთხმა ნიღბიანმა მამაკაცმა. წინასაარჩევნო აგიტაციის ფარგლებში მოგზაურობისას მისი მანქანა დაბლოკეს, ქალი მანქანიდან გადმოათრიეს, იარაღით ემუქრებოდნენ და აიძულებდნენ, თავისი კანდიდატურა მოეხსნა. მოგვიანებით იგი ჰყვებოდა, რომ მადლობელი იყო ღმერთის, რომ სიკვდილს გადაარჩინა.

**ანა გაბრიელა გევარა**. 2016 წელს ოლიმპიური ჩემპიონი და მექსიკის სენატორი



ანა გაბრიელა გევარა ავარიაში მოჰყვა. იგი უცნობმა მამაკაცებმა სცემეს, რომლებმაც მის მოტოციკლს გადაუსწრეს. თავდასხმის შემდეგ იგი პარლამენტის ზედა პალატის სხდომაზე ხელშეხვეული და დასიებული თვალით გამოცხადდა: „მე მინდა, რომ ადამიანებმა დამინახონ. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ვიბრძოლო“. სოციალური ქსელების მომხმარებელთა აზრით, ანა გაბრიელა თავად არის დამნაშავე იმაში, რაც თავს გადახდა, რადგან ქალის ადგილი პოლიტიკაში კი არა, სამზარეულოშია.

პოლიტიკოს ქალებზე ძალადობა კვლავაც გრძელდება, მაგრამ მაინც, სულ უფრო მეტი ქალი ხდება პოლიტიკოსი და იკავებს მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობებს, რადგან სუსტი სქესის წარმომადგენლების დაშინება არც ისე იოლია.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

### ზაქრო გიგაური – მწერალი-მემატიანე:

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ შალვა პაპუაშვილს, ქართულ მწერლობას - მწერალთა ეროვნულ აკადემიასა და მწერალთა კავშირს

„მზე ქრისტიანობისაი“ — ეს ზესახელი შეარქვა ერმა დავით აღმაშენებელს მას შემდეგ, რაც მან სასწაული მოახდინა და დიდგორის ბრძოლაში ორმოცდათექვსმეტი ათასი ქართველი მეომრით ნახევარმილიონიანი მუსლიმანური კოალიციური ლაშქარი სამ საათში გაანადგურა დიდგორის ველზე. ამ სასწაულმა დაბადა კითხვა მთელ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. ამ კითხვას დიდებული პასუხი გასცა დავითის მემატიანემ: „ყოველი ნივთი კერპბორგნეულისა უღვთოებისაი მახვილითა სულითა მოჭრეს, ცეცხლითა სარწმუნოებისათა მოწვეს, ერქუნითა ჯვარისაითა მოიორნატნეს გულნი შემწყნარებელთა კაცთანი“.

ისტორიიდან ცნობილია, როგორი სამეფო ჩაიბარა 16 წლის ყმაწვილმა 1089 წელს მამის, გიორგი II-ის სიცოცხლეშივე. საქართველო მან ჩაიბარა კატასტროფულ მდგომარეობაში მყოფი: თურქთაგან სრულიად დაქცეული და დაკნინებული.

მთელი აღმოსავლეთ საქართველო გადაქცეული იყო თურქთა მესაქონლეობის სეზონურ საძოვრებად.

ჭკუა-გონებითა და ფიზიკური ძალით დაჯილდოებულმა დავითმა იმეფა 36 წელი და ფეხზე დააყენა დაქცეული ქვეყანა. ბრწყინვალედ შეასრულა ბრძენი ჭყონდიდელის რჩევა-დარიგება — გამარჯვება თუ გინდა, ხალხს რწმენა დაუბრუნეო. დიახ, დაუბრუნა ხალხს რწმენა — ააშენა და დაამშვენა გაპარტახებული ქვეყანა. ის, რაც მან გააკეთა დიდგორის ბრძოლამდე, ისტორიაში დამკვიდრდა ხალხისგან შერქმეული უბრწყინვალესი ზედსახელით „აღმაშენებელი“. დიდგორის ბრძოლის მოგების შემდეგ მეორე ზედსახელით შეამკეს სათაყვანებელი მეფე და „მზე ქრისტიანობისაი“ უწოდეს.

დღეს ხალხისთვის გაუგებარია, რატომ არ იხმარება ეს შესანიშნავი ზედსახელი სათაყვანებელ მეფეზე საუბრისას? ფაქტია, რომ დავითის საწინამძღვრო ჯვარს ვერტიკალური ძელის ბოლოში გაკრულ თხელ ფირფიტაზე ასომთავრულით აწერია: „ღმერთო, ყოვლისა დამბადებელო, ადიდე შენ მიერ გვირგვინოსანი დავით, აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე — მზე ქრისტიანობისაი. ამინ“.

ანალოგიური წარწერაა მეფის ყელსაბამ ოქროს ხატზე: „ღმერთო, ადიდე შენ მიერ გუირგვინოსანი დავით, აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე — მზე ქრისტიანობისაი. ამინ“.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წელს შესრულდა ერის სათაყვანებელი მეფის დაბადებიდან 950 წელი.

ქართველ მწერალთა სახელით ვთხოვთ დღევანდელ მთავრობას: ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, ბატონ შალვა პაპუაშვილს, საქართველოს პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს, გაითვალისწინონ ხალხის თხოვნა და საამაყო მეფის დაბადებიდან 950 წლისთავთან დაკავშირებით დააკანონონ ხალხის მიერ მინიჭებული მეორე ზედსახელი — „მზე ქრისტიანობისაი“.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი მთავრობა და საპატრიარქო გაითვალისწინებენ ხალხის თხოვნას და წლევანდელ დიდგორობას სათაყვანებელი მეფის მესამე ნათლობის დღედ აქცევენ.

ამ აქტუალურ და მოტივირებულ იდეას სრულიად ვეთანხმებით და მხარს ვუჭერთ

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის სახელით:**

**კობა არაბული** — პოეტი-მითოლოგი; **ელიზბარ ჯაველიძე** — მწერალი, აკადემიკოსი; **რეზო კვესელავა** — ესეისტი, კინოდრამატურგი; **ავთანდილ არაბული** — მწერალი, აკადემიკოსი; **ზელიმხან მაღრაძე** — პროზაიკოსი; **ჯუმბერ გოგრიჭიანი (ჯუბა ღებელი)** — პოეტი; **გური ოტობაია** — პოეტი, პროზაიკოსი.

**საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით:**

**მაყვალა გონაშვილი** — პოეტი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე; **რევაზ მიშველაძე** — მწერალი; **ბაღათერ არაბული** — პოეტი; **თემურ ჩალაბაშვილი** — პოეტი; **სოსო სიგუა** — ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი.





ცნობილ ლიტერატორს, ჩვენი გაზეთის ავტორს და ჩვენი დიდი ხნის მეგობარს

**გოგი გოგოლაშვილს**

ვულოცავთ სახელოვან იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მზეგრძელობას, ახალგაზრდულ შემართებას და პროფესიულ წარმატებებს.

„საერთო გაზეთი“

## ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულნი

დღესდღეობით, როცა ადამიანებს შორის სითბო და სიყვარული გვენატრება, ავადმყოფობამ გულიკო ჩაფიძის სახელობის კლინიკაში მიმიყვანა და ამ დიდ საგანძურს უხვად დამაწაფა. პაციენტების მიმართ მსგავსი ყურადღება, მაღალპროფესიონალიზმი, იდეალური სისუფთავე არსად მეგულება. მოგეხსენებათ, ავადმყოფის მთავარი სამკურნალო არეალი ფსიქოლოგიაა. როცა ამდენ გულისხმიერ თეთრ ხალათიანს ხედავ, ყველა რომ თვალებში შემოგყურებს, შენს ჯანმრთელობაზე ზრუნავს, თითქოს სატკივარი გავიწყდება და ამაღლებული განწყობით ავადობასაც მარტივად სჯაბნი.

ეს ყველაფერი, როგორც მოგახსენეთ, ჩაფიძის სახელობის კლინიკაში ხდება. ამ გუნდის ხელმძღვანელი კი საუკეთესო ადამიანი, უბადლო პროფესიონალი, სანიმუშო ოჯახის სანიმუშო მამა და მეუღლე ბატონი ავთანდილ ჯორბენაძეა თავის ვაჟთან, ასევე მაღალი დონის პროფესიონალ რევაზ ჯორბენაძესთან ერთად, რომელსაც კლინიკაში აღმასრულებელი დირექტორის პოზიცია უჭირავს.

გმადლობ, ბატონო ავთანდილ, ბატონო რევაზ. გმადლობ ამხელა ყურადღებისა და მზრუნველობისათვის. ჩემი თვალით ვნახე თქვენი კლინიკის მადლიერ პაციენტთა თვალები, განკურნებული ჯანმრთელობა. ბედნიერებაა, რომ ჩვენს დედაქალაქში არსებობენ თქვენნაირი ხელმძღვანელები და ესოდენ მაღალი პროფესიონალები, მედიკოსები, რომლებიც ჰიპოკრატეს ფიცს არასდროს ღალატობენ!

გმადლობ, გმადლობ, გმადლობ!

ლამარა ანდრონიკაშვილი

აფხაზეთის დამსახურებული არქიტექტორი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99